

652
1969/2

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
საბიბლიოთეკო

საბავშვო

საბავშვო

1969 2

ლიტერატურა



საქართველო


1969

11217

მ ა რ ა მ — ა პ რ ი ლ ი

ლიტერატურულ-მსაჯერლო დ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მფარალთა კავშირის
აჭარის განყოფილების ორგანო



რედაქტორი

ა. შონია

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი,

მ. ვარშანიძე (პ/მგ მდივანი),

პ. ლორია

აღ. ჩავლეიშვილი

ფრ. ხალვაში

ლენინის დროშა

განსაცდელის ჟამს,
ზეიმის დროსაც,
ყოველ სურვილზე, ყოველ ნატვრისას
იმედით ვუცქერთ ლენინის დროშას —
ფუძეს სიმტკიცის და სიმართლისა.
ის მიგვიძღვოდა ცეცხლსა და ქარში,
მისით დავძარიტ მთები ფრიალო,
მან გვაგრძნობინა სიცოცხლის ფასი,
აგვავსო მზის და მიწის ტრფიალით.
გარეკა ციდან ღრუბლის ფანტელიც
და ბაღნარებში ოქრო დაღვარა
შენს სადიდებლად, დღეო ნათელო,
მშობელო ხალხო, შენს გასახარად.
მისი შუქია, ელვად რომ მიჰქრის
ძალმომრეობის თავზე დამტყდარი,
ის არის ჩვენი მღელვარე ფიქრი
და სურვილების ცხელი ლაღარი.
ჩვენს აღმაფრენას შეასხა ფრთები
და ფერი მისცა უჩინარ ფერებს,
მისი კალთების შრიალით ვთბებით
და ვეწაფებით სიცოცხლის ჩქერებს.





ახთანდით გუგუნიძე

რ მ მ ე ნ ა

ჩვენ შევეჭიდეთ ბედისწერას და
 რა არ გადახდა ჩვენს მკლავებს ძლიერს!
 ჩვენ მოგვანიჭა ძალა რწმენამ და
 ბობოქარ დღეთა ქარიშხლებს ვძლიეთ.
 რწმენა,
 რომელიც ავრორას მოჰყვა,
 რწმენა,
 რომელიც გვიხმობდა ბრძოლად,
 ჩვენ გვიოკებდა ტკივილს და ოხვრას,
 განამტკიცებდა ჩვენს სულს და ძმობას...
 და ჩვენაც მოვსკდით, მოვსკდით ჯარადა,
 სისხლი ამაოდ არ დაკარგულა:
 რწმენამ გვარკინა ყველა ჯალათთან
 და გამარჯვებაც რწმენამ გვარგუნა.
 ფათერაკებში რწმენამ გვატარა,
 რწმენამ გვატარა დაიმედებით.
 რწმენა გაქვს?
 ვინ თქვა რომ ხარ პატარა,
 რწმენა გაქვს?
 ღმერთსაც აუმხედრდები.
 რწმენით აგვავსო დიდმა ბელადმა
 როს საოქტომბრო დარეკა ზარი.
 ჩვენ ავდიოდით სახრჩობელაზეც,
 არ გაჩენილა ჩვენს გულში გზარი.
 მერე გულს რწმენა არ მოჰკლებია,
 უფრო და უფრო მოზღვავედა მერე.
 არა, გულიდან არ ამოჰქრებდა
 რაიც სულს გვიდგამს და რაც გვამღერებს...
 რწმენაა ყველგან ჩვენი თავდები,

ჩვენ აგვამალა რწმენამ კოსმოსში.
რწმენა დიადი წელიწადებით
დამკვიდრებულა ჩვენს სამშობლოში.
რწმენის გარეშე არც ერთი წამი,
არც ერთი კაცი რწმენის გარეშე,
მხოლოდ და მხოლოდ დიადი რწმენით
ვძლიეთ ყოველგვარ ავდარს, ქარიშხალს...
მისი სიცხადე, მისი სინათლე
მეგობრად გვახლავს, გვათოვს თუ გვაწვიმს,
ჩვენს სულს ამადლებს რწმენა სიკეთის
ყველაზე უფრო მართალი კაცის...
რწმენა,
რომელიც სულში გვიღვივებს,
რწმენა,
რომელიც არჩენს იარას,
რწმენა, რომელიც ახლავს სიმღერას,
სიტყვას,
საჭრეთელს,
ნამგალს,
იარაღს!..
ამ ქვეყანაზე გზაა მრავალი,
ზოგი დიდია, ზოგი პატარა,
დღისით სავალი, ღამით სავალი,
ზოგან ღმერთია, ზოგან სატანა...
ჩვენი გზა სხვაა — ხმაურით სავსე,
ჩვენი გზა სხვაა, — დიდება მოსავს,
საუკუნეებს მზესავით გასდევს,
რწმენა,
რომელიც ლენინმა მოგვცა.



იაკობ მელია

დიდი სიცოცხლე

ცისა და მიწის
გაჩენის დღიდან,
ადამიანის
გაჩენის დღიდან,
როდესაც კვირტი
განათდა ხიდან,
შტოებმა იწყეს
ყვავილის ფრქვევა,
ვიცი,
კაცს როგორ ტანჯავდა ზეცა,—
სიტყვა სათქმელი
არ ჰქონდა მზესაც.
მძიმედ ვიდოდნენ
საუკუნენი
ცისა და მიწის
გაჩენის დღიდან...
მე ვაქებ
იმ დღეს,
ოდეს სიმბირსკში
მდინარეებში თოვლი აყვირდა...
მზემ არტახები
მიწას შემოხსნა,
სიცოცხლე
ახლად გაგვიაბრილდა
და გაზატხული
გაბრწყინდა ელვით
და გაზატხული
ეწოდა ლენინს
დიდი სიცოცხლეც დაიწყო იმ
დღეს
და შევიყვარეთ სიცოცხლე ჩვენი.



პაკიან ლორია

საუბარი ბაღიშებთან

...მოულოდნელად დაიწყო იგი და აგერ მესამე წელია გრძელდება. ურჯულოები ამხედრებულან ჩვენზე და ქრისტიანობის მოსპობა განუზრახავთ.

ჰოდა, ამიტომაც არ დააყოვნა ჩვენმა ხელმწიფემ, უხმო მართლმორწმუნე ერს და ურწმუნოთა შესამუსრავად გამოიყვანა.

„ძლევა ჯვართა კეთილმორწმუნესა ხელმწიფესა ჩვენსა მოანიჭე და ერი შენი საფარველსა მისსა დაიცევ!“ შეეღალადეთ უფალს და ურჯულოების ლაშქარს ვეკვეთეთ.

ჩვენ მართალი ვართ. გვწამს ღმერთი, ქრისტე და სულიწმინდა. ვიცავთ ჯვარს, სახარებასა და ქრისტიანობას. ვიცავთ ჩვენს მეფესა და სამეფო ტახტს, ვლოცულობთ ხატზე და ვევედრებით წმიდა მარიამს.

ამიტომაც ვამარცხებთ ურჯულოებს და ზედიზედ ვატოვებინებთ ქალაქებსა და სოფლებს, ვართმევთ ალაფსა და დოვლათს, ვუწყვეტთ მეთაურებსა და სალდათებს. ცოტა კიდევ და საბოლოოდ დაეშვება ისლამის დროშა და ორთავიანი არწივი იზეიმებს სრულ გამარჯვებას.

ჩვენ ეს გვწამს და გარდუვალიც ყოფილა თურმე. ასე გვაუწყა ჩვენმა მოძღვარმა ფრონტზე გამომგზავრების წინ.

მართალია, ჩვენც ბევრი ვაჟკაცი ჩავაწვინეთ ბითლისისა და ვანის მისადგომებთან, მაგრამ ეს დანაკლისი აბა რა არის სარწმუნოების სამსხვერპლოზე!

დეკემბერი, ცივი და სუსხიანი. აქ, ამ სამხრეთის მიწაზე, სადაც ზაფხულში მზის მხურვალეობა მდინარეებსაც აორთქლებს, ახლა ყველაფერი გაყინულია.

ძალიან გვიჭირს, მაგრამ მხნედა ვართ. მეტის მოთმენა და ატანა გვმართებს ქრისტეს რჯულისა და მეფისათვის. მეტწილად მიწურებში ვართ შეფარებული და ერთმანეთის სითბოს ვიზიარებთ. მხოლოდ გუშაგები დგანან ვახტზე და მზვერავები უთვალთვალევენ ურწმუნოების სანგრებსა და მისადგომებს.

ძნელია ასეთ ყინვაში გუშაგობა. ზოგჯერ ადგილზევე იყინება გუ-
მოუტღელი ჯარისკაცი. ბევრი, მიწურში რომ შემოვა და მიიძინებს, მა-
ღარ იღვიძებს. დილით გვამები გარეთ გაგვაქვს და იქვე მანქანათა
გმარნავთ.

ამიტომაც გვარიგებენ: ყინვამ რომ სხეული არ მოაკვდინოს, მიწურ-
ში შემოსვლისას ცივი წყლით დაზილეთ სხეულიო. მაგრამ ყველა როდი
ასრულებს ამ დარიგებას, ზოგს ძილი ართმევს შესაძლებლობას, ზოგს
საამისო ძალა არ შესწევს. გუშინ ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი გავიტა-
ნეთ სამუდამოდ მიძინებული და სამძო საფლავში დაუღღეთ ბინა.

დღეს დილის ცხრა საათიდან სამდღიანი დაზავება გამოცხადდა და
გავიხარეთ. ცხელი ჩაიც კი დავლიეთ, რამდენიმე ნატეხი შაქარი მოგვ-
ცეს და ორცხოზილაც საყოფად დაგვირიგეს.

ნეტავი რატომ? — კითხულობს ზოგი, მაგრამ ბევრმა იცის, რომ ეს
შობის დღესასწაულის გამო მოხდა, ჩვენებს უთხოვნიათ სამი დღით და-
ზავება და ურჯულოებიც ყაბულს გამხდარან.

მართალია, აგერ სამი თვეა ჩვენს უბანზე მყუდროება არ დარღვეუ-
ლა, არც ერთ მხარეს თოფი არ გაუსვრია, მაგრამ ეს შეუთახნებელი
დაზავება იყო, მეტისმეტი სიცივეებითა თუ მოქანცულობით გამოწვეული,
მაგრამ ჩვენ მაინც მზადყოფნაში ვიყავით, ურწმუნოების ნდობა არ
გვქონდა და იარაღს ხელიდან არ ვიცილებდით.

ალბათ ჩვენზე უფრო მათ გაეხარდათ ეს დაზავება. ძალიან მოქან-
ცულნი ვართ, მაგრამ უკეთეს დღეში არც ისინი არიან. მართალია, ურ-
ჯულობია, არც ხატი სწამთ და არც ჯვარი, არც ქრისტე ღმერთი და არც
სახარება, მაგრამ ხანდახან მაინც გამივლის გულში მათი სიბრალული.
ღმერთო შეგცოდე, ეს ხომ არ ნიშნავს რჯულის ღალატს? როგორ კარგად
ვიცხოვრებდით ამ ქვეყანაზე ყველა რომ ჩვენი რჯულის იყოს, სწამდეს
ქრისტე ღმერთი, კითხულობდეს სახარებას! მაშინ აღარც ჩვენი მეფე იქ-
ნება გამწყრალი მათზე და აღარც ეს ომი იქნებოდა! ადამიანი ადამიანის
სისხლს არ დაღვრიდა!

— ასე გგონია, შენ? — შემეკითხა ბიძია სამსონი, როცა ჩემი
აზრი გავუზიარე.

— რასაკვირველია ასეა. — მივუგე მე. — თუ ურწმუნოები არ იქ-
ნებიან, ვისთან გვექნება სადაო და საჩხუბარი!

— ბრიყვი ყოფილხარ, ბიჭო! — შემომხედა მან. — მეტი არ გესმის?

ამ შეუარაცხოვას არ შევარჩენდი: ბრიყვიცა ხარ და სულელიც-
მეთქი, ვეტყოდი, მაგრამ დამერიდა. მართალია, იგი ჩვენს ოცეულში
ყველაზე ბოლოსაა მოსული, უმწიფარ ჯარისკაცს ვეძახით, მაგრამ ხნით
ჩვენზე ბევრად უფროსია და ამის გამო პატივისცემით ვეპყრობით.

— ბრიყვი რატომ ვარ, ბიძია სამსონ? — უკმაყოფილება მაინც
იგრძნობოდა ჩემს ხმაში.

— მაპატიე, — მოიბოდიშა მან. — ურიგო სიტყვა წამომცდა, მაგრამ ეს უფრო სიყვარულით მომივიდა, ვიდრე უზრდელობით. შეილად მიგილე.

— შეილები გყავთ? — პირველად დავინტერესდი სამსონის ოჯახური მდგომარეობით.

— სამი. — მიპასუხა მან. — ვაჟი საცაა თექვსმეტი წლის იქნება. თუ ეს ომი კიდევ გაგრძელდა, ალბათ იმასაც გვერდით ამომიყენებენ თოფით ხელში.

— სანამ ურჯულოების ჟინს არ ვიყრიტ და მთლიანად არ გავანადგურებთ, მანამდე ომს რა დაამთავრებს — შედექამაოე მე.

მან თავი ჩაიქნია.

— არ მოვსწრებოდი ამ დღეს, კარგი იყო და... არ ვიცი, სანამდე გაუძლებს ხალხი ამდენ ტანჯვას, ამდენ გასაჭირს.

— შენ რა, სამი თვეა რაც ჩვენთან ხარ. ჯერ ისეთი რა გაჭირვება გადაიტანე, რომ საყვედური თქვა. მართლა, რატომ აღრე არ გაგიწვიეს ჯარში?

— იყო მიზეზი, — მოკლედ მიპასუხა მან. — ისეთ ქარხანაში ვმუშაობდი, სადაც ჯაფშანი მქონდა. ჯარში გაწვევისაგან თავისუფალი ვიყავი.

— შემდეგ ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა?

— არა, მაგრამ ჩემისთანებს შეაწყვეტინეს. — მომიგო მან.

— დააშავე რამე?

სამსონმა თვალეში ჩამხედა.

— სადაური ხარ?

— ოზურგეთის მაზრიდან. აჭარას ესაზღვრება ჩვენი სოფელი. მთის ძირასაა გაშენებული, მდინარე ნატანების ახლოს.

— ო, გურული ყოფილხარ. რას აკეთებდი აქ წამოსვლამდე?

მე ჩემი თავგადასავალი მოვუყევი:

ათი წლიდან ერთ-ერთ მეჯოგესთან ვიყავი მოჯამაგირედ. არა, მოჯამაგირედ კი არა, მწყემსად. პირუტყვებს ვაძოვებდით ათიოდე ბიჭი. ხან მთაში, ხან ბარში, ხან სად და ხან სად.

— გასაგებია. — თქვა სამსონმა. — მასეთ პირობებში უკეთესად ვერ განვითარდებოდი. — და რომ შემატყო არ მესიამოვნა, დაუმატა: — მაინც კარგი ვაჟიკი დამდგარხარ.

— რატომ! სკოლაშიც ვსწავლობდი ერთ წელიწადს. ბევრი ლექსი ვიცი ზეპირად. გურული და აჭარელი ფირალების სიმღერებით ვირთობდით თავს. უჰ, როგორი ამხანაგები მყავდა! ერთი ქობულეთელი ბიჭი ისე დამიმეგობრდა, რომ ძმასავით შევიყვარეთ ერთმანეთი. ჩემთან აპირებდა წამოსვლას, მაგრამ არ მიიღეს. რა დაუწუნეს არ ვიცი. გვარი და სახელი კითხეს, ვინაობა, სადაურობა და იქით გააგდეს. ვერ წაგიყვანთო.

ბეჟანიძე რომ გვერდით მყოლოდა, მაშინ უნდა გენახათ ურჯულოებისა
ქლეტა. ურჯულოებისა
ეროვნული
გეგმითი
წასვლა? —

— მერე, ურჯულოს სურდა ურჯულოების საქლეტად გაედიმა სამსონს.

— არა, მე იმ ქობულეთელ ოსმანზე ვამბობ.

— ჰოდა, ისიც ხომ მაჰმადიანია? ურჯულო?

— რას ამბობ, შენ ეი! — გავკავრდი მე. — ოსმან ბეჟანიძე და ურჯულო?! ურჯულო რომ იყოს, აღარც მათ საქლეტად მოისურვებდა წამოსვლას. მართალია, თურქული იცის, მაგრამ... მეც ხომ ვლაპარაკობ იმათ ენაზე!

— მართლა?! — ესიამოვნა სამსონს. — მაშ სადმე ასკერს რომ შეხვდე, შეძლებ მასთან გასაუბრებას?

— საძოვრებზე მეტი რა ვისწავლე. ზოგჯერ თურქი ბიჭებიც გადმოდიოდნენ ჩვენს მხარეზე და გასაუბრობდით.

— ურჯულებთან?

— ჰო. არა, ისინი... არ ვიცი, არც კი ჰგავდნენ ურჯულებს. მართალია, არ მიკითხავს, მაგრამ დავიჯერო ქრისტე ღმერთი არ სწამდათ და არ ლოცულობდნენ!?

— შენ როგორ ფიქრობ?

— ისეთი კარგი ბიჭები ურწმუნოები არ იქნებიან.

სამსონი ახლა უფრო დაინტერესდა ჩემით: მკითხა, მშობლები თუ გყავს, რა შესაძლებლობა აქვთ, რამდენი შვილის პატრონი არიან, როდის გამიწვიეს ჯარში, გურიასი რომ ახალთაობა იყო, თუ მახსოვს და მრავალი სხვა.

გუბასუხე: მშობლები მყავს, მამა გვიან მოკიდებია ცოლშვილს, მაგრამ ექვსი შვილის პატრონი მალე გამხდარა. ახლა ძალზე მოტეხილი. ერთი ქოხი გვიდგას ისლით დახურული, ერთი ძროხა და ორი თხა გვყავს. უფროსი შვილი მე ვიყავი და ოჯახზე ზრუნვაც მევალებოდა. გვარიან ხელფასს ვღებულობდი მეჯოგისაგან. თვეში ხუთი მანეთი და ხარჯი. წელიწადში ორხელ საქალამნე ტყავსაც გვაძლევდნენ... ახალთაობის ამბავი? როგორ არ მახსოვს. შვიდი-რვა წლის ბიჭი ვიქნებოდი. სტუდენტები დადიოდნენ სოფლად და ახალნაირ სიმღერებს მღეროდნენ. ოზურგეთი რომ გადაწვეს, ისიც მახსოვს. მამაჩემი ამბობდა, იმ ურჯულო ყაზახრუსებმა ჩაიღინეს ეს საშინელებათ. არ ვიცი, ყაზახრუსებიც ურჯულებია ვითომ?

სამსონმა გაიცინა:

— შენ როგორ ფიქრობ?

— ჯვარს კი ატარებენ და... ჩვენთან ერთად ებრძვიან ამ ურწმუნოებს. თუ ურჯულოები არიან... მოკლედ, არაფერი არ გამეგება. ან ის.

ახალთაობის კაცები და სტუდენტები იყვნენ ურჯულოები ან ის ვაზას-
რუსები. შენ როგორ ფიქრობ?

— მე? — თვალეში ჩამაცქერდა სამსონი. — მე მგონია, რომ ურჯუ-
ლოები და საზიზღრები ისინია, რომლებიც ხალხებს ერთმანეთს შეუსე-
ვენ და აჟღერებენ. შენ გგონია სარწმუნოების გამო წარმოებს ომები?

— მაშ. თუ ყველა ქრისტიანი იქნება და მაცხოვრის მადიდებელი, ომებს რაღაზე გააჩაღებენ!? არა. ხატისა და ჯვარის მორწმუნე ხალხი არასოდეს ერთმანეთს არ დაერგვა.

სამსონმა ჩანთიდან ერთი ძველი ჟურნალი ამოიღო და გაშალა.

— აი ნახე, ეს რუსეთის იმპერატორია. — მიჩვენა ჩვენი მეფის სუ-
რათი. — ეს კი გერმანიის მეფე, ესეც ავსტრო-უნგრეთის. აქ სხვებიც არიან, მაგრამ ჯერ ამათზე შევჩერდეთ. ზედავ, რამდენი ჯვარი უკეთიათ? მაშ, რატომ ეომებიან ერთმანეთს?

მე ჟურნალი გამოვართვი და ბეჯითად დავათვალიერე. აქ მთელი მსოფლიოს მპყრობელები იყვნენ წარმოდგენილი: ინგლისის მეფე, საფრანგეთის პრეზიდენტი, იაპონიის იმპერატორი, თურქეთის სულთანი, ირანის შაჰი და სხვა მრავალი. ზოგ მათგანს ჯვრებით ჰქონდა მკერდი დამშვენებული, ზოგს ნამგალა მთვარე და ვარსკვლავი ეკერა გულზე, მაგრამ როგორც მე შევნიშნე, არც ერთი მათგანი არ იყო საზიზღარი და ცუდი შესახედავი, პირიქით, ირანის შაჰი უფრო კეთილი და ლამაზი ჩანდა, ვიდრე ჩვენი იმპერატორი, რომელსაც რამდენიმე ჯვარი მიეზნია მუნდირზე. ვიღპელმ მეორეც ჯვრებით იყო დამშვენებული.

— მაგრამ ჩვენ რომ გვეომება?! — გაკვირვებით შევეკითხე სამსონს. — თუ ჯვარი და ხატი სწამს, რა უნდა ჩვენთან? ჩვენ ხომ ურწმუნოები არ ვართ? თურქების მხარეზე რატომ დადგა?

— აი სწორედ ამამაა საქმე, ჩემო კარგო. რჯული და სარწმუნოება გაუნათლებელი ხალხის მოსატყუებელი საშუალებაა. მეფეებსა და მემამულეებს სულ სხვა რამე აწუხებთ. მათი სარწმუნოება ქონება და ოქროა, მიწები და ფაბრიკა-ქარხნები. მათი ღმერთი ფულია, მათი მცნება და მოძღვრება — სხვისი გაძარცვა, დამონება, გაუბედურება. გასაგებია?

გასაგები არ იყო, მაგრამ მაინც დაეაქინე თავი.

— მერე, უკეთესი არ იქნებოდა უომრად მოეგვარებინათ ეს საკითხი? ერთმანეთის ზოცვა-ჟღერტის ნაცვლად მშვიდობიანად ემოქმედნათ? ახლა რომ ეს ომი არ წამოეწყოთ და აქ არ მომწეოდა წამოსვლა, ჩემისთანა ბედნიერი კაცი მეორე არ იქნებოდა. ბედნიერი-მეთქი ვამბობ, იმდენი კი არაფერი მექნებოდა, მაგრამ რამდენიმე სული ძროხის პატრონი ვიქნებოდი და მალე შეიძლება ჯოგიც მყოლოდა.

— განა მარტო შენ დაზარალდი. — მითხრა სამსონმა. — მილიონები შეეწირა ამ ომს და ვინ იცის კიდევ რამდენი შეეწირება. ნგრევა და მსხვრევა ხომ აუწერელია.

— მერე, ხომ შეიძლება ასეთი ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილება? იცხოვრონ იმ ურწმუნოებმა თავისთვის და ჩვენ ჩვენთვის. ფეხები ურ-
ჯულდებიან და ქრისტე ღმერთს არ იწამებენ, მით უარესი მათთვის! მისკ-
ქიოს აგებენ პასუხს, ჯოჯოხეთში რომ ამოიხრუკებიან.

სამსონმა გადაიხარხარა:

— კიდევ ურჯულოები და ურწმუნოები... ხომ გაიგე, მორწმუნე და ქრისტიანი გერმანიის მეფე ეომება ქრისტიანსა და მორწმუნე რუსე-
თის მეფეს! რომელ სარწმუნოებაზეა აქ ლაპარაკი.

— კი, მაგრამ რა სურს მიიღოს ჩვენი მეფისაგან? თუ ერთი რჯული აქვთ და ერთი ღმერთი...

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ. მას არც რუსეთის რჯულთან აქვს საქმე, არც მის ხატთან და ჯვართან. მას რუსეთის მიწები და ქვეყნები უნდა...

— ვერაფერი გავიგე. მეფეს, ისე შეძლებულსა და დედამიწაზე ყვე-
ლაზე მდიდარ კაცს, სხვისი ქონება და მიწები უნდა მიითვისოს! თუ თა-
ვისი არ ყოფნის, იყიდოს, შეიძინოს. ომები და ჩხუბი რა საჭიროა?!

— ეჰ, ჩემო ძმაო, — თქვა სამსონმა, — შეუგნებლობაა ყველაფრის მიზეზი. შენ და შენისთანებმა რომ იცოდნენ ვისი ინტერესებისათვის იწყებენ ომებს სახელმწიფოები, მაშინ სულ სხვანაირად იქნებოდა საქმე.

— არ შეიძლება მასწავლო რაც არ ვიცო?

— შეიძლება. ეს ასეც მოხდება. — მიპასუხა სამსონმა.

— მაგრამ როდის?

— როდის? აი ის თურქი ასკერი, — მოპირდაპირე სანგრებისაყენ გაიხედა სამსონმა, — და შენ რომ ერთმანეთს შეხვდებით, დაუახლოვ-
დებით, დაძმობილდებით და დამეგობრდებით, მაშინ ყველაფერი რიგ-
ზე იქნება.

— როგორ! ურჯულოს დაუმეგობრდე?! ქრისტიანების სისხლის მდომს?! თურქს და საძაგელს?! რომც განვიზრახო ასეთი რამე და სამე-
გობროდ მარჯვენა გავუწოდო, იგი დანას გამიყრის გულში.

— შენ როგორ მოიქცეოდი მის ადგილას ასეთ შემთხვევაში?

— მე? მე ქრისტიანი ვარ და ჩვენი მოძღვრება ამბობს: „არა კაც ჰკლა“. ქრისტეს მცნებას ხომ არ ვუღალატებდი!

— შენ, ჩემო ძმაო, ქრისტიანობას ჩემობ, მაგრამ ამ სარწმუნოების შესახებ არაფერი გცოდნია. — ხელი ჩაიქნია სამსონმა. — „არა კაც ჰკლა“ ებრაელების წინასწარმეტყველის მიერ არის ჩაწერილი.

— რას ამბობ, რას! — ახლა ბრაზიც კი მომერია. — ურიები ქრის-
ტიანების სისხლს სვამენ და ასე იტყოდნენ? ვინ დაგიჯერებს მასეთ სიტ-
რუეს. ქრისტე ღმერთი რომ ურიებმა ჯვარს აცვეს, მისი სისხლით ყელი ჩაისველეს, ეს ყველამ იცის.

— ქრისტე ხომ ებრაელი იყო.

— ყოფილა, მაგრამ მერე გაქრისტიანებულია.

— გასაგებია. — თქვა სამსონმა. — არ გაგემტყუნება. რაც არ ვისწავლია, იმის ცოდნას ვინ მოგთხოვს. რას იზამ, ჩემო კარგო, რომელიმე ასეთი განუვითარებლობის ბრალია ის ამბები, რაზედაც ახლა ვსაუბრობდით. უსწავლელობა, სიღარიბე, სიბეცე, ყველაფერი ეს საწყალი ხალხის ზურგზე აკიდებული უბედურებაა.

— თქვენ ნასწავლი ბრძანდებით? — პირველად მივმართე თქვენობით ამ უბრალო, რიგით სალდათს.

— არც ისე, — ჩაილაპარაკა მან. — სამ წელიწადს დავდიოდი სოფლის სკოლაში; ესწავლობდი წერა-კითხვას, ანგარიშს, დათვლას, განსაკუთრებით კი საღვთო რჯულს.

— თქვენც მღვდელი გასწავლიდათ?

— მხოლოდ მარტო სამღვთო რჯულსა და ლოცვებს.

— დანარჩენი?

— ცხოვრებაში, ქარხანაში, შრომაში შევისწავლე.

— როგორ, ქარხანაში გასწავლიდნენ?

— ჰო, ქარხანა ყველაზე დიდი სკოლაა ცხოვრების შესასწავლად. ხალხი, ადამიანები, ამხანაგები...

— ხალხში და ადამიანებში მეც დავდიოდი, მაგრამ არაფერი შემისწავლია. — შევეკამათე მე.

— რატომ. შენს ასაკთან შედარებით ბევრი რამ იცი. იცნობ მწყემსის ცხოვრებას, იცი პირუტყვის მოვლა-მოშენება, ერკვევი გლეხის ცხოვრებაში, დაუფლებული ხარ სამხედრო საქმეს, იარაღის ხმარებას, ყუმბარის ტყორცნას, ადამიანების ხიშტზე წამოგებას... მართლა, ხელჩართულ შეტაკებაში რამდენი ასკერი გყავს ხიშტზე აგებული? — ისე ჩამაჩერდა, თითქოს ამ პასუხზე ყოფილიყოს ჩემი ბედი დამოკიდებული.

— ხიშტზე? — ჩავფიქრდი მე. — მხოლოდ ერთი ახმახი ურჯულო ავაგე ერთხელ. გაბრუებული ვიყავი. „ურაო“ რომ დაჰყვირეს ჩვენებმა და ურჯულოებისაკენ გაექანენ, აღარ ვიცოდი სად ვიყავი, ვინ ვიყავი და რას ვაკეთებდი. დავერიეთ იმ უბედურებს, მაგრამ როგორ დავერიეთ, წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლეს. ალლაჰ, ალლაჰო, იძახოდნენ და ხელაწეული გარბოდნენ. ჩვენც დავედევნეთ. „მეფისათვის, რჯულისათვის!“ ყვიროდნენ ჩვენი ბიჭები და შამფურებივით ატრიალებდნენ ხიშტებს ურჯულოების გულში. ზოგმა ათი თურქიც კი გამოწელა. მე კი მხოლოდ ერთს ვატყე ხიშტი და... არა, მოგონებაც არ მინდა. ურჯულო იყო, მაგრამ მაინც შემებრაღა. „ვაი შვილებო“, რომ დაიძახა უკანასკნელად, გული დამეწვა. მამაჩემი მომაგონდა. იგიც ასე იყვირებდა, ამ დღეში რომ ჩავარდნილიყო-მეთქი. მერე სულ იმ ურწმუნოს სახე მელანდებოდა... ჩამი აზრით, ომში მიმავალ მხედარს გული უნდა ამოაცალონ, თორემ ისე არ გამოდგება.

— აი, ხომ ხედავ, რამდენი რამე შეგისწავლია ამ მოკლე ხანაში. მითხრა სამსონმა და კეთილად შემომხედა. — გავა დრო, მუშათა მოძრაობის ისტორიას გაეცნობი, დაზგასთან წრთობას მიიღებ, ცხენსავე წაიხედავ, დაუკვირდები, დაფიქრდები და... მაშინ ამ ომების წარმომობის მიზეზებიც ადვილი გასაგები გახდება შენთვის.

ის დღე ბედნიერი დღე იყო ჩვენთვის. ვიცოდით, მტერი არ შემოგვიტევდა, არც ჩვენ შევაწუხებდით. შეგვეძლო მიწურებში ცეკვა-თამაშიც გაგვემართა, გვემღერა, სანგრებიდან ამოგვეყო თავი, გუნდაობა დაგვეწყო. თითქოს ბუნებაც ხელს უწყობდა ამას. დილიდანვე ამოკაშკაშდა მზე და გაყინული ჰაერი შეათბო.

მოპირდაპირე სანგრებიდანაც გამომხეუროდნენ ურჯულოები... არა, ურჯულოები აღარ უნდა ვუწოდო მათ. ასე მასწავლა სამსონმა. იგი ნასწავლი კაცია, თანაც უფროსი, მამისტოლა. უნდა დაუუჯერო. უწოდებ მტერი, მოპირდაპირე, ყველაფერი, რაც გინდა, მაგრამ ურჯულოს ნუ დაუძახებო. ადამიანი ყველა ერთნაირად იბადება, იზრდება, ბერდება, კვდება და მიწად იქცევა, რა სარწმუნოებასაც არ უნდა აღიარებდესო.

რომ ვუკვირდები, მართალია. კაცი ხომ ღმერთმა გააჩინა. რჯულიც მას უნდა მიეცა მისთვის. რატომ გააჩინა რჯულიანი და ურჯულო?

გამოვედი მიწურიდან, სანგრების ახლო-მახლო გავიარ-გამოვიარე. ცივა, გაყინულია ყველაფერი, მაგრამ მზე ანათებს. და ასე მგონია, მათბობს იგი.

აქვე ახლოა მტრის სანგრები, მაგრამ დღეს იგი საშიში არაა ჩვენთვის. ჩვენმა უფროსებმა მოაწერეს ხელი სამი დღის დაზავებაზე და ამან ორი მოპირდაპირე მხარე დროებით ერთმანეთისათვის უვნებელი გახადა. ნეტავი უფრო ხანგრძლივი დროით დაედოთ ეს დაზავება!

დავდივარ განმარტოებით, უბე სავსე მაქვს ორცხოვნილათი და თავი ვივით ვღრღნი. ნეტავი ასე საყოფად გვაძლევდნენ ყოველდღე ამ გამომხმარ შავი პურის ულუფას. დიდი ბედნიერი იქნებოდა ადამიანი საკმაოდ პური რომ მისცა, თავისუფალი იყოს და ომის შიში არ ჰქონდეს. დღეს პირველად დავდივარ უიარაღოდ ფრონტის წინა ხაზზე. აგვიკრძაღეს შაშხანით გამოსვლა. თურქეთის ჯარების სარდლობასაც ასეთივე განკარგულება გაუცია თავისი ჯარებისადმი.

ისე გამიტაცა ფიქრებმა და საკუთარ თავთან მსჯელობამ, რომ ვერ შევნიშნე თუ როგორ დავარღვიე დადგენილი წესი და...

— ურუსს! — მომესმე უეცრად და თოვლით დაბურულ ბუჩქებიდან მაღალი ტანის გამხდარი ასკერი ამოიმართა.

შევკრთი. სჩანს, დამირღვევია საზღვარი და მოპირდაპირე მხარეს გადავსულვარ. გადავწყვიტე სწრაფად უკან გამობრუნება და გამოქცევა, მაგრამ ეს სირცხვილად ჩავთვალე და გავჩერდი.

— ურუსს, ნუ მესვრი! — ხელები ასწია თურქმა და მომაჩერდა, მე ვანიშნე, რომ უიარაღოდ ვარ, და ნუ ეშინია.

ერთხანს ვიდექით პირისპირ ერთმანეთს მიჩერებულნი. არ ვიცვლიდით გავლაპარაკებოდით ერთიმეორეს თუ სამკედრო-საციცოცხლოდ ერთმანეთს ბმოდით.

— მოდი, აქ მოვეფაროთ! — გავბედე მე და მაღალ ლოდთან მივედი, სადაც თოვლიც ნაკლები იყო და მზესაც მხურვალეება ექნებოდა. მან იქით-აქეთ მიმოიხედა და ფრთხილად მომიახლოვდა.

— სამ ღღეს აღარ ვესვრით ერთმანეთს! — ეს რამდენიმე სიტყვა ამოვკრიფე ჩემი თურქული ცოდნის ლექსიკონიდან.

— ალლაჰ, მრავალი მშვიდობიანი ღღე მოჰყოლოდეს ამ სამ ღღეს, — თქვა მან და ჯიბიდან ძველი ქისა ამოიღო. — არ მოსწევ? თუ ქალაღი გაქვს...

— ქალაღი მაქვს, მაგრამ თამბაქოს არ ვეწევი. — ვუპასუხე მე. უბის წიგნიდან რამდენიმე ფურცელი ამოვხიე და მივაწოდე.

— საღოლ ყარდაშ, საღოლ. — მითხრა მან, ქალაღი გამომართვა, თამბაქო შეახვია, მაგრამ ასანთი რომ არ ჰქონდა, ნაღვლიანად შემავლო თვალი.

— ასანთი მე მაქვს! — ვუთხარი მე, ჯიბიდან თითბრის სანთურა ამოვიღე, ავანთე და მივაწოდე.

მან გაკვირვებით შეხედა ბრჭყვიალა ნივთს, რომლიდანაც ისე უეცრად ავარდა ალი და ახლა უფრო ჩამათვალიერა.

— რუსების იუზბაში ხარ?

— რით მატყობ?

— ჩვენთან ერთ იუზბაშს აქვს ასეთი ცეცხლსანთები.

— არა, მე უბრალო ჯარისკაცი ვარ. ასეთი კი ჩვენს ბიჭებს ყველას უღვეს ჯიბეში, — თითქოს მართალი ყოფილიყოს, ისე მტკიცედ ვუთხარი მე.

— იმიტომაც იმარჯვებთ ჩვენზე. — ნაღვლიანად თქვა მან. — სადაც ცოდნა და ტექნიკაა, იქ ძლიერება და გამარჯვებაა.

— ურწმუნოებზე ყოველგვარი ცოდნისა და ტექნიკის გარეშე გამარჯვებთ! — კვლავ ჩვენი სარწმუნოების უპირატესობას გავუსვი ხაზი.

— ღმერთი ერთია. — ჩაილაპარაკა მან. — ჩვენ ისლამი გვწამს, ღმერთს ვადიდებთ, მუჰამედის მოძღვრებას მივდევთ... იმ ქვეყნად კი ყველა დიდი ალლაჰის სამსჯავროს წინაშე წარვსდგებით. სად გისწავლია ჩვენებური?

მე ვუპასუხე.

— გურჯი ხარ?

— დიახ, ქართველი.

ნათქვამი. გამიგო ხოჯამ, მაშინვე სახლიდან გამავლო, ჟანდარმებთან და მასმინა და სამი თვე ჯურღმულში გამატარებინეს. შემდეგ ენა მჭედელში ჩავიგდე და... უნო კაცი უფრო ადვილი ასატანია ყველასათვის ვიდრე ყვევით დასაქმებენ და იმსახურებენ. მერე ერთი ობოლი გოგო შევირთე და... ეპ, უბედური კაცი საიქიოსაც ვერ ჰპოვებს შვებას. — თამბაქოს ნამწვიც ვერ გაიმეტა გადასაგდებად, პირში ჩაიღო და წუწნა დაუწყო.

შემებრალა. ესეც შენი ურჯულო, საზიზღარი და ქრისტიანობის მოსისხლე!

უბიდან ორცხობილა ამოვიღე და გავუწოდე.

მან გამომართვა, დააცქერდა, მაგრამ პირში ჩადება ვერ გაბედა.

— ჭამე, ნუ გეშინია, ღორის ქონით არაა გამომცხვარი.

მან ნაღვლიანად გაიღიმა. ჩაცვენილი ღაწვები შეუფერადლა.

— ახლა ვინ არჩევს ასეთ რამეებს. პურის ქერქი იყოს და თუნდაც შაითანის სისხლში ამოვლებული. — კიდე მოტეხა, პირში ჩაიღო და ტუჩები ააცმაცუნა. — ცოტათი გალბეს თორემ კბილები სადა მაქვს მაგის დასაკენეტი... იმ წყეულმა სენმა სულ დაგვაცალა, რაც გავაჩნდა.

— ისეთი რა სენი გადაგეყარათ? — დავინტერესდი მე.

— სურავანდი. განა თქვენებს არ აწუხებს ასეთი სენი?

ძალიან გვაწუხებდა. ჩვენს ასეულში თითქმის ნახევარზე მეტს დაცლოლი ჰქონდა კბილები, მაგრამ მე ჩემს თანამოსაუბრეს სინამდვილე დავუმალო.

— არა, ჩვენთან ასეთ სენს რა უნდა, როცა იმდენი ექიმები და მკურნალები გვყავს, იმდენი საჰმელ-სასმელი და წამლები გვაქვს.

— ჰო, მართალია. ვისაც პური, მარილი, შაქარი და მწვანილეულობა გააჩნია, იქ ავადმყოფობაც ნაკლებია და სურავანდსაც არ შეუძლია ფეხის მოდგმა. — ამ საქმეში დახელოვნებულ კაცივით მითხრა მან.

— რასაკვირველია, საჰმელ-სასმელი და ჩაცმა-დახურვა არ გვაკლია (ისემც შენ რა გითხრა, ვუთხარი ჩემს თავს), იარაღიც საკმაოდ მოგვეპოვება და მეთაურებიც კარგი გვყავს. — მაინც ჩემი ქვეყნის ქებაში ვარ მე.

— იმიტომაც იმარჯვებთ. — კვლავ გაიმეორა მან. — ჩვენ კი ეს გერმანელები რომ არ გვშველოდნენ, აქამდე... — ვერ გაბედა ეთქვა რა იქნებოდა.

— გერმანელები. გერმანელები... — კინალამ ვთქვი, ისინი ჩვენც გვეკობიან-მეთქი. — ჰო, გერმანელებსაც მალე მოვუღებთ ბოლოს... შენ იქ როგორ აღმოჩნდი? — განგებ შევცვალე საუბრის თემა.

— იქიდან გადმოვძვერი. — ხელით მანიშნა მან. — სამ დღეს რუსებთან დარიგებაა და თოფს არ გვევსვრიანო. შიში არ მქონდა... ანდა რის შიში უნდა ჰქონდეს კაცს, რომელსაც სიცოცხლე სძაგს და საკუთარი



თავი მოძულებია. — პირში მომწყვდეული ორცხობილას ნატეხი, როგორ-
 ლიც უკვე გამბალიყო, უნებით გასრისა და გადაყლაპა. ეროვნული
 — აბა, კიდეც. — ახლა რამდენიმე ნატეხი შაქარი და ორიოდე ცხელი
 ორცხობილა მივაწოდე.

— საღოლ, ყარდაშ! — აღტაცებით წამოიძახა მან, გამომართვა და
 მამინეც უბეში ჩაიღო. — იქნებ ბიჭს შევხვდეთ საღმე და მივცემ.

— აბა, რომელ ბიჭს? — შევეკითხე მე.

— ერთი კვირის წინათ მოიყვანეს. ჩემს ასეულში მაინც ჩაერიცხათ,
 ერთად ვიქნებოდით, თვალყურს ვადევნებდი. ბავშვია, გამოუცდელი,
 თექვსმეტი წელი გაისად შეუსრულდება... საბრალო ჩემი ცოლი, გადა-
 რეული იქნება მისი დარდით. ოჯახში ვინღა დამრჩა იმედად. ცოლიც
 დასნეულებული ქალია. ალლაპ, საღ ვხედავ შენს სამართალს. — ზეცისა-
 კენ გაექცა თვალეები საბრალო კაცს.

ახლა მთლიანად დავრწმუნდი სამსონის სიტყვების ჭეშმარიტებაში.
 მართალი ყოფილა. სარწმუნოება არაფერ შუაში არ ყოფილა ომებთან.
 უბრალო ადამიანები ერთმანეთზე არ აღდგებიან სამტროდ და იარაღს
 არ მიმართავენ. ამ უბრალო თურქმა ასკერმა ამაში კიდეც უფრო
 დამარწმუნა.

— ახლა ამ ხევ-ხევ გადავძვრები და პირდაპირ წავალ. თუ ადგილ-
 ზეა, ერთხელ კიდეც ვნახავ, ამ შენს მოცემულ ორცხობილასა და შა-
 ქარს მივცემ და გულს დავიმშვიდებ. — წასვლა დააპირა, მაგრამ შე-
 ვაჩერე:

— დაიცა, კიდეც მოგცემ! — უბეები დავიჩხრიკე და რაც კი შაქარი
 და ორცხობილა გამაჩნდა, კალთაში ჩავუყარე.

— ალლაპ, ალლაპ! — ჩემსკენ წამოიწია, მოხვევა უნდოდა, მაგრამ
 ვერ გაბედა და შეჩერდა. — ალლაპმა გითხრას მადლობა და გიყოს
 სიკეთე. მადლობელი ვარ. ნულარ ვესვრით აწი ერთმანეთს. ჩემ შვილსაც
 ვეტყვი ნუ ისვრის თქვენსკენ.

— მაგრამ თუ ყველამ ჩვენ მოგვბაძა, რა გამოვა? — შევეკითხე მე.

— სროლა შეწყდება და ომიც დამთავრდება! — იმედიანად მომი-
 გო მან და მიბრუნდა.

ალბათ სიზმარში ვარ. უცნაურ სიზმარში, თორემ სინამდვილეში ასე
 როგორ მოხდება?! თათარი, თურქი, ურწმუნო, უნათლავი და ასეთი სიტ-
 ყვეები?! ამ სიზმარზე მათ გასაყლელად ვართ წამოსული, ჯვარსა და ხატ-
 ზე ნაფიცი ვარ, ქრისტიანობის ერთგული მცველი და აქ კი... უეცრად
 სწორედ იმ ურჯულოს ვესაუბრე და დავუმეგობრდი, რომელსაც და რომ-
 ლის მსგავსს საგანგებოდ ვუჭკვრეტდი, რომ მიზანში ამომეღო და გამე-
 გორებინა. ახლა კი ნულარ ვესვრით ერთმანეთსო მითხრა და მეც თავი
 დავუქნიე და დასტური მივეცი. ვითომ დავაშავე რამე? რჯულს ვულა-
 ტე? ფიცი გავტეხე? მეფეს მივაყენე შეურაცხყოფა?! არა. მე სწორედ ისე

მოვიქცევი, როგორც სარწმუნოება მიგვითითებს, როგორც ქრისტიან-
თი გვასწავლის. გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენით, შენ-
დე ცოდვილთა და უმეცართაო.

სალამოს ეს ამბავი რომ სამსონს მოვუყევი, გაოცებით წამოიძახა:

— ბიჭო, ეს საქმე გაგიკეთებია!.. აი, მაშინ მოელეხა ბოლო ომებსა
და უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტას, როცა ასეთი შემთხვევები
მოხშირდება და ყველა ქვეყნის, ყველა ერისა და სარწმუნოების ადამი-
ნები ერთმანეთს გაეცნობიან, დაუახლოვდებიან, ძმობას შეფიცებენ და
ერთმანეთის წინააღმდეგ მიშვერილ იარაღს ომის გამჩალებლებისაქენ მი-
აბრუნებენ.

სწრაფად გავიდა დროებითი ზავის ვადა. კვლავ ავისხით იარაღი,
კვლავ ჩავიჭედეთ მიწურებში და მოპირდაპირე მხრისაქენ კვლავ ზიზ-
ლითა და სიძულვილით დავიწყეთ ცქერა.

დაილია დეკემბერი, გავითენეთ ახალი წელი. ყინვასა და სუსხიან
ქარში გავლიეთ იანვარი, თებერვალი, მაგრამ ერთხელაც არ მოგვწევია
განგაშის ხმაზე მიწურებიდან ამოცვენა და მტრის სანგრებისაქენ გალაშ-
ქრება. არ ვაწუხებდით ერთმანეთს. ხშირად დაზვერვის დროსაც კი თავს
ვიჭერდით და მოპირდაპირის მზვერავეებთან შეხვედრისას მშვიდობიანად
გაცლას ვაძვრებინებდით. გვერდს ავუვლიდით ერთმანეთს და ჩვენ ჩვენი
სანგრებისაქენ მივდიოდით.

ალბათ გაზაფხული გვექნება მკაცრიო. — წინასწარმეტყველებდა
ზოგი. — ამ ზამთრის ნაცდურს ერთი ორად აინაზღაურებს სიკვდილის
ღმერთი და ზეიმს გადაიხდისო.

ახლა უფრო ხშირად ვზივარ სამსონთან და ვსაუბრობთ. იგი უფრო
გულახდილია ჩემთან. ბევრ ისეთ რამეს მეუბნება, რაც არასოდეს არ გა-
მივონია. რევოლუცია, პროლეტარიატი, კაპიტალიზმი, სოციალიზმი, კო-
მუნიზმი, მარქსი, ენგელსი, პლენანოვი, ლენინი... კიდევ რამდენი რამე
მომიყვამ! საინტერესო მოყოლა იცის. მე კი არა, ოფიცრებიც კი მოხიბ-
ლული არიან მისი ლაპარაკით. მე რუსული კარგად არ ვიცი, არ გამეგე-
ბა მათთან რა საგანზე აქვს საუბარი სამსონს, მაგრამ მეტი ნაწილი კმა-
ყოფილია მისით. ერთადერთი ჩვენი ასეულის უფროსი, კაპიტანი სვე-
ტლოვი არ უცქერის კარგი თვალთ. ხანდახან მიწურებში რომ ჩამოივ-
ლის და დაგვათვალეირებს, სამსონს ისე ჩახედავს თვალებში, რომ გვე-
გონება, ესაა ახლა დაადებს რაიმე სასჯელსო. დისციპლინის მიხედვით
სამსონი შეიძლება მრავალჯერ დაისაჯოს. აქ ფრონტი და იმდენს არ
მოითხოვენ ჯარისკაცისაგან, თორემ მეფის ოჯახისა და უფროსთა რანგე-
ბისა და ტიტულების უცოდინარობას ვინ გაპატიებს! სამსონმა აქამდე
ისიც ვერ ისწავლა როგორ მიმართოს ასეულის მეთაურს, ზემდეგს, ოც-
მეთაურს. ძალიან მებრალება, მაგრამ რა ვქნა. ხანდახან ჩაუფდები და
ჩემებური რუსულით ვუხსნი: „როტნი კამანდირა ეგო ბლავგოროდიე უნ-

და უთხრა, ზემდეგს — გასპადინა ფეთებელა, ოცეულის მეთაური გასპადინა უნდერაფიცერა“. სამსონი სიცილით კვდება ჩემს გვერდებზე. ვერ იმახსოვრებს. საკვირველია, ისეთი სიტყვები ახსოვს, რომ პირები, რომ ენის გასატეხად გამოდგება, ვაშებლაგოროდია კი ვერ ისწავლა. შეიძლება ამიტომაც უცქერის ავი თვალთ ასეულის მეთაური სვეტლოვი!

მიუხედავად იმისა, რომ სამსონმა გამაფრთხილა, თურქ ასკერთან შენი შეხვედრის ამბავი არავის უთხრაო, ერთ ჩემს ახლო მეგობარ ჯარისკაცს სოვა კონდაროვს ყველაფერი დაწვრილებით მოგუყევი. იგი ძალიან დაინტერესდა და საქციელი მომიწონა, ყოჩაღად მოქცეულხარო.

ჩვენს ასეულში ბევრი კარგი, სანდო და საამხანაგო მეზობელი იყო. ოფიცრებშიც იყვნენ კეთილშობილნი და თავაზიანნი. მაგალითად, თუ ასეულის მეთაური კაპიტანი სვეტლოვი გულწვიადი და ავი იყო, მისი მოადგილე პორუჩიკი ბოგაჩევი თავლივით ტკბილი, თავაზიანი და საყვარელი, ჯარისკაცებთან დაახლოვებასა და მათთან საუბარსაც არ თავილობდა. განსაკუთრებით სამსონს უყურებდა კეთილი თვალთ. ერთხელ შევნიშნე კიდევ, განზე რომ გაეხმო და ხმადაბლა რაღაცას ესაუბრებოდა.

როცა ამის შესახებ სამსონს ვკითხე, მან ხელი ჩამიქნია: ბრიყვია, ან სხვა ჰგონია ბრიყვიო.

გამიკვირდა, რატომ უწოდებს ბრიყვს-მეთქი, მაგრამ მისთვის არ მიკითხავს.

ერთ საღამოს ასეულის უფროსის შიკრიკი მოვიდა, ათეულის უფროსს რაღაცა საიდუმლოდ უთხრა, ზემდეგ ჩემთან მოვიდა და მიბრძანა გავყოლოდი.

— სად უნდა წამოგყვე? — ვკითხე მე და ათეულის უფროსისაკენ მივიხედე.

— ასეულის უფროსთან! — მითხრა ათმეთაურმა და რაღაც დანანებითა თუ სიბრაღულით გამომაყოლა თვალი.

ასეულის უფროსი ადგილზე არ იყო, მაგივრობას მისი მოადგილე პორუჩიკი ბოგაჩევი ასრულებდა და ოდნავ შვება ვიგრძენი.

უფროსმა თავიდან ფეხებამდე ჩამათვალიერა. ზემდეგ ქალაღი გადმოიღო, კალმისტარი მოიმარჯვა და შემომხედდა:

— გვარი, სახელი, მამის სახელი, ქვეშევრდომობა, სარწმუნოება! — ერთმანეთს მოაყოლა მან და ამხედა.

ვუპასუხე. გაზეპირებული მქონდა ეს სავალდებულო პასუხი.

— აბა ახლა მომიყევი საზღვარზე შენი გადასვლისა და თურქებთან საუბრის შესახებ. ნუ გერიდება, ილაპარაკე შენებური რუსულით. ყვე-

ლაფერს მივხვდები და გავიგებ. — თითქოს კეთილად მაგულიანებს და მათამამებს.

— ნე ზნაეშ, ვაშა ბლაგაროდია. — ვბასუხობ მე.

იგი რაღაცას წერს. ხანდახან შემომხედავს, რაღაცას ჩაიღვრავს და ისევ ჩაიწერს. ახლა ვერ ვარ გუნებაზე. მართალია, ეს კეთილი კაცია, მაგრამ მეფის ერთგულია, ქრისტიანია, ღვთის მორწმუნეა და ურწმუნოსთან დაახლოებას როგორ მაპატიებს!

როგორ ეტყობა, მართლაც არ ფიქრობს პატიებას. ჰოდა რა მიშველის ახლა?! გამცა იმ წყეულმა სოვამ, თორემ სხვამ ვინ იცოდა ეს ამბავი. სამსონი ხომ არავის გაუშხელდა!

— რას იტყვი? — მომჩერებია პორუჩიკი და კითხვის პასუხს ელოდება.

— ნე ზნაეშ, ვაშა ბლაგაროდია! — ვბასუხობ მე და ამ „ნეზნაეშს“ გარდა ყველაფერს ვივიწყებ.

— პოლეგოი სუდ! — თქვა მან და კალმისტარი დადო.

— ტაჟ ტოჩნა, პალეგოი სუდ ვაშა ბლაგაროდია! — გავიმეორე მე.

იმ ღამეს საგანგებოდ მორიხილ საკანში ჩამავდეს. ბნელოდა, ციოდა, შმორის სუნი იდგა, მაგრამ ყველაზე უფრო მე ხვალინდელი დღის მეშინოდა, როცა მეფისა და სარწმუნოების ღალატის ბრალდებით საველე სასამართლოს გადამცემდნ და...

ექვსი მებრძოლი დახვრიტეს გასულ თვეში სულ უბრალო დანაშაულისათვის... მორჩა, ცხრამეტი წლის ასაკში ჩამოიფერფლა ჩემი სიცოცხლე. მერე როგორ, რისთვის? ბრძოლაში მაინც მოვმკვდარიყავი. საწყალ ჩემს მშობლებს სათქმელი მაინც ექნებოდათ: ჩემმა შვილმა მეფესა და სარწმუნოებას შესწირა თავიო. ახლა კი... მოლაღატე, სარწმუნოებისა და ღვთის მგმობელი...

უბედურო ჩემო თავო, ჩემო მშობლებო! რა მომელის ხვალ, სად ვიქნები ზეგ, ამ კვირაში, ამ თვის ბოლოს!?

ვითვლი წუთებსა და საათებს, დღეებსა და კვირებს და როცა გავიფიქრებ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ აღარ ვიქნები, თავში ლოდივით ჩამაწვება რაღაც სიმძიმე.

დილით მოგვიანებით გამომიყვანეს. მოკრიალებულ ცაზე მარტის მზე კაშკაშებს. საცაა დათბება ქვეყანა. საბრალო მებრძოლები გამოამხურებენ თავიანთ დაკენილ მაზარებს და საცვლების რეცხვას შეუდგებიან. ნეტავი მათ, რომ საველე სასამართლოში არა აქვთ საქმე!

ასეულის უფროსი კაპიტანი სვეტლოვი დაბრუნებულა, თავის მიწურში ზის, მახლობლად პორუჩიკი ბოგაჩევი გაჩერებულა და რაღაცას ესაუბრება. კაპიტანს წინ უდევს მოადგილის მიერ ჩემი დანაშაულობის თაობაზე შედგენილი ოქმი და ბეჯითად დასცქერის.

რომ შემოიყვანეს, ისეთი თვალებით ამომხედა, რომ შიშისაგან ცაქდა-
ხი დამაწყებინა. ასეთი მკაცრი და საშინელი აქამდე არასოდეს არ მიჰყენე-
ბია იგი.

— მომიყვანეთ კონდაროვი. — უბრძანა შიკრიკს და პორუჩიკს მი-
უბრუნდა. — თქვენ როგორ ფიქრობთ?!

— დასმენა სწორია. სანდო ჯარისკაცია* კონდაროვი. ეს კი... — მე
ამომხედა. — მუდამ იმ გორაძესთან საუბრობს ძალღუერ ენაზე. იგი ხომ
პირწავარდნილი რევოლუციონერია. სწორედ ამისათვის არის გამოგზავ-
ნილი წინა ხაზზე, რომ იქნებ ადრე მიუსწროს სადმე სიკვდილმა... შესას-
წავლია.

ამ დროს კონდაროვიც შემოიყვანეს და ჩემს გვერდით გააჩერეს:

— რა იცი შენ ამ ბრიყვის შესახებ?! — ახლა მას მიაჩერა კაპიტანმა
თავისი მრისხანე თვალები.

— რაც მის კეთილშობილება პორუჩიკ ბოგაჩევს მოვახსენე, თქვენო
მაღალკეთილშობილებაჲ. — მიუგო ჩემმა დამსმენმა.

— ბალტუნ! — შემომხედა კაპიტანმა. — დედაბერივით აბნევ სიზმ-
რებს მეფის ერთგული ჯარისკაცი!

— ტაკ ტოჩნა, სიზმრებს, თქვენო მაღალკეთილშობილებაჲ! — და
უეცრად თავში ახალმა აზრმა გამიელვა. — ღამე ცუდად მეძინა, მაგრამ
სიზმარი მაინც ამეკვიატა. ვითომ იმ ურწმუნოების მხარეში მოვხვდი. მე-
ლაპარაკეს, ველაპარაკე, შემდეგ გველები მომისიეს და გამოვიქეცი.

— გველები არ უთქვამს, თქვენო მაღალკეთილშობილებაჲ! — წამო-
იძახა კონდაროვმა და ფერი ეცვალა.

— ჩუმაღ! — ახლა მას უყვირა უფროსმა. — რუსული რომ კარგად
არ იცის და რაღაცას მიედ-მოედება, ამიტომ უნდა გაუგო ცუდად?

მე ამხედა: — კიდეც რა დაგესიზმრა, შე ბრიყვო!? იქნებ სულთანის
სავარძელიც შემოგთავაზეს, უბედურო! — და ორივეს: — ვონ, ოტსუდო-
ვო! — გვიყვირა გაბრაზებით, წამოხტა და ერთი პანდური ისე მაგრად
ამოძკრა, რომ სიმწრისაგან ჩავიკეცე. — კიდეც ილაყბებ და სიზმრებს
ცხადად მოაჩვენებ ასეთ ჩერჩეტებს?! — და მეორე პანდური ჩემს ღამს-
მენელს მიაართვა და გარეთ გამოგვავდო.

— როდის მითხარი სიზმარი იყოო, — საყვედურით მითხრა ჩემმა
დამსმენმა. —

— თავიდან მომშორდი! — შევეუტიე მე. — განა არ ვიცი, რაც გამო-
კეთე?

— მე მართალი თქვი მეგონა, თორემ სიზმარს როგორ... — რაღაცა
უნდა ეთქვა, მაგრამ ისე მაგრად გავარტყი, რომ ენა მუცელში ჩაუვარდა.

ჩემი ამბავი ოცეულში ყველას გაეგო და შეწუხებულყვნენ. სიკვდი-
ლით დამუქრებოდნენ დამსმენ კონდაროვს. და როგორც შემდეგ გავიგე,
მუქარას უთუოდ შეასრულებდნენ, მე რომ რაიმე დამშავებოდა.

სამსონს რომ ჩემი გადარჩენის ამბავი მოვუყევი, გაიღიმა.

— ჰო, ბეწვზე გადარჩი. — მითხრა მან. — შენი ბედი, რომ მოგვევლინა მხსნელად, თორემ...

— სვეტლოვი?! ისეთი პანდური ამომკრა რომ...

— მაგრამ დახვრეტას გადაგარჩინა.

— სვეტლოვმა?! — გაკვირვებით შევაჩერდი მე.

— და კიდევ სხვებმა... ეჰ, ჩემო ძმაო, ადამიანის სიავკარგე ტკბილ სიტყვაში კი არა, მის გულშია. ფრთხილად იყავი, სვეტლოვის პანდური ყოველთვის ვერ აგაშორებს სასჯელს!

ახლა ყველაფერი გასაგები გახდა ჩემთვის. ჩემი გადარჩენის მიზეზი სვეტლოვთან ერთად სხვებიც ყოფილან, რომლებსაც საიდუმლოდ უზრუნვით კეთილი საქმის გასამარჯვებლად. იმათში უთუოდ სამსონიც ერია.

ერთ დილას შეკრების საყვირი დაჰკრეს და ყველა წამოვცვივდით. ასეთი საყვირი ფრონტის წინა ხაზისათვის უჩვეულო იყო. ასე მხოლოდ ღრმა ზურგში იცოდნენ, ხოლმე. აქ კი მხოლოდ საგანგაშო საყვირს დასცემდნენ და ბრძოლაში ჩასაბმელად გვისმობდნენ.

— რა ამბავია?

— რა მოხდა? — ვეკითხებოდით ერთმანეთს და შესაქრებ ადგილსაკენ გავრბოდით.

ასეულის უფროსი საზეიმოდ მორთული დაგვხვდა, მუდამ მრისხანე თვალები კეთილად უბრწყინავდა.

მწყობრში ჩავდექით. ჩვენმა მეთაურებმა თავთავიანთი ადგილი დაიკავეს.

— ასეულო, სმენა! სწორება მარჯვნივ! — გასცა განკარგულება სვეტლოვმა და ჩვენთან ერთად თავი მარჯვნივ მიაბრუნა.

მახლობელ გორაკზე რამდენიმე ცხენოსანი მხედარი გამოჩნდა. ერთმა თვანს, რომელიც ყველაზე წინ მოაგელვებდა ბედაურს, ხელში წითელი ღროშა ეჭირა და ჩვენსკენ მოაფრიალებდა.

— აი ჩვენი გამარჯვებისა და იმედის ნიშანი! — წამჩურჩულა სამსონმა.

ცხენოსნები მალე მოგვიახლოვდნენ. ღრრშიანი მხედარი ჩვენთან მოსვლისთანავე ჩამოქვეითდა, მწყობრის წინ გაჩერდა და თვალი მოგვაგლო:

— ამხანაგებო, მეფის ტახტი დაეცა, რევოლუციამ გაიმარჯვა, მოგილოცავთ ამ დიად დღესასწაულს!

ჩვენ ნაბრძანები არ გვქონდა, არ ვიცოდით როგორ მოვქცეულიყავით, რა გვეპასუხა ამ მოლოცვაზე, მაგრამ ყველამ ერთბაშად შევსძახეთ ვაშა და ქუდები მაღლა შევისროლეთ.

მალე სახელდახელო მიტინგად იქცა ჩვენი შეკრება. ილაპარაკეს სტუმრებმა, რომელთა შორის ორი სამოქალაქო პირიც ერია. გავაცნეს

თუ რა მოხდა რუსეთში, როგორ დაეცა რომანოვების ტახტი და დიდი რუსეთის მიწა-წყალზე თავისუფლების დროშა აფრიალდა? ერთი სამოქალაქო პირი, რომელსაც ყველაზე მორიდებით ეპყრობოდნენ, მივიდა ჩვენი ასეთულის უფროსთან, თვალეზში ჩახედა, შემდეგ ორივე ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა და გადაკოცნა.

რას ნიშნავს ეს?

— სვეტლოვის ძმა, კატორიდან ახალდაბრუნებული. — წამჩურჩულა სამსონმა და მხარზე ხელი დამკრა.

— სვეტლოვის ძმა?! — გაოცებისაგან პირი დავაღე მე.

ყველაფერი გასაგები გახდა. ვზეიმობდით, გულოცავდით და ვეხვეოდით ერთმანეთს. ყველას დიდი სიხარულით გვიცემდა გული, მაგრამ ჩვენს სიხარულს ზოგი ვინმე არ იზიარებდა. ერთი იმათთაგანი ჩემი დამსმენი სოვა კონდაროვი იყო, ხოლო მეორე — მისი წამქვებელი პორუჩიკი ბოგაჩევი. იგი ჩვენთან ახლოს იდგა, ილიმებოდა, მაგრამ ის დიმილი მეტად მწარე და უნუგეშო იყო.

როცა მიტინგი დამთავრდა და მებრძოლეებმა ცეკვა-თამაში და სიმღერა გააჩაღეს, სამსონთან მოვიდა კაპიტანი სვეტლოვი, ხელი ჩამოართვა, რევოლუციის გამარჯვება მიულოცა, მოეჭვია, გადაკოცნა. იქვე ახლოს რომ დამინახა, გამიღიმა:

— ბალტუნ! შენთვის ორმაგად მომილოცავს. — და სამსონზე მანიშნა: — რომ ამას არა, შენ ამ ჩვენს ზეიმზე არ იქნებოდი. — და ხელი გამომიწოდა.

ეს იყო დიდი ბედნიერება, დიდი გამარჯვება, დიდი ზეიმი, რომელიც არასოდეს დავიწყებას არ მიეცემა.

ახლა ნათელი იყო ჩემთვის თუ ვინ მიხსნა სიკვდილისაგან, გამხელილი სინამდვილე სიზმრად მაღიარებინა და გადამარჩინა.

* * *

— მერე, ბაბუ, მერე? — თხრობის გაგრძელება სურს პატარა გურამს.

— მერე, რა?

— იმ შენს დამსმენელს რით გადაუხადე სამაგიერო? — სურს გაიგოს ცირას.

— არა, მე შური არ მიძიებია, მაგრამ ჩემს გარდა სხვებიც ყოლოდა დაბეზლებული და...

— რა?

— იქვე ჩააძაღლეს, თხრილში.

— ის პორუჩიკი?

— მეორე დღესვე გაქრა სადღაც და მისი კვალი არავის უნახავს.

— იმ თურქი ასკერის თუ იცი რამე? — ისევ ცირას აწუხებს იმ თურქის ბედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გაეგოთ ჩვენი შეხვედრისა და დამეგობრების ამბავი და დაეხვ-
რიტათ, ის უბედური.

— საბრალო!.. — ბავშვებს უმანკო ოხვრა აღმოხდათ უმაღლეს.

— მას შემდეგ ომი აღარ ყოფილა, ბაბუ?

— როგორ არა. იყო უფრო ძლიერი და უფრო მკაცრი, მაგრამ სიმა-
რთლემ გაიმარჯვა და ჩვენი წითელი ღროშა უფრო ფართოდ გაიშალა
დედამიწის მრავალ ქვეყანაში.



ფრიდონ ხალვაში

ნ უ გ ე შ ი

ნუგეში უნდა ყველას და ყოველს,
 ნუგეში სიტყვით,
 ნუგეში საქმით,
 მზის სხივებიც კი ნუგეშს ითხოვენ,
 სხვაგვარად ისიც იქნება ჩაქრეს.
 ჩვენში ქარი რომ გლეჯდა უხეში
 ტაძრებზე გუმბათს, ქოხებზე ყავარს,
 ისმოდა მშობელ მიწის ნუგეში:
 მე მაინც გყავარ,
 მე მაინც გყავარ.
 ფოთოლი რაა, ფოთოლსაც უნდა
 ნუგეში ხელის,
 წვიმის და ზეცის,
 გულს კი ნუგეში ყველაზე მეტად
 მოარჩენს, —
 თორემ გული თუ გეწვის,
 მაშინ ხომ ყველა გზა ჩაიკეტა.
 ნუგეში უნდა ყველას და ყოველს:
 კაცებს და ჩიტებს,
 წყლებსა და გემებს.
 უნუგეშობა ხომ მუდამ ტოვებს
 შიშს, დამარცხებებს,
 დაცემას, ნგრევებს.
 ჩვენებურს შეევდო სტამბოლს და იზმირს,
 (გული გულს თურმე უმაღლესებს)
 და ვიგრძენ — მისი ღიმლიც ითხოვს
 საქართველოდან ჩატანილ ნუგეშს.
 მაგრამ ამგვარი ნუგეშის პოვნა
 ყოველთვის როდი გეადვილება.

ძნელია ყველა იმედის მოვლა,
თუმცა იმედი აღარ ილევა.
ნუგეში უნდა ყველას და ყოველს:
შრომას და სურვილს,
აზრსა და სიტყვას,
სახლსა და მიწას,
ფესვსა და რტოებს,
შენც, მეგობარო, რომ ძლიერ გიყვარს,
თუ ცოცხლობ კიდევ უნდა გიყვარდეს!
რაა სხვაგვარად წუთისოფელი,
თვით სიყვარულიც სიყვარულს გარდა
ყველგან, ყოველთვის ნუგეშს მოელის.
დღეს უფრო მეტად გვინდა ნუგეში,
ნუგეში დიდთა ბრძენთა სულების,
რომ შებმულებმა კაცურ უღელში
რწმენით ვიაროთ დაუსრულებლივ.

კარჩხალის მთა

აი, კარჩხალის მთა თოვლიანი,
ჩაფიქრებული რომ შემოგვცქერის,
ფერხთ დაფენია მწვანე ფარჩები,
თავს ულამაზებს თეთრი თმაწვერი.
არ შეიძლება იგი სხვა იყოს,
თუ არა ჩვენი და ჩვენებური,
ისე უდიერ და უსაშველო
დრუბელ-ქარებთან არის შებმული.
რას მეუბნება მისი დუმილი,
ან დანისლული მისი თვალები?
სპეტაკი თოვლით გადაბურული
შუბლის სინათლით რად ვიმსჭვალე?
უხდება მზერა ლურჯი სივრციდან,
შვენის მარადი თეთრი სიმაღლე.
ეტყობა, ასე დიდხანს იფიქრებს,
ეტყობა, ასე დიდხანს ინაღვლებს.

სხალთის ტაძარი რომაა ძველი
იქ, რვაასი წლის ბუბის შრილში,
მე შევხვედრივარ ბერ ქოჩახელას
ჭიბონი ეპყრა მას ილღიაში.
ზურგზე ეკიდა გულდა უხეში,
ჰქონდა სიმინდი შიგ და ლობიო.
თქვა: ჭიბონია ჩემი ნუგეში,
ის რომ თანა მაქვს, არ ვიღლებიო.
ჩაგებრავ სულს და იტყვის ჭიბონი
ამ მთების გულში რაც ღარდებია,
შეიფართქალებს ვაზი ჭიგოზე
და გათოშილი ხმელი თითები
ლერწმის სუნთქვაზე გამითბებიან.
მინდა სიმღერით გულები ვალბო,
ყველა ეზოში უნდა მივიღე.
ქირად მომეცით პეშვი ლობიო
და ორიოდე პეშვიც სიმინდი.
არა, სიმღერას მე არ გავეყიდი,
მაგრამ ამ სულის ხაჯვით გარჯილი,
ხმათა მთესველი კაცი ერთი დღის
შრომამ ერთი დღე მაინც მარჩინოს.

შენ, პეჩორა და ნისლი

მიყვარს პეჩორა...
რალაც სულ ახალს
და უსასრულოს თითქოს მიმატებს.
საკვირველია, რაც არ მინახავს
ასე ძლიერად როგორ ვინატრე.
გაიგე ისე, როგორც გინდოდეს, —
თუმცა ჩრდილოეთის სუსხმა მერჩოლა,
ცივი ნისლებით გაესილ მინდორებს
რომ ჩახვევია, მიყვარს პეჩორა.
მგონი ეს სევდა მაშინ გადიდდა,
რომ გითხარ: შენი ღიმილი მომწონს...
მინდოდა ჩვენზე ეთქვათ: წავიდნენ,
შორს, პეჩორასთან ანთებენ კოცონს.

და გაყინული რაცაა ქვეყნად
მე იმ კოცონით გამელზო მსურდა,
მთელ ლაქვარდების წვეთებად შეყრა
და ცისფერ ჩქერთა ქუხილი მსურდა.
რომ იქაც, სადაც მიწას უღევი
კვირტი ხორშაკთა ქროლვით შეახმა,
ჩვენგან მიშვებულ ნაკადულებით
დაბრუნებოდა სუნთქვა ხელახლა.
აბა რად მინდა პეჩორა ისე,
რა უნდა მქონდეს იქ დასანახი.
ნისლი?
ჩემი მთის ნისლი ჯობია, —
სქელი და თბილი, ვით ყაბალახი.

წყალი ჩამოდის

პ. რურუას.

ცხოვრება მართლაც გვაქვს საოცარი:
თეთრი და მწვანე ქუჩების წყება
კალმახებივით ბრიალა ქარვის
ლამპიონების ჩანჩქერში წვება.
სახლები დგანან, როგორც დენდები,
შუშის ცისფერი ჩოხები შვენით.
მე კი იმ ერთ ძველ სახლთან შევდგები
და მაგონდება ამბავი შენი.
ჩუმი ნალველით,
მაგრამ ყოველთვის
წელგამართული, მოზიდულ მხრებით,
ქუჩა და ზღვა რომ ერთმანეთს ერთვის,
იქ შენ ბავშვური ღიმილით მხვდები.
შენ კეთილ სალამს ვინ დაგასწრებდა,
— ხომ კარგად?
— რა ვქნა — მეტყოდი მწყრალი, —
სახლში პირდაპირ ველარსად ვწვებით,
ძველ სახურავში ჩამოდის წყალი.
ახალმა სახლმაც მზით ვერ აგავსო.
რომ გაკვესავდა ცისკარის ალი,

უკმაყოფილო მხედებოდი გზაზე:
— რა ვქნა, ოთახში ჩამოდის წყალი.
გულში ახალი დღეები მღერის,
თვითელს ქვეყნის მიგვეყვება ვალი.
და ამ ცხოვრების გახერხებულ ჭერში
ალბათ ყოველთვის ჩამოვა წყალი.

* * *

პოლონეთში ბათუმზე
ლექსს მღერიან ვიცი,
მეც მინდოდა, ლოძო, შენ
სიმღერაში მექე,
მაგრამ შენს უნახავად
შენზე წერა მიმძიმს,
თუმცა შენი ზარები
სულში თითქოს რეკენ.
ერთი თეთრი გოგონა
გავიცანი ერთხელ,
ირხეოდა შავ ზღვასთან
წვრილი, როგორც წიწვი.
მისი ლურჯი თვალები
ჩემს შავ თვალებს შეხვდნენ...
მითხრა: ლოძიდანა ვარ
და სიმღერა ვიცი.

და მიმღერა ბათუმზე
პოლონური ლექსი.
წარმიტაცა, მომნუსხა
სიყვარულის მაღლმა.
მოწკრიალე მისი ხმით
ჰავა უფრო ვათბა,
მე კი პეშვი ჰაერით
ავივსე და შევსვი.
იმ გოგონას ღიმილში
შენ გაგიცან, ლოძო.
მგონი ის კვლავ აქაა
და ზღვისპირზე მიცდის.
მინდა მისი ლამაზი
ქალაქი მეც ვაქო...
პოლონეთში ბათუმზე
ლექსს მღერიან ვიცი.



აქაკი გელოვანი

სიკვდილი და ყმაწვილი

თავი მეთექვსმეტი

სიზმარების ღამე

როცა დადამდა და შორიდან ჭოტის კივილი მოესმა, ალიკოს ზღაპარი გაახსენდა: დედინაცვალმა შუალამისას ორი გერი ძროხის საძებნელად რომ გაგზავნა და ერთიმეორის ძახილში ორივენი ჭოტებად იქცნენ.

ეს ზღაპარი რამაზ პაპამ უამბო. მანვე ასწავლა შოთას სიბრძნე: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.

შიშმა, შიმშილმა და მარტოობამ ბავშვი საოცარი ოცნების სამეფოში შეიყვანა. როცა ყმაწვილს ეძინა, მის ფანტაზიას ელვია და ათას მოგონებას უცოცხლებდა. ზოგჯერ სიფხიზლეშიც უცნაური ამბები ელანდებოდა და თავი სიზმარში ეგონა. ეს სასიამოვნოც იქნებოდა, რომ შიმშილისა და დაღლილობისაგან ასე შეწუხებული არ ყოფილიყო.

აი, საკვირველი ზმანება... სიზმარი იყო თუ ცხადი? კაკლის ხესთან იდგა თანაკლასელი თამაზ ქარცივაძე და ნიგოზს ტეხდა. მშვიდ ალიკოს სულმა წასძლია და მუდართით უთხრა:

— თამაზ, რა იქნება მეც რომ მომცე კაკალი!

თამაზი აწუწუნდა:

— ჩემო ალიკო, სულსაც არ დაგიშლი, მაგრამ რა გქნა რომ მხოლოდ ეს ერთი კაკალია მაქვს.

— იცი თამაზ, ათი დღეა არაფერი მიჭამია, სული მელევა, მუხლები მეკვეთება, შენ კი მაძლარი ხარ და ჩემთვის ერთი კაკალიც არ გემეტება?

თამაზმა რომ შეხედა აცრემლებულ მეგობარს, სიბრალულთ გული აეწვა და ლამის ატირდა.

— ნუთუ ამდენი დღეა მშვიერი ხარ, საბრალოვ! აჰა, გამომართვი, მაგრამ ისეთი კერკეტა ნაჭუჭი აქვს, აგერ რამდენი ხანია ვწვალვო და გული ვერ ამოვაცალე. იქნებ შენ მოუხერხო რამე. — და მეგობარს გაუწოდა, ვერც კი მოიფიქრა ეკითხა, რა დაგემართათ.

ალიკომ კაკალი გამოართვა, გატეხა, კერკეტა ნაჭუქს ნამცეხ-ნამცეხად ამოაცალა გული და პირში ჩაიყარა, მაგრამ ემწარა და ეჩეჩებოდა ეწყინა, რატომ მომატყუაო და უსაყვედურა:

— ჭრუ კაკალი მოგიცია, ჭრუ, შე უსინდისო!

— რა ვქნა ძამიკო, რაც მქონდა ის მოგეცი, მეტი არა მაქვს, ისიც ბალახებში ვიპოვე. უკეთესი თვითონ მონახე. ალიკო, აი შეხედე კაკლის ხეს, — ხელით ანიშნა თამაზმა, — იმდენი ასხია, ერთი ურემი გამოვა. ხეზე ასვლა ხომ გეხერხება?

როგორ არ ეხერხება. ალიკოს ხეებზე ცოცვა უყვარს. განა ერთხელ და ორხელ აცოცებულა მაღალ ხეებზე? ავიდოდა და ტოტზე ჩამოჯდებოდა, მერე მთელი სოფლის გასაგონად ნალარას დასცემდა, აბა ერთი მოდით, ნახეთ რა ბიჭი ვარო!

ყმაწვილი კაკლის ხისკენ წალასლასდა. მართლაც იმდენი კაკალი ასხია, ტოტები დაბლა დაუხრია. ალიკო მკერდით მიეხუტა ხეს, ხელები მოხვია და ნელ-ნელა აცოცდა. აცოცდა და მსხვილ ტოტზე ჩამოჯდა. მერე თვალად პატარა, მაგრამ ნაყოფით სავსე ტოტი შეარხია და თავისკენ მიიზიდა, ტოტი შეირხა და ზევით აიწია. ალიკოც მიჰყვა. მერე კიდევ იგივე განმეორდა. ერთი კაკლის მოწყვეტა მოასწრო, მაგრამ ხელიდან დაუსხლტა. ტოტი კვლავაც ზევით მიიწევდა და ბიჭიც მიცოცავდა კენწეროსაკენ.

უცებ ხეს კენწეროზე მოექცა, ძირს რომ გადმოიხედა, თავბრუ დაესხა და კინაღამ ჩამოვარდა. უმაღლე ხეს ხელებით შემოეჭდო, თავი შეიმაგრა. მაგრამ გრძნობდა, რომ შიმშილისაგან გული მისუსტებოდა და ასე დიდხანს ვეღარ გასძლებდა. მისდა უნებურად წამოიძახა: — მიშველე ღელა!

და ყმაწვილს გამოელვია.

ღამდებოდა, ნაღვლიანად გახედა ტყეს. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ო, რა კარგი იქნება, ახლა შინ იყოს, რა კარგი!

ხალისიანი ღლე რომ მიიწურებოდა, მიუჯდებოდა მაგიდას და ლამპის შუქზე კატას ხატავდა.

მივიდოდა უფროსი და, ჰკითხავდა, ეს რა არისო?

— კატა, — მიუგებდა მხატვარი.

— მაშ მიაწერე ქვეშ, რომ ეს კატა, თორემ მე სპილო მეგონა, — და იყო ერთი სიცოლი.

ხან რამაზ-პაპასთან მიირბენდა, ხან ღელას ეხმარებოდა, ხანაც ცვილისაგან ჭერწავდა რაღაც ცხოველს, მერე ისე, რომ ფრინველისაგან ვერ გაარჩევდით. თუ ეტყოდნენ ეს სახედარიო, ალიკოსაც სჯეროდა, რომ სახედარია. უფრო სახედარს ძერწავდა, რადგან ამ ცხოველის გამოცნობა შედარებით ადვილია გრძელი ყურებით.

დილით ადრე ადგებოდა, წყაროზე ხელ-პირს დაიბანდა, ისაუზმებდა და მერე ანზორს გადასძახებდა:

— ჰეი, ანზორა, ადე ჭო, გამოიყე თხები!

ორლობეში ანზორი გამოჩნდებოდა.

— გეძინა?

— მეძინა კი არა! — შეუბღვერდა მეგობარი. — ზღმარტყუნა ჩემი რქაფიწალა ხარი ეძგერა შენსას, გვერდი სულ შეუნგრია.

— გვერდში ეტაკებოდა, აბა პირდაპირ სად შებედავდა! — მოუჭრიდა სიტყვას ალიკო... და მერე ერთმანეთზე ხელიხელ გადაჭდობილნი ხმაურით ჩაივლიდნენ ორლობეში.

რა კარგი იყო, დედის გვერდით რომ იჯდა.

რა კარგი იყო, როცა დედის კალთაში ჩაეთვლიმებოდა.

ახ, ნეტავი სახლში იყოს ახლა!

როგორ უყვარდათ შინაურებს!

თვალწინ დაუდგა დედის სახე, მოაგონდა დედის სიტყვები: — ყველაფერი რაც გამაჩნია, შენთვის მინდა შეილო, შენ შემოგველოს ჩემი თავი.

— ჩემიც! — დაუმატა ძმამ.

— შენიც? შენი ჭირიმე. შეგცდა თუ მართლა ამბობ? — ჰკითხა დედამ შეილს.

— ვანა შენ შეგცდა?! — ეწყინა ბიჭუნას.

— არა შეილო, დედა ყოველთვის გულით ამბობს, გულით.

— ძმაც გულით ამბობს.

დედა ეხვევა და ეალერსება შეილებს.

რა საამოა დედის ამბორი!

რა საამოა დედის ალერსი!

ასე შეჭხაროდნენ შინ, ახლა კი... შიმშილს და სიკვდილს ებრძვის პატარა ალიკო.

თავი მეშვიდე

შახვედრა სიკვდილთან

ფუტკარი ყვავილზე იჯდა, ხვართქლას ყვავილზე. ჯერ გარედან დააჯდა, მერე ქათქათა ქოლგის გულში ჩაძვრა. ალიკოს გაეხარდა: ამ ყვავილს თავს წავუკონავ, მოვწყვეტ, წავიღებ და ფუტკარი თაფლს გამიკეთებსო. ასე ოცნებობს ბიჭუნა. ყმაწვილი მიეპარა ფუტკარს და ყვავილს ბალახის ღეროთი თავი წაუკრა, მერე მოწყვიტა და თან წაიღო. მოაგონდა: ერთხელ მამა სახლის სხვენზე ავიდა. პირდაპირ ყავრიდან ცხრა დიდი ფიჭა ეკიდა, თაფლით გაჭედილი და ფუტკრით დახუნძლული, ყავრის ჭუჭრუტანაში ჩამძვრალიყვნენ და „ჰაერზე“ დასახლებულიყვნენ. „სიმ-

დიდრე ყველგან არის, მხოლოდ მიგნება და მოპოვება უნდა“, თქვა მამამ... მაგრამ რა ქნას პატარა ბიჭმა, სად მიაკვლიოს სიმდიდრეს? ახ, ნეტავ, ერთი კოვზი თაფლი მისცა ახლა, ყელს ჩაიტკბარუნებდა. შემშლისაგან მისუსტებულ ყმაწვილს ჩაეძინა. სად იყვნენ ფოცხვრები, ყმაწვილს ფოცხვრები შემოესიენ, ნემსივით წვრილ კბილებს კრე-ჭენ და მისკენ კატებივით მოიპარებინან. მაგრამ უცებ მზე გამოჩნდება და დამფრთხალი ნადირები სადღაც გაიფანტებიან.

შუალამისას ყმაწვილმა საშინელი სიზმარი ნახა: ვითომ ჩონჩხი გამო-ეცხადა. ეს იყო სიკვდილი, მაგრამ ბავშვმა რა იცოდა, მოლანდებას ჩა-ამტერდა.

რა საზარელი სანახავი იყო! გასაქცევი გზა არ ჰქონდა და ბედს დამო-რჩილდა. ჩონჩხმა საგდებელი ესროლა, ყულფმა კისერში წაუჭირა. იხ-რჩიბოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ ყოველ განძრევაზე ყულფი უფრო და უფრო უჭერდა. ჩონჩხი კი ხარხარებდა, ხარხარებდა, გარშემო ბუქნას უვლიდა და გამარჯვებას ზეიმობდა.

ყმაწვილს გამოეღვიძა. არც ჩონჩხი ჩანდა, არც მთვარე.

მეორედ ის ალიონის წინ გამოეცხადა, როცა რბილ ბალახზე კვლავ ჩაეძინა.

ყმაწვილი წყნარად სუნთქავდა, როგორც ფოთოლი, როგორც ბალ-ახი, რომლის სუნთქვა მარტო მიწას ესმის.

სიკვდილი ეკითხებოდა:

— რა გქვია, ბიჭიკო?

— ალი!

— ალი? — შეკრთა სიკვდილი.

— ჰო.

— ცეცხლის ალი ხარ?

— არა!

— ტყის ალი ხარ?

— ცეცხლისა და ტყისა რად ვიქნები, დედისა ვარ.

— დედას მაშინ იყავი, ახლა ჩემი ხარ.

— შენ ცივი ხარ, ყინულივით ცივი, შენი არ ვიქნები, არა. არ მომე-კარო, გამშორდი.

— არა, არ მოგშორდები, ჩემს სახლში უნდა წაგიყვანო.

— სად არის შენი სახლი?

სიკვდილმა ხელი დაუშვა, დამკვნარი საჩვენებელი თითით მიწა უჩვენა.

— საქმე არა გაქვს? მაშ წადი, საქმე ნახე!

— შენთან მაქვს საქმე. შენზეც უნდა ვცადო ჩემი ძალა.

— მე მძულს შენისთანები. მომშორდი!..

ყმაწვილმა შარშან მასწავლებლის სახლში ერთი სურათი ნახა. ადა-მიანის ჩონჩხს გაძვალტყავებული ხელი ჩაევლო ბავშვიანი ქალისათვის

და სადღაც ბნელ ძღვემეში მიათრევდა. მეორე ხელში ცელი ეჭირა. სურათმა ბავშვზე ისე იმოქმედა, შეაყრყოლა.

— რა არის ეს? — ჰკითხა მასწავლებელს.

— სურათმა შეგაშინა ბიჭო, — გაეხუმრა მასწავლებელი და გაიხუმრა.

— ამ სურათს „დედა და სიკვდილი“ ჰქვია. სიკვდილი ცდილობს დედას შვილი წაართვას, მაგრამ ამას ვერ მოახერხებს. ნახე, დედა მზეს შესცქერის და შვილს გულში იკრავს, არ ანებებს იმ ბებერ ავაზაკს: ნუ გეშინია, ეს მხოლოდ სურათია, — და მასწავლებელმა წიგნი დახურა.

იმ დღიდან ხშირად აგონდებოდა ის საძაგელი ჩონჩხი. ახლა კი, როცა შიმშილმა მისი ნორჩი გონება და სული ააფორიაქა, ხსოვნაში სწორედ ის მოჩვენება ამოტივტივდა.

პაპის ნათქვამი მოაგონდა:

„ვისაც ენა უჭრის, თავი მოუჭერელი შერჩებაო“. ამიტომ სიკვდილს გულდაგულ შეედავა.

— ნუ ბრაზობ, მოდი, გულში ჩაგიკრა, — ეუბნებოდა სიკვდილი.

— შენ ცივი ხარ, არ მომეკარო. შენ ყინული ხარ. ახლავე მოვა ამირანი და მაშინ ნახავ, ლახტით დაგამსხვრევს.

სიკვდილს პირისპირ პირველად როდი ხვდებოდა.

ერთ საღამოს კრუნჩხვა და ძაგძაგი დააწყებინა. დილამდე სიკვდილს ებრძოდა პატარა ალიკო. შემოუტევდა შეუბრალებლად, შეაყრყოლებდა, გააშავებდა, ააქანკალებდა, ყინულის ხელს მოუჭერდა და დედას ხელში ჩვარივით შეაკეცავდა. სიმწრის ოფლი სდიოდა ყმაწვილს, თვალებს გადმოკარკლავდა, ჭერს მიაშტერდებოდა, პირიდან დორბლი სდიოდა. ასე გრძელდებოდა მთელი ღამე. მაგრამ დედის მკერდში იყო ჩახუტებული და სიკვდილი ვერაფერს გახდა; დაიქანცა, დედის გულის სითბოს ვერ გაუძლო. ყინულს ჰგავდა და ყინულივით გადნა. დილით ალიკომ გაიღიმა.

რა თქმა უნდა, ყმაწვილს აღარ ახსოვდა ის ღამე. არც ის იცოდა, რა სტკიოდა მაშინ. სოფელში ამბობდნენ, საყმაწვილო მოიხადაო. ეს იყო და ეს. მაგრამ სადღაც გონების ერთ კუნჭულში მაინც შემორჩა იმ ლანდის ხსოვნა. იცნო და გული შეეკუმშა. ადგომა სცადა, ტანი არ აჰყვა, მუხლი მოეკვეთა, თავი დაუშვიძა. ის კი მოდიოდა ობობასავით, აბრიალებდა ჩაღრმავებულ თვალებს. ახლა დედა მასთან არ იყო და ვინ უშველიდა?

მოაგონდა: საბავშვო ბაღში ერთი თანატოლი გოგონა ისე უეცრად მოკვდა, ექიმმაც ვერ მოუსწრო. იწვა ყვავილივით, თანატოლებმა ყვავილები მიუტანეს და თავისივე პატარა თეთრი ხალათი. როგორ ტიროდა მაშინ ხალხი! ალიკომ იმ დღიდან უფრო შეიძულა სიკვდილი, შეიძულა და სიკვდილისადმი შურისგებით აღივსო.

ალიონზე ყმაწვილს თეთრი ბერიკაცი ისევ გამოეცხადა. ჭლანივით დამქნარი სახე ჰქონდა, თეთრი წვერი, შუშის თვალები და გრძელი ძვალ-

ტყავა ხელები. თოვლისფერი მოსასხამი მოეგდო მხრებზე, მთელი ტანი უკანკალებდა. კბილებს კბილებზე აცემინებდა. კანკალის დროს ძვალს ხვდებოდა და ოდნავ ისმოდა ცივი ხრილი.

— წამოდი ჩემთან, პატარა ბიჭო! — უთხრა ყმაწვილს. — უჩემოდ გზას ვერ გაიგნებ!

— მერე, შენ სად უნდა წამიყვანო? — ჰკითხა ყმაწვილმა.

— ჩემს სამეფოში, მიწის ქვეშ. იქ ბაღებია, ჩიტები ჭიკჭიკებენ.

— დედაც იქ მოვა?

— დედაც იქ მოვა, მამაც, ძმებიც. ყველანი ჩემს ბაღში მოვლენ...

— მზე იქნება?

— მზე?!

— ბაბუა, რატომ კანკალებ?

— მცივა!

— მეც მცივა.

— იქ აღარ შეგცივდება.

— მშაი!

— ჩემთან შემშილს აღარ იგრძნობ.

— არც სიცხეს?

— არც სიცხეს.

— არც სითბოს?

— არაფერს.

— მაშ, უნდა მოკვდეთ?

— ჰო, უნდა მოკვდე!

— არა, არ მინდა!..

მოხუცი ჩაფიქრდა, მერე ისევ დაიწყო:

— გამიგონე, ბიჭიკო, შენ ხომ ყვავილები გიყვარს. ჩემს ბაღში უთხალავი ყვავილია. დაკრეფ და გვირგვინებს დაწნავ. არც შემშილი შეგაწუხებს და არც დარდი.

— სჯობს შემაწუხოს... მიწაში არ მინდა... მე მზე მინდა! მე დედა მინდა, მე ყველა მინდა — მამა, და, ძმა, მეზობლები, ჩემი სკის ფუტკარიც კი მომენატრა. მე სიცოცხლე მინდა, გამეცალე!

— მე ოქროს ეტლს გაგიკეთებ, ჩაჯდები და ატარებ. აი, ნახავ, რაკეთილი მოხუცი ვარ.

— შენ რომ კეთილი მოხუცი იყო, დღისით მოხვიდოდი რატომ დაღიხარ ბნელ ღამეში?

— დღისითაც შენთან ვარ, მაგრამ ვერ მამჩნევ.

— მზეს არ ყვარებიხარ, მოხუცო, მზე შენ მოგსპობს!

— მე მზეზე ძლიერი ვარ.

— შენ მხდალი ხარ, ცივი, უსიცოცხლო. პეპელაც კი შენზე ძლიერია. ყვავილებზე დაფარფატებს, თუმცა შენზე პატარაა.

მოხუცმა კბილები დაახრჭიალა, მოსასხამი უფრო შემოიხვია, მაგრამ ვიდრე შემოიხვევდა, ჯერ ტანი გამოაჩინა, გამოაჩინა თეთრი ძვლები, ნეკნები, ხერხემალი, ჩამწკრივებული და ყინულივით ცივი ძვლები. გორიც ეს უნახავს ყმაწვილს წიგნში დახატული.

ყმაწვილს გააყრეოლა, მაგრამ გული გაიმაგრა. წამოიწია, თვალი გაუხსნო.

— შენ სიკვდილი ხარ?

— მე სიკვდილი ვარ და ჩემია ქვეყნიერება! შენც ჩემი ხარ...

— შენ ცდები მოხუცო, — ნაღვლიანად გაიცინა ყმაწვილმა და ხელი აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა, — ქვეყანა იმისია!

გარიყრა ეს აღმოსავლეთის ცა წითლად შეეღება. თენდებოდა. დიდი, ბრდღვიალა მზე ამოდიოდა...

მოხუცმა ფერი დაჰკარგა, სხივებში გადნა და გაჰქრა.

ყმაწვილმა ყვავილში ჩაიხედა. აღარსად იყო მისი ფუტკარი. ვიდრე ბავშვი სიკვდილს ებრძოდა, ტყვეს ყვავილი გაეხვრიტა და გაფრენილიყო. სადღა იყო თავილი.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

სიკვდილი ღატვის კურჩში

მიდის ყმაწვილი მარტოკა ტყეში.

რამდენი იარა, რამდენი!...

დროც ხომ წიგნივით არის: ღღებები ამ წიგნის გვერდებია. მიდიხარ, მიდიხარ, ფურცლავ, ფურცლავ, ბოლოს წიგნი იხურება, შენც დაღლილი წვეები და იძინებ.

საქმე მაინც ჰქონოდა...

მამა იტყოდა: ვიდრე საქმე არ დამეღევა, რა მიჭირს, საქმე კი არა-სოდეს დამეღევაო. ახლა დარწმუნდა, რა მართალი უთქვამს მამას. ძნელია უსაქმოდ ჯდომა. უსაქმოდ სიარული უარესი ყოფილა. მიდიხარ, მიდიხარ უკმელ-უსმელი... მაინც მიდიხარ.. მეტი რა გზა გაქვს, უნდა იარო.

ბნელი ღამის ეშინოდა, რადგან ნაცნობი სიკვდილი სადღაც ბორიალობდა. აი გამოჩნდა კიდეც. ცბიერი სიკვდილი გაღიმეპის ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა და უშნოდ იკრიჭებოდა.

— რამდენს დადიხარ, ყმაწვილო, მოდი, ჩამოჯე!

— არა!

— ნუთუ არ დაიღალე?

— არა!

— რე კი დავიღალე.



— არა, შენ რომ დადლილი იყო, ამდენს არ ილაპარაკებდი.

— კმარა, შეუტოვარო ბიჭო! „არას“ მეტი არაფერი გასწავლეს? მითხრობდი, ჩამოჯექი, დაისვენე. ნახე, როგორ შრიალებს მწვანე ძეწწას. შენ ჩემსაა, ქალიშვილების სიმღერაა. ხედავ სისხლისფერ ყაყაოებს? — ეს მათი სამკაულებია. მტირალა ტირიფს რომ ტოტები დაბლა დაუშვია, ეს ჩემი ქალიშვილების თმებია. ყვავილებს რომ სიო არხევს, ეს მათი სუნთქვაა. ამ ცელს ხედავ?

მე მთიბავი ვარ,
ყველა ჩემია,
ჩემი მახვილი
ბასრი ცელია,
ქვეყნად ვერავინ
გადამრჩენია...

— ჰაი, შე ღორმუცელა სიკვდილო! თუ ყველა შენია, თუ ყველას შენ ჰამ, ასე გამხდარი და გალუული რატომ ხარ?

სიკვდილს კრიჭა შეეკრა. ან რას იტყოდა?

ყმაწვილმა სიმღერა წამოიწყო. გაბრაზდა სიკვდილი. შეიკრა შუბლი, დაჰკრა ფეხი მიწას, დასტაცა ხელი ცელს, დაიხარა და მოუქნია ყმაწვილს. ალიკომ ცელი აიციდინა, მიწას გაეკრა, ვიდრე სიკვდილი ცელს ხელახლა მოიქნევდა, წამოდგომა სცადა, მაგრამ ტანი არ აჰყვა. გაქცევა სცადა — მუხლი არ მიჰყვა. მაშინ ცელს პერანგი შეაგება. ცელმა ვერა და ვერ გასჰკრა დედის ხელით შეკერილი თეთრი პერანგი. სიკვდილი აღშფოთდა, გველივით დაიგრისხა, დაიმაწჭა, დაიხარა, უკან ვადახტა და ისევ აელვარდა შიშველი ცელი. ისევ გაისმა ძვლების ჩხრიალი, კბილების კრაჭუნი, რკინის ზრიალი. აბორიალდა თეთრი ზმანება...

ო, რა საშინელი ღამე იყო!

ბიჭუნას ცივი ოფლი სდიოდა. უფსკრულის პირას იდგა...

საშინლად უტევდა სიკვდილი, მაგრამ არც ყმაწვილი შეხვდა ჯაბანი. ხან პერანგს მიაგებებდა, ხან ჯოხს ესროდა, ხან ქვას და ასე იბრძოდნენ ალიონამდე.

მოულოდნელად ჩიტის გალობა გაისმა. სიკვდილმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, ახტა და ყმაწვილს მივარდა. ყმაწვილი განზე გადახტა და თეთრი მოჩვენება უფსკრულში ბზრიალ-ბზრიალით გადაეშვა. ძვალის მტვრად იქცა.

თენდებოდა. ყველგან კიაფობდა ალისფერი განთიადი.

წიფლის ტოტიდან ყმაწვილს ციყვი დასცქეროდა. სასაცილო უღვაშებს აცმატუნებდა და ისე იფერთხებოდა, როგორც კატამ იცის, წყალს რომ გადაასხამენ ხოლმე. მერე სხვა ტოტზე გადაინაცვლა, თათი თათს შემოჰკრა, დაიკრიკინა და თხილის ნაჭუჭი გადმოაგდო. ბიჭი დაწვდა, გუ-

ლის ნარჩენი ჩხირით ამოიღო და შეჭამა. მერე საშინელი წყურვილი იგრძნო.

წყალი არსად ჩანდა.

პირი უშრებოდა ყმაწვილს და აგონდებოდა პაპის ნაამბობებს, მძევლის თქმულება.

ეს იყო უხსოვარ დროს, გაყიდული ტყვე ქართველი მეომრები ყიზილბაშებს აუჯანყდნენ. დახოცეს და გამოექცნენ. გზაზე შაჰის ჯარი დაეწიათ. ქართველებმა სძლიეს ურჯულოებს, მაგრამ შეთხელდა გმირთა რიგები. გადარჩენილნი უდაბნოში მოხვდნენ. დაიღალა გამარჯვებული რაზმი. შიმშილისაგან ქანცი გაუწყდათ, წყურვილი კლავდათ. სულით დაეცა ბევრი მამაცი. გატყდა მეთაურიც.

უცებ სიმღერა გაისმა. ვიღაც ჯერ ნელა, სევდიანად მღეროდა, მერე კი ვაჟკაცურად დასჭექა. თითი ჩამოკრა სიმებს და ახლა საგმირო სიმღერა წამოიწყო. დევნილებს შიმშილი და წყურვილი გადაავიწყდათ.

მეთაური წამოიწია და გახედა: უდაბნოში ჩამოძენძილი ბერიკაცი იდგა, ხელში ჩანგი ეჭირა და უმღეროდა სიცოცხლეს.

— ჰეი, მოხუცო, მოდი და მითხარი ვინა ხარ, — ძლივს გასაგონად გასძახა მეომარმა და თავისივე ხმა ეუცხოვა.

მოხუცს სახეზე გაკვირვება გამოეხატა, სიმღერა შეწყვიტა და ისევ წამოვიდა, თითქოს ბნელშია და ვერაფერს ხედავს. შორიახლო ვაჩერდა.

— ჰეი, ვინ არის აქ, — იკითხა მომღერალმა.

— ბრმა ყოფილა! — წაიდუღუნა ერთმა მეომარმა და თავი ისევ ქვიშაზე დადო.

— ჩვენ თვალბილულნი ქვიშაზე ვყრივართ, ეს უსინათლო მოხუცი კი დადის და მღერის, — გაიოცა მეორემ.

— მოხუცო, — დაიწყო ისევ მეთაურმა, — ჩვენ ყიზილბაშებს გამოვექვეით. შენ ვინა ხარ და აქ როგორ მოხვდი?

მოხუცმა ორი ნაბიჯი გადადგა და თქვა:

— მადლობა უზენაესს, რომ ისევ მაღირსა მშობლიური სიტყვის გაგონება. მეც ყიზილბაშების ტყვე ვიყავი. ფაშას მოსწონდა ჩემი ხმა და თან დამატარებდა. უდაბნოში ლომი დავვესხა, ყველა დაგლიჯა, მე კი დამინდო, თუმცა ჯობდა დავეგლიჯე...

— საკვირველია! — თქვა ერთმა.

— არაფერია საკვირველი, — მიუგო მეთაურმა. — ლომი არ ერჩის მომღერალს. ბერიკაცი, ერთი კიდევ გვიმღერე, იქნებ შიმშილი და დაღლილობა დაგვაავიწყდეს.

მოხუცმა წამოიწყო სულში ჩამწვდომი სიმღერა. უმღეროდა მზეს, სიცოცხლეს, გამარჯვებას...

გახალისებული რაზმი წამოიშალა, უსიტყვოდ გაჰყვნენ მგოსანს. დაავიწყდათ შიმშილი, წყურვილი, დაღლილობა...

მოულოდნელად გრილმა სიომ დაჰბერა და წყლის ჩხრიალი მოისმა, მებრძოლ არწივთა გუნდი გადარჩა, მგოსანმა კი წყალი დალია და მიიძინა... ასე თავდებოდა პაპის ნაამბობი ზღაპარი.

ქართული
პიუზი

ასე ემატებოდა ყმაწვილს მხნეობა.

ლასლასით მიჰყვებოდა გზას.

უეტრად მდინარეს მიადგა, წყალი იქეთ კი არ მიედინებოდა, სადაც დედა ელოდა შვილს, მაგრამ ნათქვამია: თუ წყალი არ მოგყვება, თვითონ მიჰყევი და სამშვიდობოს გახვალ.

მოდით ამ მდინარეს გავყვები, სადმე სოფელში ჩამიყვანსო, ვაიფიქრა ყმაწვილმა და წყალს გაჰყვა — სასმელი წყალი მაინც მექნებაო. ალბათ ესაა, ბარის წყალს რომ ეძახიანო, მაგრამ ვინ მოთვლის ქვეყნად რამდენი წყალია!

ტყეს გუგუნით გადაუარა თვითმფრინავმა. მაგრამ ვინ შენიშნავდა უღრან ტყეში თითისტოლა ბიჭუნას!

ივლისის ცხელი დღე იყო. იქვე ხის ჩეროში მიეგდო. იმ ღამეს ალიკოს ცუდად ეძინა. განა ეშინოდა? არა, მან ხომ სიკვდილი დაამარცხა, აწი რისი უნდა ეშინოდეს!

რგოლის კრება ჰქონდათ, დასაძინებლად სად ეცალა, საინტერესო საკითხებს იხილავდნენ:

1. როგორ ვძლიოთ შიში, შიმშილი, სიკვდილი და სიცივე; 2. როგორ შევაშინოთ დათვი; 3. როგორ ვიპოვნოთ გზა მღვიმეებში.

პირველ საკითხზე სიტყვა ალიკოს მისცეს.

ალიკო მორცხვად ლაპარაკობდა, ენა არ ემორჩილებოდა.

— სიცივეს რომ მოვერიოთ, ამისათვის საჭიროა ვარჯიში... უნდა ვიყოთ ისეთი ამტანნი, როგორიც იყვნენ...

დაიბნა. არ იქნა და ვერ გაიხსენა გვარები, ვერც ის გაიხსენა, თუ კიდევ რა არის საჭირო იმისათვის, რომ სიცივე ვძლიოთ.

— ჩემი აზრით, ამისათვის საჭიროა თბილად ჩაცმა. — თქვა ოინბაზმა ზაზამ.

— თუ არა გაქვს? თუ გზა აგებნა და თავი უღრან ტყეში აჟოჰყავი? თუ მარტო ხარ, არ არის ცეცხლი?

— და არ არის დედა, რომ ჩააცვას ამ ზარმაცს! — ჩაუბრუნა ნანამ და გაცეცხლებული სახით გადახედა ზაზას. ყველას გაეცინა.

ალიკო გამხნევდა. წელში გასწორდა და განაგრძო.

— მაშინ უნდა ადგე, თვალები მოიფშვნიტო და ირბინო. უნდა ირბინო სულ წინ, წინ და წინ... სულ ტყე-ღრე ხომ არ იქნება, სადმე ხომ იქნება ქალაქი ან სოფელი, სადმე ხომ იქნება ცეცხლი?

— აუცილებლად იქნება, ალიკო!

ამ სიარულში ალიკოს დათვი შემოეყარა. ეს უკვე მეორე საკითხი

იყო. მისი განხილვა ნადირებმა არ დააცალეს, სიზმარი ისევ მოჩვენებად შეცვალა.

ტყეში ტყლაშუნი გაისმა. ჩხიკვა დაიჩხავლა, შაშვმა შეიჭახტა, წიგწივამ დაიწიგწივა. მაგრამ უჩინარი ბუმბერაზი ლაწან-ლაწანით მოდიოდა, ფრთოსანთა განგაში აინუნშიაც არ ჩააგდო. მოდიოდა და მოარღვევდა ტყესა და ღრეს, თითქოს ქვეყანა მისი ყოფილიყო.

საშინელი შხლართანი გაისმა.

ყმაწვილი გაინაბა, მოსახდენი ახლა მოხდებო, ხეს მიეკრა. საკუთარი გულის ცემაც კი ესმოდა.

ბუმბერაზი კი მოახლოვდა, ბურტყუნებდა. ყმაწვილს მუხლები აუკანკალდა. ნადირმა გზა მოუჭრა. საით წასულიყო? ქვემოთ წრამი იყო, ზემოთ — კლდე, უკან — სიკვდილი, წინაც — სიკვდილი.

ბიჭს შიშმა თანდათან გადაუარა, თვითონაც არ იცოდა როგორ აღმოჩნდა მის ხელში წიფლის ხმელი ტოტი. მზად იყო ბაყბაყ დევსაც კი შებმოდა.

— ცოტა წყნარად იარე, მიწა არ ჩაგისკდეს, — შესძახა ნადირს.

დათვმა ყურები ცქციტა. ეს რა სულიერია, ჩემს სამეფოში ამდენს რომ ბედავსო.

ყმაწვილს ნადირი უყვარდა. მის ოთახში რომ შეგეხედათ, გაოცდებოდით, კედლები სულ ვეფხეებისა და ლომების სურათებით იყო გაჭედებული. ცოცხალი დათვი კი არასოდეს ენახა. იგი ახლა მოდიოდა ბურტყუნით და იმუქრებოდა:

— ვერა ხედავ ამ თათებსა და ეშვებს?

— ჰაი, შე ბაქიავ, ვერ შემაშინებ!

— სულელო ბავშვო, ნუ გამაბრაზებ თორემ...

— თორემ რა, მოდი, გავსწორდეთ!

ჯოხიანი ყმაწვილის დანახვაზე დათვს სიცილი აუტყდა, უკანა თათებზე შედგა და დაიბურტყუნა:

— კეთილი, კეთილი. რაკი გამაცინე, აღარაფერს გერჩი, იარე შენი გზით..


ამ დროს ტყის სიღრმეში გულსაკლავი ღრიალი გაისმა. ბიჭუნას ასეთი ხმა არასოდეს გაეგონა.

დათვის ბელს რაღაც გაჭირვებოდა, გაავებული დედა დათვი იქითკენ გაიქცა, სადაც ალიკო იდგა.

ციყვმა მუხის ტოტებში დაიკრიკინა: „ვაი ბიჭო, ბიჭო, ბიჭო!“

მოფიქრების დრო აღარ იყო.

გახელებულ დათვს სისხლივით წითელი ენა გადმოევდო. ყმაწვილმა უკან დაიწია, სახეზე ხელები აიფარა და მთელი ხმით დაიყვირა:
დე-ე-და-ა-ა!
და გამოელვოდა.



თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

ოცდამორი დღე

„დავიბადე პატარა სოფელ ხინოში, ქობულეთის რაიონში. ზღვის გუგუნი ვერ აღწევდა ჩემს ყურამდე, მაგრამ ყურზე რომ ნიჟარას მივიღებდი, ის გუგუნებდა. დედას გვარდა წავუღლე მთაში. გზა დამეხნა. დავიკარგე. არც ზღვა იყო, არც სოფელი, პირველ დამეს ძალიან მეშინოდა, შემდეგ შევეგუე, მეტი აღარ შემიძლია! ნეტავი ყველაფერი გათავდებოდეს!“

ასე დაწერდა ალიკო, რომ წერა შესძლებოდა.

— არა! — გუგუნებდა ზღვა და პასუხს აძლევდა ხმელეთი. — არა. პატარა ბიჭო, ეს ასე არ უნდა გათავდეს, გამაგრდი, შენ გეძებენ!

აღამიანებს არ ეძინათ. მაშინვე აფრინეს ხალხი მახლობელ სოფლებსა და ქალაქებში.

ბათუმიდან ჩამოვიდნენ გამოცდილი მუშაკები, ძაღლები წამოიყვანეს. ალიკოს მამა, ძმები, ბიძები, მეზობლები, მთელი სოფელი ფეხზე იდგა. ტყე-ღრეში, მთასა და ბარში დაეძებდნენ, ეძახდნენ, მაგრამ ყმაწვილი თითქმის მიწას ჩაეყლაბა.

საღდაც აჭარის მთებში სიცოცხლის პატარა სანთელი ბეუტავს და აღამიანებს ელის. იჩქარეთ! ხვალ თუ ზეგ ის ჩაქრება, სიკვდილის ქარი ქრის ალიკოს გარშემო. უკანასკნელ ათ დღეს ერთი ფოთოლიც არ უჭამია. წვეთი წყალიც არ დაუღევია. მილასლასებს და ეჩვენება, რომ უკან სიკვდილის ლანდი მოჰყვება — უჩინარი, ხარბი და ჯიუტი.

ოცი დღე გავიდა. სამი კვირაც შესრულდა. მეოთხე დაიწყო. კაცის-შვილი არ ჩანდა. ცა მოიღუშა. შუაღამისას ამოვარდა ქარი, წამოვიდა თავსხმა.

პირველ დამესაც ჭექა-ქუხილი იყო. ახლაც ახსოვს ბიჭუნას, როგორ გიზგიზებდა ბექობზე აღმოდებული სოჭი, მას რომ ბაყბაყ-დევი ეგონა.

ახლა მეორედ შეეცწრო ასეთ ჭექა-ქუხილს. თავი გამოქვაბულს შეაფარა. ეგდო და ელოდა. ეს იყო ბრძოლის ველი და ამ ველზე ბავშვი ამარცხებდა სიკვდილს.

რა იქნება ხვალ?

შა კი არა გვაქვს. კარგია?

— გვაკეთებთ, ვლადიმერ ილიას ძევ,
— ვეუბნები, — ახლავე შეეუდგებით
საქმეს.

წავედი და ვფიქრობ: დაპირება კარ-
გია, მაგრამ ახლა შესრულება თქვი.

როგორ გინდა აღმართო ეს დროშა?
სულ ერთი კვირის წინ, როცა კომენ-
დატურა ჩავიბარე, მთელი კრემლი სა-
ხურავებიანად მოვიარე. სასამართლო
დაწესებულებათა შენობას ნუ ეჭმრები.
სახურავზე ისეთი რკინის გუმბათია, მაქ
დროშის დამაგრება ადვილი საქმე რო-
დია. დროშის ტარის დასამაგრებლად
ჩერ ბუდე უნდა ამოიკვეთოს.

მაგრამ ილიჩმა თქვა და უნდა შევას-
რულო.

ჩემდა საბედნიეროდ, დიდი ხნიდან
მუშაობდა კრემლში ერთი ზეინკალი,
გვარად ბერენსი. წლოვანებით ორმოც-
დაათს გადაცილებული იყო, ტანად სა-
შუალო, ძვალმსხვილი. წყალგაყვანილო-
ბაზე მუშაობდა, მაგრამ რა იყო, მისი
ხელი რომ არ გააკეთებდა. ნამდვილი
რუსი ოსტატი. ხელიც და თავიც ოქ-
როსი ჰქონდა. აი, ეს ბერენსი გამოვი-
ძახე.

— ვლადიმერ ილიას ძემ დაგვავალა,
სასამართლო დაწესებულებათა შენობაზე
აღმართით წითელი დროშა. საჭიროა
გუმბათზე ბუდე ამოვჭრათ. შეგიძლია
გააკეთო?

— რატომაც არა, — მეუბნება, —
მგონი, კარგი საქმე უნდა გამოვიდეს.

აიღო ხელსაწყოები და აძვრა სახუ-
რავზე. იჭდა იქ რამდენიმე დღეს და
მართლაც ამოკვეთა საიმედო, შესანიშ-
ნავი ბუდე. ჩვენ ავედით კრემლზე და
საბჭოთა მთავრობის შენობაზე წითელი
დროშა აღმართეთ. აღმართეთ საიუ-
დამოდ!

რამდენიმე ხნის შემდეგ რეკავს ბონჩ-
ბრუევიჩი: — პავლე დიმიტრის ძევ!
ილიჩი გვთხოვს და გვეკითხება, ხომ
არ შეიძლება მაცხოვრის კოშკზე საათი
ავამუშაოთ (საათი უკვე დიდი ხანია
აღარ მუშაობდა) ისე, რომ მან ხელ-

ახლა დაუქრას... მაგრამ არა ძველ-
ბური, საეკლესიო ჰიმნი, არამედ
ნებური „ინტერნაციონალი“?

— ვერ გეტყვით, ვლადიმერ ილიჩო,
რის ძევ, გამოვა თუ არა რამე, მაგ-
რამ ენახათ, მოვსინჯავთ.

გამოვიძახე ისევ ბერენსი. ავედით
მაცხოვრის კოშკზე და დაუწყეთ ზეინ-
კალმა საათის მექანიზმებს ჩხიკინი. მაგ-
რამ ეს მექანიზმები ისეთი უზარმაზარი
ბორბლებია, საათის ნაწილები სულ არ
გვეგონება.

უტრიალა ბერენსმა, უტრიალა, გას-
წმინდა, დაზეთა და კმაყოფილი სახე
მიიღო.

— არა უშავს, — ამბობს, — გავა-
კეთებ!

მას შემდეგ ბერენსი ყოველდღე ადი-
ოდა მაცხოვრის კოშკზე და იჭდა იქ სა-
ათობით.

გავიდა რამდენიმე ხანი და უცებ...
რა არის ეს? რაღაც არაჩვეულებრივი
ხმა გაისმა კრემლზე. დავაყურადეთ —
— „ინტერნაციონალი“!

მაცხოვრის კურონტზე საათი ამუშავ-
და. გაისმა, ჩვენი, საბჭოთა მუსიკა!
არ ვიცო, შესაძლოა, 1920 წლის შემ-
დეგ, რაც მე უკვე კრემლიდან წავედი,
მაცხოვრის საათს სხვა აღამიანებიც
არემონტებდნენ, მაგრამ 1918 წელს,
რევოლუციის შემდეგ, იგი ამამუშავა და
„ინტერნაციონალის“ ხმით პირველმა
ააჟღერა ბერენსმა, უბრალო რუსმა ოს-
ტატმა, კრემლის წყალგაყვანილობის
მუშამ.

საბჭოთა მთავრობის შენობაზე წითე-
ლი დროშის აღსამართავად და მაცხოვ-
რის საათის ასამუშავებლად ლენინას
ზრუნვას, რა თქმა უნდა, წვრილმან სა-
ქმედ ვერ ჩავთვლით, მაგრამ ილიჩის
ფხიზელ თვალს არც წვრილმანი გამო-
ეპარებოდა ხოლმე.

1918 წლის შემოდგომაზე როგორ-
ღაც კრემლში შეშა მოზიდეს და დიდი
სასახლის პირდაპირ დააწყვეს. შეშა,
როგორც ვთქვით, ძლიერ ჰიროდა და
წინასწარ თანდათანობით უნდა მოგვე-

მარტებინა. შეშა დააწყვეს და რეკავს ილიჩი:

— ამხანაგო მალკოვ, შეშა კრემლში თქვენი განკარგულებით შემოზიდეს? ხმაზე შევატყვე, რაღაც არაა კარგად საქმე, მაგრამ ვერ მიგზვდი, რა მოხდა.

— დიახ, ვლადიმერ ილიას ძეგ, ჩვენი მითითებით. ზამთრისათვის უნდა მოვიმარაგოთ...

— რა მოვიმარაგოთ? შეშა? თქვენ კი რა მოგიტანეს? ნახეთ?

— ვნახე, რა თქმა უნდა, შეშა...

— შეშა! მერე რანაირი შეშა ეს! შპალები მოგიზიდეს თქვენ, საუკეთესო რკინიგზის შპალები. ჩვენ მთელ ქვეყანაში ტრანსპორტი უნდა აღვადგინოთ, თვითეული რელსი, თვითეული შპალი აღრიცხვაზე უნდა იყოს, და თქვენ კი შპალები ღუმელში უნდა დაწვათ? არა, უნდა დაუფქვრდეთ ამას. დაუყოვნებლივ გააბრუნეთ უკან შპალები საჭიროებისამებრ და წარმომიდგინეთ უმეცარნი, რომლებიც შეშის მაგივრად შპალებს აგზავნიან. ჩვენ მათ სამაგალითოდ დავსჯით

რა თქმა უნდა, მომიხდა კრემლიდან შპალების გაზიდვა და კრემლი დარჩა უშეშოდ, სანამ იგი ხელახლა არ მოვამარაგეთ.

ხოლო იმათ, ვინც შპალები გამოგზავნა, მართლაც მაგრად მოხვდათ.

ერთხელ სახკომსაბჭოს შენობას თოვლავდნენ. უცებ ვლადიმერ ილიას ძე რეკავს:

— ნუთუ შეიძლება თოვლის ასე გამოყრა? თოვლს ისინი პირდაპირ მავთულებს აყრიან. დაწყვეტენ და მერე უნდა აღვადგინოთ. ვარგა მერე ეს? უნდა გააფრთხილოთ ამხანაგები, რომ ასეთი უმსგავსეობა აღარ განმეორდეს. დაუყოვნებლივ მიიღეთ ზომები!

ერთხელ, 1918 წლის ზაფხულში, მე, დემიან ბედნი და სკვორცოვი (სტეპანოვი) სათევზაოდ წავედით. მაგრამ არ იკითხავთ, როგორ ვთევზაობდით? ლალუმებით. თევზი, რა თქმა უნდა, კაი ბლომად ვიშოვეთ. სახლში რომ დავ-

ბრუნდით, ნაწილი თევზი ვლადიმერ ილიას ძესთან წავიღე. დავუბრუნე გიერთ სხვა ამხანაგსაც. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის შის დატოვება არავითარ შემთხვევაშიც არ უნდოდა, სანამ არ დავარწმუნე, რომ არ მიყიდა, მე დავიჭირე. მაშინ აიღო.

გავიდა ერთი დღე. დემიან ბედნი სახლში ზის, მიუშაობს. უცებ ურეკავს ილიჩი:

— რა, თქვენ და მალკოვმა სხვა ვერაფერი მოიფიქრეთ? თქვენ საზიზღარი ბრაკონიერები ხართ, ამისათვის ორივენი ციხეში უნდა ჩაგვსვან!

დემიანი სიტყვისათვის ხელს ჯიბეში არ იყოფდა და შეეხუმრა ლენინს:

— მართალია, არაა კარგი საქმე, მაგრამ ვლადიმერ ილიას ძეგ, ახლა თქვენც ჩვენი მოზიარე არა ხართ? ის ნალადუმარი თევზები თქვენც ხომ მიირთვით? მალკოვმა ყველაზე ადრე იგი თქვენ მოგიტანათ.

ილიჩი აღშფოთდა:

— ეს თქვენი მალკოვი დიდი მატყუარაა. მას კი არ უთქვამს, თევზი როგორ დაიჭირა, და თქვენც და მასაც გარწმუნებთ, თუ ეს კიდევ განმეორდება, მე პირველი მოვითხოვ თქვენს სასტიკად დასჯას.

შემოდის ჩემთან დემიანი და მიჩურჩულებს:

— ხედავ, რა წაგვკიდა?! ყველაფერი ბონჩის ბრალია! ვლადიმერ ილიას ძეს მან უთხრა, დემიანი და მალკოვი ქალაქგარეთ დადიან და ლალუმებით თევზებს ხოცავენ...

ვლადიმერ ილიას ძე თითქმის ყოველდღე სეირნობდა კრემლის ეზოში, უფრო მეტად ტროტუარზე, დიდი სახლის პირდაპირ, საიდანაც მოსკოვის ხედი იშლება, ან ქვევით, ტაინიციის ბაღში, სადაც ბუჩქებად ამოზრდილა ველური მცენარეულობა. იგი ხან დღისით სეირნობდა, ხან საღამოთი, ზოგჯერ ღამითაც კი. ვერ იტანდა, თუ სეირნობისას ხელს უშლიდნენ.



ცაში არწივი გამოჩნდა.

კლდის ფერდობზე გარეული თხა ბალახობდა. ყმაწვილს ზრუნავდა მსუქანი იყო. აბრეშუმით სუფთა ბეწვი ჩამავალ მზეზე ოქროსფრად ციმციმებდა. თხა ბალახობდა. ყმაწვილს შიოდა. ოცდაორი დღეა არაფერი უჭამია.

ბიჭუნას თავბრუ დაესხა. ბურანში წასულს კვლავ სიკვდილი ესტუმრა და პირდაპირ შეუტია.

ეს რა არის? ყმაწვილი ხედავს, ცხადად ხედავს, ჩონჩხის თეთრი ძვლები ნაზმა ბუმბულმა დაფარა, ჩაჭყლეტილი ცხვირი დაგრძელდა, მოიხარა და ბასრ წვეტიან ნისკარტად იქცა, ხოლო შავი მოსასხამი — უზარმაზარ ფრთებად. ფეხებზე კი ფოლადის კლანჭები წამოეხარდა. ეს არწივია? მასაც შია? მწვერვალს შემოუარა, ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და ყმაწვილს გაუსწორდა. ერთხანს იტრიალა, წამით ჰაერში გაჩერდა და უცებ შურდულობით დაეშვა.

ყმაწვილი დიდ ლოდს მიეფარა.

ჰაერის შხუილი რომ შეწყდა, ყმაწვილმა მოიხედა და ცეცხლივთ ბრიალა თვალებს წააწყდა. მის წინ საომრად აფხორილი არწივი იდგა. ნისკარტი დააღო და ერთი დაიყილა. უცებ მხარში ღუზის ოდენა ნისკარტი დაჰკრა. ყმაწვილმა ჯოხი მოუქნია და სახეზე ძონძები აიფარა. არწივი დაფრთხა, მაგრამ მალე ისევ შეუტია.

დიდხანს სცემდა ფრთებს და კორტნიდა ყმაწვილს, რომელსაც სისხლი წვეთ-წვეთად სდიოდა.

დაჯრილმა ყმაწვილმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, წამოიწია, მეორედ მოუქნია ჯოხი გათამამებულ არწივს და თავში დაჰკრა.

შორს თოფის ხმა გაისმა, აყუდუნენ ძაღლები. არწივმა უკან დაიხია. ფრთები გაშალა და მთებს მიეფარა.

ყმაწვილი წაიქცა. ეგდო როგორც წვიმაში მოთელილი ყვავილი.

თხა აღარ ბალახობდა... მოჩვენებები ირეოდა ბავშვის გონებაში. ხევიდან ისევ ხმაური მოისმა.

— ალიკო! თუ ცოცხალი ხარ, სადმე ევერი დააქნიე! — ყვირის ხალხი.

მაგრამ წყნარი დღეა და ფოთოლიც არ ირხევა.

ყმაწვილის თვალები ჯერ კიდევ მზისა იყო. ეგდო კლდის ძირას. არ ინძრეოდა.

ბოჭუნა ბეჟუის სათავესთან იპოვნეს, მახარადის რაიონში, სახლიდან

ოთხმოცდახუთი კილომეტრის დაშორებით. გრძელი გზა გაეწეოდა მშენებ-
მწყურვალს ქარსა და წვიმაში, მზესა და ავდარში. პაწია შიშველი ნიჟარ-
ებით გადაეწეოდა აჭარა-გურიის მთები.

გაფითრებული მამა ფრთხილად მიუახლოვდა შვილს. ხელის შეხება
ვერ გაბედა.

ყმაწვილმა პირველად მამა შენიშნა. მხოლოდ ხელის წამოწევადა
შესძლო. მამამ ბუმბულივით აიტაცა შვილი, გულში ჩაიკრა და თავის სი-
ცოცხლეში პირველად გულამოძვარი აქვითინდა.

მეზობლებს და ნათესავენს ცრემლი მოადგათ თვალზე.

ალიყოც ატირდა...

ყმაწვილი საკაცით უღრანი ტყე გადმოატარეს.

გომის მთაზე შეეგებნენ. ატყდა თოფის სროლა, ყიყინი.

სიკვდილზე გამარჯვებას ზეიმობდნენ.



დ ე დ კ

მზემ ყველაფერს შეუცვალა სახე,
ყველაფერი გაახუნა თითქოს,
არ გახუნდა შენი კაბის ფერი,
შენი კაბა არ იცილებს შავ ფერს.
მზემ ყინული წყლად აქცია სადღაც,
მაგრამ ისევ მზემ დააშრო წყალი,
შენი ცრემლი ვერ გააშრო მხოლოდ....
მზემ ათასჯერ გაათენა ღამე,
ღღემ ათასი მოიტანა ფიქრი,
შენი ფიქრი ვერ შეცვალა მხოლოდ...
ღღე ათასჯერ გამოცვალა ღამემ
ათასგვარი ხილვებით და სიზმრით,
შენ სიზმარში ერთი ღარდი გტანჯავს,
და დავანდა დიდი თოვლი თმებზე,
და ღიადი ზამთარი ხარ დედა,
გაზაფხული დარჩა ტყეებს იქით...
მე ვიცი, რომ შენ არა გწამს ღმერთი,
თაფლის სანთელს მაინც ანთებ დედა,
და იმედად სურათს იკრავ მკერდში,
ანდა იქნებ სურათიც არ დაგრჩა.
მაშინ უფრო საბრალო ხარ დედა...
ვიცი, ვიცი ახლა რაზეც დარდობ,
შენთან გაზრდილს, სხვის მიწაში სძინავს,
შენ სიკვდილი უარყავი მისთვის,
შენთვის მუჭა მიწაც გენანება,
მიწა, შენს შვილს რომ აკლია სადღაც.
დედა, ახლა გაზაფხული დადგა,
და რვა მარტი იღიმება კართან,
მოგილოცო? ეს რატომღაც მიჭირს,

მოგიგონო? ეს ასე სჯობს მეგობრად.
ანდა იქნებ აგატიკინე გული?
ძველი სევდა გავიხსნე მეტად,
სხვანაირად არ შემეძლო ამ დღეს,
მე უსიტყვოდ ვერ დაგტოვებ დედა,
მაპატიე, მაპატიე, დედა.

მოვიდა ჩემი პატარა შვილი

მოვიდა ჩემი პატარა ზანდა,
თოვლივით თეთრი, თოვლივით სუფთა,
მოვიდა თეთრი, უძილო ღამით
და გამიხშირდა მსუბუქი სუნთქვა.
არ ეშინია ქარის და სუსხის,
მე ავუკრძალე თამაში ქარში.
აპრილს წავართვი ყინი და ფერი
და საპერანგე სიმღერა ბავშვის...
იგი დარბოდა ეზოში დიდხანს,
სანამ მზე ცაზე იდგა დარაჯად,
დღეს შეეშინდა ღამის ჩარევის
და საიდუმლო კარი ჩარაზა.
და ავიყვანე პატარა პირმშო,
ცას შევავედრე ჩემი სათქმელით,
ხვალ, სათამაშოდ გამოვალთ ისევ,
არ მომიჩრდილო მზეი ნათელი...
ხვალ ისევ გელით, მზეო მაღალო!





ნოდარ მოღვაძე

სიყვარულის კალიდოსკოპი

სუფრასთან ორნი ისხდნენ.

კაფე სავსე იყო ხალხით და ხმაურით, თამბაქოს ბოლით. ერთ კუთხეში ხნიერი მამაკაცები ისხდნენ, ბაასობდნენ და ყავას შეექცეოდნენ. ცოტა არ იყოს, კრიტიკულად ათვალიერებდნენ დარბაზში შემოსულთ. მეორე კუთხეში მაგიდა მაგიდაზე მიედგათ და შეზარხოშებულებდნენ. სრავინ იცოდა, ვინ რას ლაპარაკობდა. ერთი მათგანი შუა დარბაზში დაბორიალობდა, ხან ერთს მიუჯდებოდა სუფრასთან, ხან მეორეს.

ისინი არ ლაპარაკობდნენ, თითქოს დარბაზის ხმაურს ყურს უგდებდნენ. მერე ქალიშვილმა თავი ასწია, ჭიქას ხელი ჩაავლო და პირთან მიიტანა, არ დაუცლია, მოსვა და დადგა.

— ლადო, წავიდეთ!

— სად?!

— დავლით თითო ჭიქა და წავიდეთ!

ლადომ ჭიქა ხელში შეატრიალა, გახედა, გამჭვირვალე თუაო, და თანამოსუფრეს მიუჭახუნა.

— შენ დალევ?

— ჰმ! — მოკუმული ტუჩებით მიუგო ქალიშვილმა. ლადომ ჯერ სიგარეტი მიაწოდა, მერე ხელი კეფაზე, თმებში შეუყო და თავისკენ მოსწია. ქალიშვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მისი ტუჩები საკოცნელადაც კი მოემზადა, მაგრამ ლადომ ჭიქაზე მიუთითა, დასცალეო. ქალიშვილმა, ვიდრე სიგარეტს მოუკიდებდა, ჭიქა დასცალა.

— წავიდეთ, სხვაგან წავიდეთ! — უთხრა შემდეგ მან.

— სად უნდა წავიდეთ?! — ჯიუტად მიუგო ლადომ, — შენთან წავიდეთ ნომერში.

— ერთი კონიაკი წამოიღე!

ლადომ ოფიციატს კონიაკი შეახვევინა, ფული გადაიხადა და გარეთ ბორძიკით გავიდა. ქალიშვილი კარებთან ელოდა. ხნიერმა მამაკაცებმა მათ თვალი დაათანეს, მერე ნამუსრევ მაგიდას გადახედეს და ერთმანეთს ჩაღაც უთხრეს. ლადომ ქალიშვილს მხარზე ხელი გადადო და კიბეზე ასე

ჩავიდნენ. კიბესთან შეჩერდნენ... ქალიშვილის ხელი ვაჟს ყელზე შემო-
ეჭდო. ვიღაცებმა გვერდით ჩაიარეს, მაგრამ მათ ყურადღება არ მიუქცე-
ვიათ, ერთ-ორ წუთს ჩახვეულები იყვნენ. მერე ნელა წავიდნენ ქალიშვილს
ქალიშვილს კისკისი აუტყდა, გიჟური, ჟინიანი კისკისი...

სასტუმროს შესასვლელთან შეჩერდნენ.

— მე მერე ამოვალ, — უთხრა ლადომ.

— სად მიხვალ?

— ცოტას გავივლი.

ქალიშვილს სახე მოედუშა.

— შენ არ მოხვალ!

— მე?.. — ლადომ ხელი ლოყაზე შეავლო, ყურის ბიბილოებზე
შეუხიციანა, — ჩემი ჩიტი. მე შენ მიყვარხარ, განა არ გჯერა?!

— ჰა, ჰა, ჰა, რა სულელი ხარ!

— მე?

— ჰო, შენ!

— იმიტომ, რომ შემეყვარდი?!

სასტუმროდან ვიღაცები გამოვიდნენ. ქალიშვილმა უკან დაიხია...
ლადოს ნაბიჯიც არ წაუდგამს წინ, ხელი მძიმედ ასწია და უთხრა, წადი,
მალე მოვალო.

— გელოდები, — მხოლოდ ესლა თქვა ქალიშვილმა.

ლადომ ახლა თავი და ხელი ერთად დაუქნია, მოვალო. ქალიშვილი
არ დაუნახავს, შევიდა თუ არა სასტუმროში, გამობრუნდა, სიგარეტს
მოუკიდა და ჩამოყრილი თმა გაისწორა. გზას ისე გახედა, თითქოს უნდა
გაერკვეს, საით მიდისო. ჯიბეებში ხელემაჩრილი ბორძიკით მიდიოდა.
ყურადღებას არავის არ აქცევდა, გუნებაში ლილინებდა. გონებადაბინ-
დული რაღაც საშინელ ბურუსში იყო გახვეული და თავის მოქმედებას
ვერავითარ კონტროლს ვერ უწევდა. ტროტუარის ხან ერთ მხარეს მიდი-
ოდა, ხან მეორე მხარეს... ჯიბეები ამოიქოთა, მაგრამ შიგ ხუთი მანეთის
მეტი ვერ აღმოაჩინა. მწარედ შეივინა და, თითქოს უხილავ ხელს მოეფ-
ხიზლებინოს, სინანული იგრძნო. მას უკვე აღარ ახსოვდა, რომ სასტუმ-
როში უნდა მობრუნებულიყო. ქუჩის ბოლომდე გავიდა, მაგრამ არ იცო-
და, სად იმყოფებოდა. შუბლზე ჩამოყრილი თმა ისევ უკან გადაიყარა და,
თავი რომ ასწია, სრულიად უცხო თვალებს შეეჩხება, მოულოდნელობისა-
გან შეცბა, ვერც წინ წასვლა მოახერხა და ვერც უკან დახევა, რომ ქა-
ლიშვილისათვის გზა დაეთმო. ქალიშვილმა ამაყი ნაბიჯით ჩაუარა გვერ-
დით, არც შეუხედავს მისთვის, თითქოს ვერ იცნო იგი. ლადომ თავი გა-
აქნია, ქალიშვილს გულუბრყვილო, კეთილშობილური ღიმილი დაადევნა
და მისდა უნებლიედ წარმოთქვა:

— ნანა...

მე ამ ხმამ შემაკრთო, მეგონა, წავიქცეოდი, ორივე ხელი ჩამომიკრა და კინაღამ მოვიხედე უკან. არ ვიცო, იგი იმავე ადგილას იდგა თუ უკან მომყვებოდა. შევატყვე, უზომოდ მთვრალი იყო. მისი ხელი ჩლივს იდგა, ლამპიონის სინათლე მარჯვენა ლოყას უნათებდა და მომეჩვენა, სიწითლე მოედო. ტუჩებზეც ალუბლისფერი გადაჰკრავდა. მივდიოდი და მესმოდა მისი ხმა: „ნანა, ნანა...“ და, ასე მეგონა, ფეხდაფეხ მომდევდა. ალბათ, უკან რომ მოვიხედო, მის თვალებს შევეჩქეხები-მეთქი. ნაბიჯს ავუჩქარე.

არასოდეს დამავიწყდება ჩვენი პირველი შეხვედრა. ამხანაგის დღეობაზე გავიცანით ერთმანეთი. ახალგამოზაფხულებული იყო და ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა, ნეილონის თეთრ პერანგზე წითელი ჰალსტუხი ეკეთა. თმა უკან კოხტად ჰქონდა გადავარცხნილი. სამი ჭიქა რომ დალია, თვალი აუწყლიანდა და ისე უბზინავდა, თითქოს სულის ელვარებას გამოსცემსო. სიამაყე იმთავითვე შევატყვე, არავის ყურადღებას არ აქცევდა, არც ვინმეს ელაპარაკებოდა, ძალაუვნებურად ყველას ყურადღებას იპყრობდა. მაშინ იგი ჩემს წინ იჯდა და მეც ფარულად ვაკვირდებოდი მის თვალებს, ტუჩებს, კბილებს, პატარა სოთ ცხვირს. უწვერულ სახეზე ელნათურის შუქს ფერი წაეცხო და ეს ისე შევნოდა, თითქოს აკვნიდან ახლად ამოყვანილი ჩვილი ყოფილიყო, თანაც მშობლებისაგან განებივრებულ ბავშვს მაგონებდა. ჩემი დაჟინებული მზერა იგრძნო და შემრცხვა. შემდეგ შევეცადე, მისთვის აღარ შემეხედა, მაგრამ არ გამომივიდა, თვალი მისკენ გამიბოდა, თუ რამეს იტყოდა, სმენად ვიყავი ქცეული.

კარებთან შემაჩერა, ხელზე ხელი შემახო და, ეტყობოდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარებს სხვები მიაწყდნენ და იგი ფერმოდებული განმერიდა. მე მისი ხელის შეხებისას სულ დავიბენი, წინააღმდეგობა არ გამიწევია. ალბათ, სხვა დროს. სხვასთან გავკადნიერდებოდი და სიტყვის თქმასაც არ გავაბედღინებდი. სწრაფად შევბრუნდი. მისი აფაკლებული ლოყები სამუდამოდ დამამახსოვრდა.

ყველაფერი ერთმანეთში აირია — ფიქრი, ოცნება, სურვილი. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. აბა ასეთი რა მოხდა. გავიცანი ვაჟი. ვაჟებს იქამდეც ხომ ბევრს ვიცნობდი, ვაჟები ისხდნენ ჩემს გვერდით მერხზე, ერთხელაც არ გამიფიქრია თანაკურსელზე, რა კარგი ვაჟია-მეთქი. არც ვინმეთი დავინტერესებულვარ. მათ ღიმილში, ხუმრობასა და შემოხედვაში მხოლოდ ამხანაგურ სითბოს ვგრძნობდი. ერთი შეხედვით, ყველაფერზე გული ამიცრუვდა, მაგრამ თითქოს ჩემთვის ყველაფერი განათდა. გულანვილებული შევცქეროდი ადამიანებს, ყველა მათგანში მხოლოდ კეთილშობილურ თვისებებს ვხედავდი. ხმაც ნაზი, რბილი გამიხდა. ღღის სინათლე-

იმ დღეს მარტოდ, მოწყენილი მივაბიჯებდი ქუჩაში, ნაცნობს პირს ვარიდებდი. თუმცა ქუჩაში ხალხი ცოტა იყო, და ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ ქუჩაზე საღამოს მარტო არასოდეს გამივლია. ვხედავ, კაფეს წინ ახლოს გაზრდები შეკრებილან. მათმა ხარხარმა გონს მომიყვანა და გავიღვიძე. აქეთ სად მივდივარ-მეთქი, მაგრამ გული ძალუმად ამიძგერდა, ჯერ მომეჩვენა, შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ იგი მათთან იდგა. მაშინვე სისუსტე ვიგრძენი, მუხლები მომეკვეთა და, ვერ ვიტყვი, როგორ მივაბიჯებდი. ნაწნავი მკერდზე გადმოვიგდე, ხელი ჩავბლუჯე და ვაწვალე. ის იყო ჩემი ერთადერთი დასაყრდენი. ცალი თვალით ვიხედებოდი მისკენ. თუ დამინახავს-მეთქი. როცა დავუბრუნდები, უცებ შემობრუნდა, გულზე გამკენწლა, აი ჩემსკენ მოდი! მაგრამ იგი პირდაპირ გაემართა. ქუჩის კუთხეში ორი ქალი იდგა, საშინლად შეღებულები, თმა ბიჭურად ჰქონდათ გაკრეჭილი. სიგარეტს ეწეოდნენ. ვიდრე მათთან მივიდოდა, მოიხედა, დამინახა კიდევ და ნაბიჯი შეანელა. მე ეს ნათლად დავინახე და გავიფიქრე. აი ჩემთან მოვა-მეთქი. მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამით, გზა განაგრძო და ქალებთან მივიდა. მერე ისინი ბაღში ჩავიდნენ. იგი ქალებს შორის იდგა და ხელკავი ჰქონდა გაკეთებული.

ამაზე საშინელი არაფერი არ შეიძლებოდა მომხდარიყო; როგორ მივედი შინ, არ ვიცი. დავწექი და მთელი ღამე ვტიროდი. თვალები დამისივდა. დილით სარკეში საკუთარი თავი ვერ ვიცანი. დედაჩემის მრცხვენოდა. როცა მკითხა, რა მოგივიდაო, კინაღამ ავტირდი. იმ დღეს არც ინსტიტუტში წავსულვარ. სკოლის ამხანაგს მივაკითხე შინ, მას დილით ლექციები არ ჰქონდა და შუადღემდე მასთან დავრჩი. ბრაზი მახრჩობდა. მოდი, ერთი, ვინმეს ვნახავ და მის ჯიბრზე მასთან გავივლი-მეთქი. მაგრამ მისი მჯობნი ვერავინ აღმოვაჩინე, სხვა ყველა ჩირადაც არ მიჩანდა თვალში. ჩვენ მარტო ვიყავით. ოთახში დავბორიალობდი, ლაპარაკიც მინდოდა, რომ გულიდან ჯავრი გადამეყარა.

— ნახი, ლექციებზე არ დაგაგვიანდეს, მეც წავალ მალე, — ვუთხარი მას, როცა შუადღე მოახლოვდა.

იგი ფიქრიანი თვალით დამაკვირდა.

— შენ რატომ არ ხარ ლექციებზე?

— აბა, რა ვიცი.

მომიახლოვდა.

— ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

თავი ველარ შევიკავე და ავტირდი. ნახიმ ხელი მომხვია და დივანზე ჩამოვსხედით. მადროვა, ვიდრე დავმშვიდდებოდი. მერე მკითხა, რა მოგივიდაო. მე ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. ერთხანს გულსეყრით მისმენდა, მერე სახეზე ფიქრი აეშალა, ტუჩები მოკუმბა და ნერვიულობისაგან თითებს წვალეზა დაუწყო. როცა ყველაფერი ვთქვი, ცალკერძ გუ-

ლზე მომეშვა, ცალკერძ ჩემ თავს ვერ ვაპატიე. დავხანძარე, არ
თქვა-მეთქი. შემპირდა, კრინტს არსად დავძრავო, მაგრამ მას არავინ
თანაგრძნობა არ გამოუხატავს და ამან კიდევ უფრო შემამწიფა.
ავტორდი.

— ნანა, — მითხრა მან ბრაზიანი ხმით, — შენ იცი ვინ არის იგი?
თავი ავწიე და შევაჩერდი. მან პირი მომარიდა, ეტყობოდა, თქმა
უჭირდა. ცოტა ხანს ღუმდა, მერე განაგრძო:

— შენ ცოდო ხარ!

— რატომ? — შევძახე შეშინებულმა.

— არ იცნობ ვინ არის იგი და იმიტომ.

— ნაზი!..

— ჰო, ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ერთი ნახვით ასე რამ შეგაცყვარა.
ნუ აქცევ მის გარეგნობას ყურადღებას, სილამაზე მაცდურია. შენ ჰკვი-
ანი გოგო ხარ, დაკვირვებულის. ნურასოდეს ნუ იფიქრებ მასთან შეხვედ-
რას, პირიქით, თუ დაინახო შენსკენ მოდის, მოერიდე, რომ თვალი არ და-
გატანოს. მან ბევრი პატიოსანი აცდინა გზას. მისი ღიმილი, ლაპარაკი ხე-
ლოვნურია. იგი თავისთავთანაც არაა გულწრფელი. რატომ ცხოვრობს,
რა უნდა ამ ქვეყანაზე, თვითონაც არ იცის. კმაყოფილია იმით, რომ ქა-
ლებს კულში დასდევს. ხან ერთთანაა, ხან მეორესთან. არსად არ მუშაობს.
მამა რომელიღაც ქარხნის დირექტორია და, ეტყობა, განებივრებული
ჰყავს. მე ეს ყველაფერი კარგად ვიცი. მისი მამიდა ჩემი მეზობელია. ნა-
თესავები აწიოკებული ჰყავს. რამდენიმეჯერ დაპატიმრებას გადაარჩინეს.
ნანა, მე შენ ამას გულწრფელად გეუბნები და მენდე!

— მაგრამ მე ხომ იგი მიყვარს!

— არა, შენ მხოლოდ გატაცებული ხარ!

ნაზი მართალი იყო, იმ დღემდე თურმე მხოლოდ გატაცებული ვყო-
ფილვარ, არ მცოდნია რა ყოფილა ნამდვილი სიყვარული. გადავწყვიტე
თუ არა, გულიდან ამოვიღო იგი, სწორედ მაშინ ჩემში გაჩნდა სულ სხვა
გრძნობა. ყველაფერზე გული ამივარდა, ნერვიული გავხდი, მშობლებთან
საუბარიც კი მაღიზიანებდა, არაფერი არ მომწონდა და თვალწინ სულ მისი
სახე მედგა, როგორიც იგი ამხანაგის დღეობაზე ვნახე, როცა ჩემს წინ იჯ-
და და თვალებში შევცქეროდი. მე იგი ასეთი მინდოდა ყოფილიყო, სხვა-
გვარად ვერც წარმომედგინა და საკუთარ ნაღველში ვიხარებოდი.

ალარ მიფიქრია მასთან შეხვედრა. სახლიდან არ გამოვდიოდი. დი-
ლით ინსტიტუტში მივდიოდი და შუადღისას ვბრუნდებოდი. სხვაგან წა-
სასვლელი ჩემთვის არ არსებობდა. თანაკურსელებთანაც კი არ ვამხანაგო-
ბდი. შინ ხომ მთლად ჩამივარდა ენა. მშობლები ექვად იქცნენ, მეკითხე-
ბოდნენ, რა მოგდის, რა ამბავიაო შენს თავს. მე ყველას უკმეხად ვიცი-
ლებდი. რა მიხაროდა ამ ქვეყნად, ამაშიც კი ვერ ვერკვეოდი. მხოლოდ

ვგრძნობდი, რომ ადამიანები მეჯავრებოდა, არავის დანახვა არ მინდოდა. ვცდილობდი მარტო ყოფნას და ფიქრებში თავის დამშვიდებას. არასოდეს არ შევხვდებოდი, მაგრამ ნახის ნათქვამიც მაეჭვებოდა, მაგრამ დავიჯერო. ვერ წარმომიდგენია, ლადო ისეთი იყოს, ან იმის მსგავსი, როგორიც მან დამიხასიათა. ეს აზრი თანდათან გამიჭდა თავში, მაგრამ ვცდილობდი, არ ავყოლოდი, რაც ვიტანჯე და ვეწვალე, ისიც კმარა.

სახეზე ყვითელი ფერი დამედო, გავხდი, ზოგჯერ შუადღისას დავწევობდი და დილაზე არ ავდგებოდი. თუ ვინმე გამომივლიდა, კინოში წავიდეთო, ავადმყოფობას ვიმიზეზებდი. მეშინოდა, მას რომ სადმე შევხვედროდი, არ ემოქმედა. მაგრამ, რაც უფრო ვცდილობდი მის დავიწყებას, მით უფრო თვალწინ მედგა იგი. საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ მისი მსგავსი არავინაა ქვეყნად, და ეს იყო ჩემთვის მომავლდინებელი. ზოგჯერ ვიტყვოდი, სიყვარულს ყველაფერი ეპატიება და, თავს სასწოროზე დავდებდი, სადაც არ უნდა შემხვდეს და როგორიც არ უნდა იყოს, არ მოვერიდები, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი-მეთქი. კოხტად ჩავიცვამდი, თმას დავივარცხნიდი. შევეტრალდებოდი სარკის წინ და მთელი ჩემი გადაწყვეტილება საპნის ბუშტივით გასკდებოდა — ფერ-ხორცი აღარ გამაჩნდა. თავად მეზარებოდა ჩემი გასაგათებული, უსიცოცხლო გამომეტყველება, გამხდარი მკლავები, ამოღამებული თვალები.

დღეაჩემმა ექიმი გამოიძახა. შეეწუხდი, რა საჭირო იყო. ექიმმა გულდასმით გამსინჯა, გამომკითხა, რა მტკიოდა, რა მაწუხებდა. მე თავს ვაქნევდი, არაფერი არ მტკივა-მეთქი. ქალაქში ცნობილი ექიმი იყო, მაგრამ დაიბნა, არაფრის თქმა არ შემიძლიაო. წამალი მაინც გამოწერა. მიიღე ეს წამლები და სამ დღეში გამოვივლიო, ისიც კი თქვა, კარგი იქნება, კონსილიუმს თუ მივიწვევთო. სასტიკი უარი განვაცხადე: არაფერი არ მტკივა და არც არაფერი მაწუხებს, უბრალოდ, დავსუსტიდი, მალე გამოვჯანსაღდები-მეთქი. მე ხომ ვიცოდი, რაც მჭირდა. წამალი არ დამილევია. მხოლოდ ერთხელ, როცა დედაჩემი დილით თავზე დამადგა და წამალი მომიტანა, იძულებით დავლიე.

შინ ჯდომაც აღარ შეიძლებოდა, სულ გადაირიენ, ბავშვი ხელში გვაძნებდა, ვერაფერს ვშველითო. მე თავს ძალას ვატანდი და ხანდახან ქუჩაში სასეირნოდ გავდიოდი. შორს არსად წავსულვარ, სახლიდან რამდენიმე ქუჩას გავივლიდი და მოვბრუნდებოდი. ქუჩის კუთხეში შექუჩებულ ახალგაზრდებს რომ დავინახავდი, გული შემიქანდებოდა, მათ შორის ის არ იდგეს-მეთქი. კარგა ხანს არსად არ შემხვედრია, მეც შევთამამდი და ქუჩაში ვაყოვნებდი. სუფთა ჰაერმა, ცოტა არ იყოს, ძალა შემმატა. შემსუბუქება ვიგრძენი და ამხანაგებთან ერთად ერთ-ორჯერ კინოშიც ვიყავი. დედაჩემი კარებთან მხვდებოდა და თვალებში შეჩქვიფებული შემო-

მაჩერდებოდა, ხომ კარგად ხარო, მერე კმაყოფილი თავისთვის ჩაიკლა-
რკებდა: მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს!

იმ დღეს კინოში მიწოდდა წასვლა, მაგრამ არავის არ გამოუშველია და
ქუჩაში მარტო გავედი, რომ ნაცნობთაგანს გადავყროდი. გულწრფელად
შემიძლია ვთქვა, რომ სრულიად არ მახსოვდა იგი. და ეს იყო მხოლოდ
ნახევარი საათის მანძილზე. შემდეგ, როცა გამახსენდებოდა ეს ნახევარი
საათი, აკანკალებული ვამბობდი: რა ბედნიერებაა, როდესაც არავისზე არ
ფიქრობ. ნაცნობთაგანი არავინ შემხვედრია და უკან გამობრუნებას ვაპი-
რებდი, კინოში მარტოდ შესვლა ვერ წარმომედგინა, ისიც ღამით.
— ნანა.

მისი ხმა მეხის გავარდნასა ჰგავდა. არ მიწოდდა დამეჯერებინა... ის იყო.
ის მეძახდა. სხეული მომეშვა, ქვეყანა თავდაყირა დაეკიდა და დატრიალდა.
მას მეორედ აღარ დაუძახია და ვიფიქრე, მომესმა-მეთქი. მაგრამ უცებ
ვიგრძენი, იგი ჩემს გვერდით იდგა. რაღაც თქვა, რა, არ გამიგონია. ნე-
ბისყოფამ მიღალატა და გავჩერდი, მისკენ შევტრიალდი. ტუჩებზე ღიმი-
ლი გადაჰრავდა, სახე გაბადრული ჰქონდა და თვალები გაბრწყინებული.
ხელი გამომიწოდა, ინსტინქტურად მეც გავუწოდე. ახლა ასე ვამბობ იქ-
ნებ იმიტომ, რომ თავი მინდა ვიმართლო. მაშინ კი არაფრის თავი არ
მქონდა. მკლავზე ფრთხილად შემავლო ხელი და მითხრა, გავიაროთო.
მეც გავყევი ყოველგვარი მორიდების გარეშე. ვიგრძენი, ჩემს წინ ყვე-
ლაფერი განათდა, ქუჩა დაცარიელდა, ეჭვები გაიფანტა და ვით ორი ან-
გელოსი, ისე მივდიოდით ქუჩაში. იგი რაღაცას მეუბნებოდა. მგონია ასე
მითხრა, დიდი ხანია თქვენი ნახვა მინდა და ვერ მოვახერხეო. თქვენი
ნახვა, როგორც ჩანს, ძალზე ძნელია, ეს ბედნიერება მხოლოდ დღეს მე-
რგო და ვერ აგიწეროთ ჩემს სიხარულსო. ჰო, ასე მითხრა, კიდევ ის
თქვა: თქვენ მორცხვი ყოფილხართ, ასე არ ვარგა, საკუთარ თავს თვითონ-
ვე დაიჩაგრავთო. სიგარეტს მოუკიდა, თვალი შევავლე, რა ლამაზია,
— გავიფიქრე. მან კი სიგარეტი გააბოლა და განაგრძო, — თქვენისთანა
ლამაზი გოგონა კარჩაკეტილ ცხოვრებას არ უნდა ეწეოდეს. მე ამას იმი-
ტომ არ გეუბნებით, რომ თავი მოვაწონოთ, სრულებითაც არა, უბრა-
ლოდ, ვერ ვმაღავ ჩემს გრძნობებს. მოსვენება დავკარგე, სულ თქვენზე
ვფიქრობ, გინდ დამიჯერეთ, გინდ არაო.

ეს სიტყვები ლოცვასავით მესმოდა. მეც ჩემს გულში ვლოცულობდი:
მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! აღარაფერი არ მესმოდა. ნაზი შუ-
რიანი ყოფილა. როგორ დავიჯერო ასეთი მოკრძალებული, თავაზიანი
ადამიანი იყოს ყოველივე იმის მოქმედი, რაც ნაზიმ მიაჩნო. აი ადამიანი,
კეთილშობილების განსახიერება, მას თუ არა, აბა ვის უნდა ენდო. და
მესმოდა მისი ხმა, ჩემს ფიქრებში არეული. გაცრუებულმა იმედებმა
ფრთები შეისხა. მე ცაში დავფრინავდი. მიწოდდა ყველას დავე-

ნახე, მეამაყებოდა მასთან გავლა. თვალს ვაცეცებდი, ნაცნობთაგანი რომ არაფერი გვხვდავს-მეთქი. ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა რომ მომეხსენებოდა, ყველგან წავყვებოდი.

იგი უცებ შეცბა, ლოყები წამოენთო და თვალი გაუშეშდა. შევნიშნე, ქუჩის მეორე მხარეს ქალს მიაჩერდა. გულზე გამკენწლა. ქალი მყისვე შევათვალე; იგი ცხრამეტი-ოცი წლისა იქნებოდა, მაგრამ ტუჩებთან ნაოჭი დასდევდა, თმა, წამწამები, თვალის უბეებიც შეეღება. მოკლე, ძალიან მოკლე კაბა ეცვა. ძნელად მიხვდებოდი, თმა რანაირად ჰქონდა დავარცხნილი: შუბლზე ეყარა, მხრებზეც, ყურები არ უჩანდა, უკანაც იყო გადავარცხნილი. ქალმა შენიშნა, თუ არა ლადო, მაშინვე გაუღიმა, ფეხი მოინაცვლა და მხარზე გადაკიდული ჩანთა შეისწორა. ლადომ ერთი შეპოხვით დაბნეული სახით, მერე ქალს გახედა, სიტყვა გაუწყდა და რამდენიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გადავდგი.

— ნანა, ბოდიში, ახლავე მოვალ, დამელოდე, — მითხრა მან და ქალისაკენ გაემართა.

გავჩერდი, უფრო სწორად, რაღაც ძალამ იმავე ადგილას დამაბა. ქალური ცნობისმოყვარეობა იყო ეს თუ თავმომწონეობა, არ ვიცი. ვიდრე ის არ მოვიდოდა, ნაბიჯის გადადგმა არ შემეძლო. დაველოდე, რა მოხდებოდა, თანაც საშინლად ვკანკალებდი. ლადო თავმომწონედ მივიდა ქალთან. ქალმა უღიმღამოდ გაიკრიჭა, ხელი გაუწოდა და მხარზე ფრთხილად მიეტმასნა. ლადომ ქალს წელზე მოხვია ხელი. ჩემსკენ ზურგით იდგნენ. მე მათ სახეებს ვერ ვხედავდი, მაგრამ წარმოდგენილი მქონდა, როგორი თვალებითაც უყურებდნენ ერთმანეთს. ასე იდგნენ რამდენიმე წუთს, მერე ხელოვნურად დაბნეული ლაპარაკობდნენ, და მე ვხედავდი მათ კმაყოფილ, ალერსით სავსე სახეებს.

რატომ ველოდი მას? რატომ ვიდექი და შევყურებდი ამ საშინელ სურათს?.. ვიდექი დამცირებული, განადგურებული, უიმედო და მაინც რაღაცას ველოდი. უცებ ლადომ ჩემსკენ გამოიხედა, ქალს რაღაც უთხრა და გამოემართა. ბოდიში მომიხადა და, ქალური სისულელე, ყველაფერი დამავიწყდა. მხოლოდ ერთი სურვილი მკლავდა, ვინ იყო ის ქალი?! მას ჩემთვის აღარაფერი უთქვამს, მივდიოდით ნელა და ის თავისას ფიქრობდა, მე ჩემსას.

— ნანა, — ისევ მომიბრუნდა იგი, გაჩერდა და სახეზე ღიმილი აუთამაშდა, — ამ საღამოთი ძალიან კმაყოფილი ვარ. შემეძლია თამამად ვთქვა, რომ ჯერ ასეთი საღამო მე არ მქონია. შემეძლია დილაზე ვისეირნო თქვენთან, გიყუროთ თქვენ და დაღლა არ ვიგრძნო, მაგრამ...

მისი ხმის კილო არ მომეწონა. ამას ბავშვიც მიხვდებოდა და წყენით შევაჩერდი.

— მე ახლა უნდა წავიდე, მაპატიეთ! — დასძინა მყისვე, რაკი შემატ-

ყო, თვალი კურცხალით ამევსო, — თქვენ შეუძლოთ ხართ, ჩემი მოგონებაა, შინ მივაცილოთ. მხოლოდ ახლა ნუ მიწყენთ. უნდა წავიდეთ ჩვენი რება. სხვა დროს შევხვდეთ ერთმანეთს. თქვენ თუ ისურვებთ, შევხვეხნავა ღამოს გამოდით, კარგი?

იგი ჩემს პასუხს არ დალოდებია, გამოვიდოდი თუ არა ხვალ საღამოს მასთან შესახვედრად, ხელი გამომიწოდა და გამიმეორა, ხვალ გელოდებითო. და წავიდა. უკან არ მოუხედავს. მე რაღაც ძლიერმა ძალამ, უფრო ძლიერმა, ვიდრე ბედისწერამ, ფეხი ამადგმევინა. იმას, რასაც სხვებს დავცინოდი, ახლა მე ვაკეთებდი. ექვნიანი დედაკაცი გავხდი, ავედევნე. ხან ერთს გამვლელს ვეფარებოდი, ხან მეორეს, რომ მას არ დავეხანხე. ლაღომ გადაჭრა ქუჩა, შეუხვია და, ის ქალიც ხის ქვეშ ელოდა...

ორ დღეს ძლივს დავდიოდი ლექციებზე. მესამე დღეს ადგომა გამიჭირდა, ვიცრუე, პირველი ლექცია არ მაქვს-მეთქი. მეგონა, ცოტა მოგვიანებით ავდგებოდი, მაგრამ ვერც შემდეგ შევძელი ადგომა. სხეულში ცივი ჟრუანტელი მივლიდა, ბურანში ვიყავი. დედაჩემს სიტყვა არ დაუძრავს, ისიც კი არ უკითხავს, ლექციებს რატომ აცდენო. მგონი, რაღაც გაგებულის ჰქონდა, ალბათ, ნაზიმ გამცა. არც ექიმისათვის გამოუძახია. გამიხარდა. შემოვიდოდა, დამხედავდა და წავიდოდა. მარტოდ თავს უკეთ ვგრძნობდი. მართალია, ფიქრებით დაზაფრულს სული მეხუთებოდა, მაგრამ მაინც ჩემს ფიქრებთან ყოფნა მერჩივნა. ადვილი წარმოსადგენია ჩემი მდგომარეობა, ჩემზე უბედურნი ქვეყნად ვინ უნდა ყოფილიყო.

ნაზის გაევგო, ინსტიტუტში რომ არ წავსულვარ და შუადღისას გამომიარა. შემოხედვისთანავე შემატყო, რა ცეცხლშიც ვიწვოდი და სახეზე შიში გამოეხატა. მხოლოდ ეს მითხრა, როგორ ხარო, და საწოლის წინ სკამზე დაჯდა. იგი ხომ ყველაფერში მართალი იყო, ტყუილად დავწამე ცილი, მას ჩემთვის კარგი სურდა და, სწორედ ამის შემრცხვა. მე მას მოწყალების თვალით შევხედე, ალბათ შემატყო, რასაც ჩემი თვალები ამბობდნენ და მითხრა:

— ნუ გეშინია, მალე გამოჯანმრთელდები!

მე გამხდარი ხელი საბნიდან გამოვიღე, ხელზე ფრთხილად დავადევი და ვუთხარი:

— მაპატიე, ნაზი!

ერთხანს ვდუმდით. ცოტა რომ დავმშვიდდი, თმაზე ხელი გადამისვა.

— შეყვარებული ხარ! — თვალებიანად გამიღიმა მან.

— ჰმ! მიყვარს, მაგრამ არასოდეს არ შევხვდები მას, ნამდვილად არასოდეს არ შევხვდები!

— კარგი. ნუ ღელავ, საკუთარ თავზე იფიქრე!

თვალი ცრემლით ამევსო.

— არ ვიცი, ჯერაც ვერ გავრკვეულვარ, რა დამემართა, მე ხომ არა-

სოდეს ვინმეზე არ მიფიქრია. სასირცხოდ მიმაჩნდა, ქალი რომ ვინმეზე იტყოდა, მიყვარსო. არა. დღეიდან სიყვარულს არავის გავუმტყუებ. მაგრამ... — ცრემლი ველარ შევიკავე და ავტირდი.

მერე იგი დიდხანს მელაპარაკებოდა, მამუშიდებდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო! ამას ჩემი გულის გასაკეთებლად ამბობდა, თორემ მანაც იცოდა, რა მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. თავს ერთი რამით მაინც ვგრძნობდი ბედნიერად. რომ ნახის ყველაფერი ვუთხარი. მომეჩვენა, გულზე ჯავრიც მომეშვა. მაგრამ იგი ხომ მუდამ ჩემთან არ იქნებოდა? როცა წავიდა, საკუთარ თავთან მარტოდ აღმოვჩნდი და კვლავ ფიქრები შემომეყარნენ. თავდაპირველად მრცხვენოდა, მასთან გავლილი, ალბათ ნაცნობმა დამინახა და რას იფიქრებდა-მეთქი, მთელი ქალაქი გაიგებს და თავი მომეჭრება, ვინ იცის, თავად ის რას ამბობს. შემდეგ ეს სულ გადამავიწყდა და იგი ხელშესახებად დავინახე, თითქოს ერთად მივდივართ, თითქოს მესმის მისი ხმა და...

დედამ კარი შემოაღო და მითხრა:

— ნანა, ვის ელაპარაკები, ნახი არ წასულა?

— მე არ ვლაპარაკობ! — ლოყები ამეწვა.

დედა მაშინვე მიხვდა და აღარაფერი უთქვამს, შუბლზე ხელი დამადო, სიცხე ხომ არ გაქვსო.

სიცხე მეორე დღით მომცა. არაფერს არ ვჭამდი, საშინლად გავხდი. დედამ სარკე რომ მომიტანა, საკუთარი თავი ვერ ვიცანი. შიშისაგან სარკე ხელიდან გამივარდა და შიგ ალარ ჩამიხედავს. თავზე ზეწარი წავიფარე, რომ ჩემი დალეული სახე არავის დაენახა. ვიყუჩე. უცებ ფიქრებიც მომეშვენ და მეგონა, მძიმე ტვირთისაგან განვთავისუფლდი. ძილღვიძილში ვიყავი. მომეჩვენა, უდაბნოში ვარ, ძლიერი ქარი ქრის, საცაა ტანზე კაბას შემომაცლის, თმაც ქარს მიაქვს, მკერდზე ხელს ვიფარებ, კაბის კალთასაც ვისწორებ, მაგრამ ქარი მეძალება, ყველაფერი წყვდიადს მოუცავს, თავი ვერ ამიწევია, და გავჩერდი აბობოქრებული ზღვის პირას, ტალღები შხუილით მოემართებიან, კალთებს აიკრეფენ და მიწას ენარცხებიან. ჩემს მეტი არავინაა, მარტოდ-მარტო ვარ, ქარი კი კვლავ მეძალება, ტალღებისაკენ მეწევა. უკან ვიხევ და ძალადაცლილი მიწაზე ვეცემი, აი აღიმართა ტალღა, ცოტა კიდეც და...

— ლადო! — ვყვირი მთელი ხმით.

* * *

— ჰა, ჰა, ჰა, — შენ მაგიყებ ლადუნი, — ქალის ხმამაღალმა სიცილმა გაკვეთა კაფეში გამეფებული ხმაური. ლადო ნელა დაიხარა მისკენ, ყვრიმალთან თმა აუწია და აკოცა. ქალი ისევ კისკისებს, კონიაკით საფხე ჭიქა პირთან მიაქვს, გაღებულ ტუჩებს კუმავს და, ვიდრე მოსვამდეს,

ლადოს თავისკენ ეწევა, ჭიქას აწვდის, შენ დალიეო. ხნიერი მამაკაცი
ალმაცერად შემოსცქერიან, საუბარი გაუწყდათ და ფინჯანი ყავა ხელში
შეაცივდათ. ქალი კვლავ კისკისებს.

— მერე, მერე?..

— დიდი ხეპრე ვინმეა.

— პირველად გაიარე მასთან?

— ჰო, ცხვარივით დამფრთხალი მიყურებდა. მგონი, დიდი თავის
მტვრევა არ დამჭირდება. ჰა, ჰა, ჰა, სულელი უნდა იყო, რომ ხელიდან
გაუშვა.

— მე?

— შენ ეჭვიანობ?

— არა, ისე.

— ნუ გამიჯავრდები, კარგო, მხოლოდ რამდენიმეჯერ გავივლი.

ლადომ შუბლზე ჩამოყრილი თმა გაისწორა, ბორძიკით წამოდგა და
დაიძახა:

— ოფიციანტ, კონიაკი!





კასი, რომელიც ქუჩაში მიდის

მე მივდიოდი.
ერთი ქუჩიდან
მეორე ქუჩის გადაკვეთამდე
მე დავინახე ერთი და ბევრი.
კაცი ყველაფერს უნდა ხედავდე.
ის გადმოვიდა შუა ქუჩიდან,
იქნებ ულხინდა,
ანდა უჭირდა.
ფერად ვიტრინებს ის არ უმზერდა,
ფერად მანქანებს ის არ უმზერდა,
ლამაზ გოგონებს ის არ უმზერდა,
ის მიდიოდა ისე ამაყად...
იყო ხმიერი,
იყო ძლიერი.
ის მიდიოდა და თან მიჰქონდა
შეყვარებული კაცის იერი,
ჭირგამოვლილი კაცის იერი,
ქედმოუხრელი კაცის იერი.
ის მიდიოდა. მაღალ ხეებში
სექტემბრის ნელი ნიავი ქროდა.
მიდიოდა და უნდა გენახათ,
რა ბედნიერი ღიმილი ჰქონდა.
ის ახლაც მიდის,
მიდის და მიდის,
ხვდება პატარებს და ხვდება დიდებს,
ესალმება და ესალმებიან...
მიდის, ვინ იცის როგორ ელიან!
იმ კაცს ვინ იცის რა განძი მიაქვს,
იქნება კარგი ამბავი მიაქვს.

იმ კაცსა მეტჳი, არ ვიცი თორემ,
იქნება კარგი სახელი ჰქვია
თუ მართლაც კარგი ამბავი მიაქვს.
ის ახლაც მიდის,
მიდის და მიდის...
მიდის, არ უმზერს ფერად აფიშებს,
ასე მგონია, გადადგამს ნაბიჯს
და საუკუნეს გადააბიჯებს
კაცი, რომელიც ქუჩაში მიდის.



კრემლის კომენდანტის ჩანაწერები

ეს მთელი წიგნია, რომლის ავტორი — ძველი ბოლშევიკი, ოქტომბრის შტურმის მონაწილე, ზოლო შემდეგ მოსკოვის კრემლის კომენდანტი — თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით დაანლოებული იყო და ხშირად ხვდებოდა ვ. ი. ლენინსა და მის თანამებრძოლებს.

„კრემლის კომენდანტის ჩანაწერებს“ ვ. ი. ლენინის დაბადების ახი წლისთავისათვის დასაბეჭდად ამზადებს გამოცემლობა „ნაკადული“.

„ლიტერატურული აქარის“ მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან, რომელიც თარგმნა შოთა როყვამ.

მოსკოვში, ისევე როგორც პეტროგრადში, ვლადიმერ ილიას ძე წარმოუდგენლად ბევრს შრომობდა. მე პასუხისმგებელი ვიყავი ილიჩის უშიშროებისა და დაცვისათვის და სხვამ ჩემსავით ვინ იცოდა მისი მუშაობის დღის წესრიგი!

ლენინის სამუშაო დღე მთელი სიზუსტით იყო ორგანიზებული. ყველა სხდომა და თათბირი ზუსტად განსაზღვრულ დროს იწყებოდა. წუთი რა არის, იმის გადაცილება არ შეიძლებოდა. მომხსენებლებს მკაცრი რეგლამენტი ეძლეოდათ: 10-15 წუთი, მოკამათებებს — კიდევ უფრო ნაკლები. გინდა თუ არა, ამ დროში უნდა ჩაეთიო. არავითარი ზადმეტი ლაპარაკი! ზედმეტი იტყუაობას ვლადიმერ ილიას ძე ვერ იტანდა. ყველაფერი კეთდებოდა მოფიქრებულად, ორგანიზებულად, სწრაფად.

ვლადიმერ ილიას ძე ყოველდღიურად აუარებელ ხალხს ღებულობდა: პარტიულ, სახელმწიფოებრივ, სამეურნეო,

ზოგჯერ პირად საკითხებზე. მიღება ხდებოდა მოკლე დროში: ლენინი სწრაფად ერკვეოდა თითოეული საკითხის არსში, იქვე გამონახავდა საჭირო გადაწყვეტას. და როცა გადაწყვეტილება მიღებული იყო, მტკიცედ მოითხოვდა მის უყოყმანოდ შესრულებას. და შეამოწმებდა, უსათუოდ შეამოწმებდა.

ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ლენინი სამხედრო საქმეს. საფუძვლიანად განიხილავდა ყველა ძირითად სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, უშუალოდ მონაწილეობდა ყოველი ფრონტისა და არმიის ხელმძღვანელობაში. ხშირად მინახავს ილიჩი სამომავლო მოქმედების რუკებთან დახრილი, როცა მას სხვადასხვა საქმის გამო გამოუძახივარ. ეს რუკები ან მაგიდაზე იყო განლაგებული, ან კედელზე ეკიდა.

ილიჩის ნახვა შეუძლებელი როდი იყო. მასთან შეხვედრა შეეძლო არა მარტო ხელმძღვანელ მუშაკებს, არამედ ყოველ რიგით მოქალაქეს, თუკი ეს აუცილებელი იყო. განსაკუთრებით

ზშირად ღებულობდა ლენინი ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვან გლეხებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ყველას შეეძლო შესულიყო ილიჩთან, როცა მოესტრებოდა. ის ღებულობდა მხოლოდ მათ, ვისაც თვითონ გამოიძახებდა საჭირო საქმის გამო, აგრეთვე მათ, რომლებიც წინასწარ დასაბუთებდნენ, რომ აუცილებელი იყო ლენინთან ესაუბრათ. ყოველი ასეთი საუბრის დრო მკაცრად რეგლამენტირებული იყო.

გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ მუშათა და გლეხთა დელეგაციები, რომლებსაც ლენინი ადრე ღებულობდა და მათთან უფრო ხანგრძლივად საუბრობდა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის შედარებით მცირე, მაგრამ მეტად მოქნილი და საქმიანი აპარატის თანამშრომლები წინასწარ გაესაუბრებოდნენ ყველას, ვისაც ლენინის პირადად ნახვა უნდოდა და ამ საუბრების შედეგებს მოახსენებდნენ ლენინს. ამის შემდეგ ის თვითონ წყვეტდა, პირადად მიედო მთხოველი თუ რომელიმე სხვა დაწესებულებაში, ამა თუ იმ ამხანაგთან გაეგზავნა.

მიუხედავად მნახველთა დიდი ნაკადისა, ლენინის მისაღებში რიგი არასოდეს არ იდგა, იქ დიდხანს ლოდინი არავის არ უხდებოდა.

ლენინის განიერ, მაგრამ არა უზარმაზარ კაბინეტს სამი კარი ჰქონდა. ერთი, საწერი მაგიდის მარჯვნივ რომ იყო, გადიოდა დერეფანში, რომელიც სახკომსაბჭოს თავმჯდომარის კაბინეტსა და მისაღებს აერთებდა მის ბინასთან. ამ კართან გუშავი იდგა. ვერავენ, გარდა ილიჩისა, ამ კარებში ვერ შევიდოდა. გუშავს მიღებული ჰქონდა განკარგულება: არ გაეშვა ამ კარებში სხვა არავინ, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. მეორე საგუშავო იყო დერეფნის ბოლოს, ილიჩის ბინის მახლობლად. ამ პორტებზე მე ყოველთვის ყველაზე საიმედო ადამიანებს ვნიშნავდი, მათ მუდმივ

მეთვალყურეობასა და კონტროლს ვუწევდი.

მეორე კარი, რომელიც საწერი მაგიდის პირდაპირ იყო, მისაღებში გადიოდა, სადაც ლიდია ალექსანდროვნაიკა ფოტიევა და სახკომსაბჭოს სხვა მდივნები მუშაობდნენ. ამ კართან გუშავი არ იდგა.

ყველა შემომსვლელი, — იყო იგი სახალხო კომისარი თუ რიგითი მუშა, ცენტრალური კომიტეტის წევრი თუ ტულიდან ჩამოსული გლეხი, სარდალი თუ მეცნიერი, — ლენინთან შედიოდა მხოლოდ ამ კარის გავლით, მისაღების გავლით, გამოძახების შემდეგ და ზუსტად განსაზღვრულ დროს. ეს იყო დადგენილი წესი და იგი თითქმის ყველას ეხებოდა. არ ვრცელდებოდა ეს წესი მხოლოდ იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვზე და ლილიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკიზე.

იაკობ მიხეილის ძე და ფელიქს ედმუნდის ძე ჩვეულებრივად სარგებლობდნენ მესამე პატარა კარით, რომელიც საწერი მაგიდასთან იყო, ილიჩის ზურგს უკან. ეს კარი პატარა ოთახში გადიოდა, სადაც აპარატურა იდგა. აპარატურაში ჩართული იყო ეგრეთ წოდებული კრემლის ზედა კომუტატორი, რომლის აპარატები იდგა განსაკუთრებით პასუხისმგებელი მუშაკების, ცენტრალური კომიტეტის წევრების, სახკომების კაბინეტებში და ზოგიერთი მათგანის ბინებში, აგრეთვე ზოგიერთ დაწესებულებაში: ჩეკაში, სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში, კრემლის კომენდატურაში, იმ მებრძოლთა რაზმის ავტოგარაჟში, რომელიც ცაქს ემსახურებოდა. ეს იყო და ეს.

იყო კრემლში აგრეთვე მეორე, ქვედა კომუტატორიც, რომლის აპარატები იდგა კრემლის ყველა დაწესებულებაში და ბინებში.

აპარატურასთან დღით და ღამით მორიგეები იდგნენ და აქედან ილიჩთან შედევნა ყოველად შეუძლებელი იყო.

ვლადიმერ ილიას ძე დიდ ყურადღე-

ბასა და გულთბილობას იჩენდა მისი კა-
ბინეტისა და ბინის მახლობლად მდგარი
გულშაგებისადმი, რომლებსაც ხშირად
ხედებოდა და გულთბილად ესაუბრებო-
და.

ასევე გულთბილად ეპყრობოდა ილი-
ჩი მინისტრთა საბჭოს თანამშრომლებს.
იგი არასოდეს არ განრისხდებოდა, თუ
კი წარმოეშობოდა რაიმე გაუგებრობა.
ასეთი კი ხშირად ხდებოდა.

1918-1919 წლებში დროდადრო ელე-
ქტროენერგია წყდებოდა და კრემლის
შენობები საშინელ სიბნელეში აღმოჩნ-
დებოდა ხოლმე.

ერთხელ სინათლე სწორედ მაშინ ჩა-
ქრა, როცა ვლადიმერ ილიას ძე და ნა-
დეჟდა კონსტანტინეს ასული სიდან-
ლაც შინ ბრუნდებოდნენ. მათ თავიანთ
ბინამდე მიიღწიეს, მაგრამ სიბნელეში
ისინი გულშაგმა ვერ იცნო და სახლში
არ შეუშვა. რამდენიც არ არწმუნეს
გულშაგი, არა და არა, არ შეუშვა.

კიდევ კარგი, რომ გულშაგი დათანხმ-
და დაერეკა ყარაულის უფროსისათვის.

ყარაულის უფროსმა მომასხენა და გა-
ვიქეცი. თან წავიღე რამდენიმე მსხვილი
სანთელი, რომლებიც კრემლის ერთ-
ერთი მონასტრიდან მქონდა წამოღებუ-
ლი.

მივირბინე. ვლადიმერ ილიას ძე დგას
ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერ-
თად გულშაგის ახლოს და იცინის. უნდა
დამეწყო გულშაგის ლანძღვა, რომ ილიჩი
გადამეღობა:

— როგორ შეიძლება, როგორ შეიძლე-
ბა, ამხანაგო მალკოვ? რა დიდი ცოდვაა
თუ ამ სიბნელეში ამხანაგმა ვერ გპო-
ნო. მაგრამ თქვენ რომ გულშაგებს სან-
თლებით მოამარაგებდეთ, ყოველ შეკ-
თხვევისათვის, აი ეს იქნებოდა უკეთესი.
იფიქრეთ ამაზე!

გულშაგები ვლადიმერ ილიას ძეს სა-
ხითაც კარგად იცნობდნენ და იგი,
ჩვეულებრივად, კრემლში ისე შემოდი-
ოდა და გადიოდა, საშვებს არ წარად-
გენდა ხოლმე. ამის გამო ილიჩს ხშირად
არც ჰქონდა თან კრემლის საშვები.

ერთხელ როგორღაც იგი კრემლიდან
გავიდა და მის დაბრუნებამდე გულშაგი
შეიცვალა. და მაცხოვრის ჰიშვარში,
რომელიც მაშინ ტრანსპორტის სადგურში
ლია იყო, დადგა გულშაგი, ზრიალით
ილიჩს სახით არ იცნობდა.

მან დააკავა ლენინი. შოფერს საშ-
ვები ჰქონდა და გაუშვა, ილიჩს კი ეუ-
ბნებოდა: თქვენ ვერ გაგიშვებთ! ძლიერ
დაითანხმა ილიჩმა გულშაგი, რომ ყარა-
ულის უფროსისათვის დაერეკა. ადრე
არც ეს უნდოდა გაუკეთებინა: მე, ჩემო
კარგო, პოსტზე ვარ, რა ჩემი საქმეა
ტელეფონებით რეკვა. შენ გჭირდება,
მიდი და დარეკე. მიდი ტროიციკის ჯი-
ხურში და დარეკე. (მაცხოვრის ჰიშვარ-
თან მაშინ ჯიხურები არ იყო. საშვებს
ტროიციკის ჯიხურში იძლეოდნენ. იქვე
იყო ტელეფონიც).

მხოლოდ დიდი დავიდარაბის შემდეგ
გამოიძახა გულშაგმა ყარაულის უფროსი.
მან ხელად იცნო ილიჩი და აღშფოთდა.
ლენინი რომ გაუშვა, აიღო ყურმილი და
მომასხენა:

— ჩავერდი, სკანდალი! როგორც კი
დავდე ყურმილი, ხელახლა რეკავს ტე-
ლეფონი. ილიჩია.

— ამხანაგო მალკოვ, გთხოვ მადლო-
ბა გამოუტახდოთ გულშაგს, რომელიც
ახლა მაცხოვრის საგულშაგოზე დგას.
კარგი ამხანაგია. კარგად აქვს შეგნებუ-
ლი თავისი მოვალეობა და ჩინებულა-
დაც ასრულებს.

მიუხედავად იმისა, რომ მუდამ დიდი
სახელმწიფო საქმეებით იყო დატვირ-
თული, ილიჩს მხედველობიდან არც
წვრილმანი რჩებოდა. ამავე დროს ყო-
ველ წვრილმანს სახელმწიფო ინტერე-
სების თვალსაზრისით უყურებდა. შეეპ-
ლო პატარაში დიდი შეენიშნა.

მოსკოვში მთავრობის გადმოსვლიდან
რამდენიმე ხნის შემდეგ ვლადიმერ
ილიას ძემ გამოიძახა.

— ამხანაგო მალკოვ, საჭიროა სასა-
მართლო დაწესებულებათა შენობაზე წი-
თელი დროშა აღიმართოს. წარმოიდგი-
ნეთ, საბჭოთა ხელისუფლება და დრო-

ერთხელ, ღამით სეირნობისას, ვლადიმერ ილიას ძემ შენიშნა, რომ ზოგიერთ ბინაში გვიან ღამითაც სინათლე ანთია. დილით მეძახის.

— აიღე ქალაღი, ღამით შეამოწმე და ჩაიწერე, ვინ არიან ესენი, უქმად რომ სინათლეს წვავენ? გამოუტოვე მათ ელექტროენერგია და მომიტანე სია... ჩვენ ვასწავლით, როგორ ხარჯონ სინათლე. ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველი კილოგრამი სათბობი, ყოველი კილოვატი ელექტროენერგია დავზოგოთ, ესენი კი ილუმინაციებს იკეთებენ! ეს უმსგავსეობა უნდა აღიკვეთოს!

დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა ვლადიმერ ილიას ძე მშრომელთა საჭიროებებისადმი, მუდმივად ზრუნავდა, რომ იმ ძნელ პირობებში მუშათა და გლეხთა მდგომარეობა როგორმე გაუმჯობესებინა. ერთხელ ილიითან იმ დროს შევედი, როცა ის მოსკოვის გუბერნიის მომარაგების კომისიარს ტელეფონით ელაპარაკებოდა.

მთელი მრისხანებით, აღშფოთებული ტონით ვლადიმერ ილიას ძემ მომარაგების კომისიარს უბრძანა — იმავე დღესვე უზრუნველყო მოსკოვის მუშები პური.

— მიიღეთ მხედველობაში, შევამოწმებ, პირადად შევამოწმებ. არ შეასრულებთ — მიეცემით სამართალში. გახსოვდეთ ეს!

1918 წლის ზამთარში ტიფის ეპიდემიამ მოსკოვამდეც ჩამოაღწია. მოსკოვის ყველა ვაგზალში სასწრაფოდ შეიქმნა სანიტარული გამტარები.

ერთხელ ილიჩი მეძახის, კაბინეტში კი არა, პირდაპირ სასკომსაბჭოს სადარბაზო შესასვლელთან.

წავედი. შესასვლელთან მანქანა დგას. ილიჩი გადმოდის.

— წავიდეთ ნიკოლაევსკის გამტარში. ვნახოთ, როგორ მუშაობს სანგამტარი.

მე თავი გამოვიდე: როგორ შეიძლება იქ წასვლა, შეიძლება ტიფი გადაგვედოს... მაგრამ ჩემი სიტყვა თითქმის არც გაუგონია.

ვაგზალში მივედი. ვლადიმერ ილიას ძე მანქანიდან გადმოვიდა. მეც გავედი, მოექმენეთ სანგამტარი. გამოირკვა, რომ სანგამტარი, თუმცა შეკმინებულია, ჯერ კიდევ არ მუშაობს რაღაც ფორმალური მიზეზის გამო.

როგორც კი გაიგეს, ვაგზალში ლენინი მოსულა, მათდა საუბედუროდ ვაგზლის მთელმა ხელმძღვანელობამ მოირბინა. იცოცხლე, ილიჩმა მათ დღე წაჰკიდა! ისეთი აბანო მოუწყაო, რომელი სანგამტარი შეედრებოდა! სანგამტარი ხელად გახსნეს.

ერთხელ მოსკოვში ფრიდრიხ პლატენი ჩამოვიდა. ეს ის პლატენია, რომელმაც 1917 წლის მარტში ლენინი შვეიცარიიდან რუსეთში გამოაცილა, ხოლო 1918 წლის იანვარში, ლენინზე თავდასხმის მომენტში, ტყვიას აეფარა, რომ ილიჩი ეხსნა.

მირეკავს ღამით ვლადიმერ ილიას ძე. ამხანაგ პლატენს სადმე ღამე უნდა გაათევინოთ.

მე ვუპასუხე, რომ აქ არაფერი საშუალება არა მაქვს. შემიძლია მხოლოდ წავიყვანო ჩემთან. ბინაზე. იქ მისთვის ერთ ოთახს გავათავისუფლებ მეტი.

— ეს მოხერხდება? — მეკითხება ილიჩი, — თქვენ არ შეწყუხდებით?

— რა უშავს, როგორმე მოვეწყობით.

წავიყვანე ჩემთან პლატენი და ნახევარი საათის შემდეგ კარებზე დარეკეს. ვლადიმერ ილიას ძე მოვიდა. დაინტერესებულა — როგორ მოეწყო პლატენი, ხომ არ შევიწროვდა ჩემი ოჯახი.

თუ კი დროს გამონახავდა, ვლადიმერ ილიას ძე სიამოვნებით მიემგზავრებოდა თავის ამხანაგებთან, პარტიის ძველ წევრებთან. ჭადრაკს თამაშობდა, იცინოდა, ოხუნჯობდა. დადიოდა პ. ნ. ლეშენინსკისთან ოსტოჟენკაზე (ამჟამად მეტროსტროევსკაია), რამდენჯერმე იყო პ. გ. დაუგისთან, არხანგელსკის შესახვევში. ძველი ბოლშევიკი დაუგე,

პროფესიით კბილის ექიმი, ვლადიმერ ილიას ძეს ძლიერ უყვარდა.

ერთხელ ვლადიმერ ილიას ძეს დაუგესთან მეც გავეყვი. მივედი — სახლი დიდია, ლიფტი კი არ მუშაობს. მოგვინდა მეხუთე სართულზე ფეხით ასვლა.

დაუგე მაშინ არწმუნებდა ლენინს, რომ საჭიროა დაიწეროს პარტიის ისტორია.

ილიჩი დაეთანხმა.

რა სიყვარულით, რა მამობრივი მზრუნველობით ეპყრობოდა ვლადიმერ ილიას ძე მაქსიმ გორკის! რამდენჯერ შევსულვარ ილიჩთან, როცა მასთან მაქსიმ გორკი იყო. მე მინახავს, რა გულითადად! დელიკატურად და ამავე დროს გულმოდგინედ ცდილობდა ლენინი დახმარებოდა დიდ მწერალს — გარკვეულიყო იმ წლების არაჩვეულებრივად ძნელ და რთულ ვითარებაში.

ერთ საღამოს კომენდატურაში გზივარ და ვმუშაობ, რომ უცებ მირეკავს იაკობ მიხეილის ძე და მეკითხება, ვიცი თუ არა სად არის ახლა ვლადიმერ ილიჩი.

არაფერი არ ვიცი.

— არ ვიცი, იაკობ მიხეილის ძე, შინ არაა?

— შინ რომ იყოს, ამას უშენოდაც გამოფარკევი. საქმეც იმაშია, რომ შინ არაა. დაახლოებით სამი საათის წინ მან გამოიძახა მანქანა და წავიდა. არც ბონჩმა, არც ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა არაფერი იციან. მაგრამ თქვენ, კრემლის კომენდანტი, თუკი ლენინი კრემლიდან გავიდა. ვალდებული ხართ იცოდეთ, სად წავიდა ლენინი და, თუ ეს საჭირო გახდება, დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები მის დასაცავად.

— მაგრამ, იაკობ მიხეილის ძე...

— არავითარი „მაგრამ“... დარეკე ყველგან. სადაც შეიძლება იცოდნენ, სად არის ვლადიმერ ილიას ძე. დაუყოვნებლივ გამოარკევი, სად არის და ხომ

არ შემთხვავა რამე. ოღონდ წაყარა ხმაური არ ატეხო.

დავდე ყურმილი და დავიწყებულნი სად შეიძლება იყოს ილიჩი, ზედღმერთებო? განკარგულება გაცემული მჭონდა, თუ კრემლიდან გავიდოდა, ეცნობებინათ. არაფერი კი არ მაცნობეს.

დავურეკე პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანს, ვკითხე: ილიჩი თქვენთან ხომ არ შემოსულა? არა, არ შემოსულა. დავურეკე ყოველ შემთხვევისათვის, სახკომსაბჭოს მდივანს, ფოტიევას. არც მან იცის. მაშინ გადავწყვიტე დამერეკა ანა ილიას ასულ ელზაროვასთან. რომელიც კრემლის პირდაპირი, მანქანაზე ცხოვრობდა. მაგრამ ილიჩი არც იქ აღმოჩნდა.

— იცით რა, დაურეკეთ გორკის. — მირჩია ანა ილიას ასულმა, — ილიჩი, ალბათ, იქ არის.

მართლაც იქ იყო. არავისთვის რომ არ დაუბარებია ისე, ვლადიმერ ილიას ძე წასულა ალექსი მაქსიმეს ძესთან და მათთან საუბარში შემოგვიანებია.

გადიოდა დღეები, ვაეცადებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა წყობილება რომ უეტრად თავს დაგვატყდა მოულოდნელი უბედურება.

1918 წლის 30 აგვისტოს ესერი ტერორისტი ქალის კაპლანის მოწყიდული ტყვიით მძიმედ დაიჭრა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ეს მოხდა პარასკევს, პარტიულ დღეს როცა, ისევე როგორც ყოველ პარასკევს, მთელ მოსკოვში ტარდებოდა მიტინგები, სადაც მუშებისა და წითელარმიელების წინაშე მოხსენებით გამოდიოდნენ სახკომები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და სხვა პასუხისმგებელი პირები.

1918 წლის 30 აგვისტო პირქუშად გათენდა. ლენინგრადიდან სამწუხარო ცნობა მოვიდა, რომ მუშათა კლასის მტრების ტყვიით დაეცა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ლენინგრადის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე მოსე სოლომონის ძე ური-

ცკი. ყველა, ვინც მას იცნობდა, ძალზე დაამწუხრა ამ ამბავმა. როგორც კი ეს ცნობა მოვიდა, ძერეინსკი იმ წუთშივე ლენინგრადას გაეშურა, რომ პირადად ეწარმოებინა გამოძიება.

ვლადიმერ ილიას ძე ამ დღეს მიტინგზე უნდა გამოსულიყო ყოფილ მიხეილ-სონის ქარხანაში. ურიცკის მკვლელობის ამბავი რომ გაიგეს, მახლობლები ლენინს ურჩევდნენ მიტინგზე აღარ წასულიყო. მათ დასამწვიდებლად, სადილის წინ, ილიჩმა კიდევაც თქვა. აქნებ აღარც კი წავიდეთ, მაგრამ შემდეგ გამოიძახა მანქანა და წავიდა.

და განა რაიმეს შეეძლო დაეკავებინა ლენინი, როცა იცოდა რომ მას მუშები ელოდებოდნენ?! ამ დროს კი მრავალრიცხოვან ტალღაში იმ ქარხნის პროლეტარებისა, რომელიც ილიჩის პატივსაცემად ახლა მის სახლს ატარებს, ერია ერთი მუჟა უბადრუკი ავაზაკები და აკი მზაკვრული ბოროტებაც დატრიალდა.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ლენინს მუშების აღტაცებული ყრამული მიაცილებდა. იგი მიჰქანისაყენ გაემართა და... დავა თეთრგვარდიელი ესერი ტერორისტი ქალის კაპლანის მოწამლული ტყვიით.

გემუშაობდი ჩემთვის კომენდატურაში, რომ უცებ ტელეფონმა განგამი ატეხა. მიღში გაისმა ყრუ, მიღეული ხმა ბონჩ-ბრუევიჩისა:

— სასწრაფოდ ბაღიშები, დაუყოვნებლივ. ზუთი-ექვსი ჩვეულებრივი ბაღიში... ილიჩი მძიმედ დაჭრილია...

ილიჩი დაჭრილიაო?... არა! ეს არ შეიძლება, ეს შეუძლებელია!

— ვლადიმერ დიმიტრის ძე, რას გაჩუმიდით? მითხარით, კრილობა სასიკვდილოა? ვლადიმერ დიმიტრის ძე?

თითქოს ჩამოხეწა. ტელეფონიც დაჩუმიდა. ბონჩ-ბრუევიჩმა დააგდო ყურმილი.

სკამი გვერდზე ისე მივაგდე, შემოსულ მორიგეს უცებ კინაღამ ფეხი მოეტეხე, გამოვვარდი კომენდატურიდან და

დიდი სასახლისაკენ გავფრინდი. იმ, ნათლოზ მეორის გარდერობში, სადღესასწაულო ბაღიშები ეწყო.

სასახლეში ისე შევევარი, ხედავო მაცია მსახურთა კითხვებისათვის. ვახით შევლუწე გარდერობის დაკეტილი კარები, ხელი დავავლე რამდენიმე ბალიშს და ილიჩის ბინისაკენ გავექანე.

დერეფანში, ილიჩის ბინასთან, თავი მოეყარა სახეომსაბჭოს შემოფოთებულ თანამშრომლებს, სახეომებს.

ორივე ხელით თავი დაეკირა, თანჯარას მიყრდნობოდა და ასე თავზარდაცემული იდგა ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკი.

მუდამ მყუდროდ მიხურული კარები, ახლა ფართოდ დაედოთ.

სახეგაქვავებულ გუშაგს კარებისაკენ გამოსასვლელი გადაედოდა და შაშხანა წინ დაეხარა. რომ დამინახა, ჯარისკაცი გვერდზე მიდგა. კარებში მდგომ ბონჩ-ბრუევიჩის ბაღიშები სწრაფად გადაევიცო.

მძიმე, გრძელი წუთები ჩამოედგა. ვიდექი მთლად მოშლილი, განძრევაც აღარ შემეძლო. ირგვლივ ადამიანები დარბოდნენ, მე კი გაშტერებული ვიდექი და ვიდექი...

აი, მოირბინა ვერა მიხეილის ასულმა ბონჩ-ბრუევიჩმა, ვლადიმერ დიმიტრის ძის მეუღლემ, საუკეთესო ბოლშევიკმა ქალმა და გამოცდილმა ექიმმა.

აი, შემოიჭრა იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვი, უჩვეულოდ მრისხანე და დაღვრემილი სახით, არც არავისთვის შეუხედავს, არც ვინმეს მისალმებია.

დერეფნის ბოლოს ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გამოჩნდა. ამ წუთში თითქოს მოხუცებულიყო. იგი რომელიღაც სხდომაზე იყო და კრემლში შემოსვლამდე არაფერი არ იცოდა. მწუხარე მდუმარებით ყველამ გზა დაუთმო და სუნთქვა შეკრული ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, რომელსაც ფეხები აღარ ემორჩილებოდა, კარებში ჩაინთქა.

ბოლოს გამოჩნდა პროფესორი მინცვი. სხვა რამდენიმე გამოჩენილი სპეციალის-

ტი... დაღამდა, საფრთხე მოახლოვდა. საჭირო იყო ყველაფრის დაზუსტება, დაწერილებით კი ჯერ არავინ არ იცოდა. რამდენად საშიშია ჭრილობები? გადარჩება ილიჩი თუ არა?

მე დავბრუნდი კომენდატურაში, მაგრამ მუშაობა არ შემძლო. ყველაფერი ხელიდან მივარდებოდა. ტვინში გამჭადაჩი იყო მხოლოდ ერთი კითხვა: ნეტა, როგორაა ახლა ილიჩი?

ლამემ უძილოდ გაიარა. აბა, იმ ღამეს კრემლში ძილზე ვინ იფიქრებდა! ილიჩის ბინაზე რამდენჯერმე მივედი. კარებთან გუშაგი ისევ გაქვავებული იდგა. ღრმა, სულისშემბუთავი სიწყნარე მეღობდა. იქ, შუა ოთახში კი მიმდინარეობდა სიკვდილთან შეუთოვარი ბრძოლა ილიჩის სიცოცხლისათვის. იქ იყვნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მარიამ ილიას ასული, პროფესორები და მედიცინის დები.

როგორ მინდოდა იმ წუთებში მასთან ვყოფილიყავი, რითიმე დაეხმარებოდი, რითიმე შემემსუბუქებინა ილიჩის ტანჯვა! მე მგონია, რომ შემძლებოდა თუნდაც პატარა სარგებლობა მომეტანა, თუნდაც უმნიშვნელოდ შემემსუბუქებინა მისი ტანჯვა, მთელ ჩემს სიცოცხლეს, სისხლის უკანასკნელ წვეთს, უკანასკნელ ამოსუნთქვას გავიღებდი. და განა მარტო მე?

ილიჩზე თავდასხმის დღესვე, 1918 წლის 30 აგვისტოს ი. მ. სვერდლოვის ზელმოწერით გამოქვეყნდა ცნობილი მოწოდება: „ყველას, ყველას, ყველას“, რომელიც დაუნდობელ ტერორს უცხადებდა რევოლუციის მტრებს.

ერთი თუ ორი დღის შემდეგ გამოიძახა ვარლამ ალექსანდრეს ძე ავანესოვმა.

— დაუყოვნებლივ წადით საგანგებო კომისიაში და წამოიყვანეთ კაპლანის ქალი. იყოლიეთ იგი აქ, კრემლში და მიუჩინეთ საიმედო დაცვა.

და ასე, ბედმა მარგუნა პირისპირ შეეხედროდი იმ უხსენებელს.

მანქანა გამოვიძახე და ლუბიანკაზე

წავედი. წამოვიყვანი კაპლანი, რომელიც სადაც მოვთავსე ნახევრად სარდაველ ოთახში, დიდი სასახლის ქვეშ. მალევე მალაღალი ოთახი იყო. მესერაში მისი ფანჯრები იატაკიდან სამი-ოთხი მეტრი სიმაღლეზე იყო. კარ-ფანჯრებთან გუშაგები დავაყენე და განკარგულება გავეცი დამნაშავესათვის თვალი არ მოეშორებინათ.

თუმცა ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ მეზრძოლები კაპლანს ვერ უღარაჯებდნენ. პირიქით, ერთი რამ იყო საშიში: როგორმე თავი დაეკირათ და მისთვის კარაბინის ტყვიით შუბლი არ გაეხვრათ.

ამიტომ გუშაგებად პირადად შევარჩიე კომუნისტები და თვითნებური საგანგებოდ გავაფრთხილე.

გავიდა კიდევ ერთი-ორი დღე, ხელახლა გამოიძახა ავანესოვმა და ჩემს დადგენილებას წარმომიდგინა.

კაპლანი დაიხვრიტოს. განაჩენი სისრულეში მოიყვანოს კრემლის კომენდანტმა მალკოვმა.

— როდის? — მოკლედ ვკითხე ავანესოს.

ვარლამ ალექსანდრეს ძეს, მუდამ კეთილს, გულთბილსა და გულისხმიერ ადამიანს, სახეზე ერთი კუნთიც არ შეტოკებია.

— დღესვე, დაუყოვნებლივ.

ბევრი ნაზღაბრები დადის, თითქოს კაპლანი გადარჩა, თითქოს ლენინმა უკანასკნელ მომენტში შეაცვლევინა განაჩენი.

არიან ისეთებიც, რომელთაც კაპლანი „უჩანავთ“ — ზოგს ბუტირკაში, ზოგს სოლოვკაში. ზოგს ვორკუტაში და ვინ იცის, კიდევ სად.

ეს ზღაპარი შეთხზეს იმ ობივატელებმა, რომელთა მიზანია დახატონ ლენინი ისეთ გულუბრყვილოდ, კეთილ კაცად, რომელსაც შეეძლო მტრისათვის ბოროტება ეპატიებინა. არა! არავის უცდია შეერბილებინა მრისხანე განჩინება, არავის უცდია დაცვა კაპლანი სამართლიანი მსჯავრისაგან.

სასიკვდილო განაჩენი კაპლანისთვის არავის არ შეუცვლია, 1918 წლის 3 სექტემბერს, 4 საათზე აღსრულდა და იგი სისრულეში მოვიყვანე მე, კომუნისტმა ბალტიის ფლოტის მეზღვაურმა, კრემლის კომენდანტმა პავლე დიმიტრის ქე მალკოვმა, — საკუთარი ხელით. და ისტორია რომ განმეორდეს, განმეორდეს იგი ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ, და ჩემი რევოლუერის წინ ისევ იდგეს არსება, რომელმაც ილიჩზე ხელი აღმართა, ჩახმახის გამოსაშლელად ჩემი ხელი არ აცხატებდა, ისევე, როგორც არ აცხატებულა იგი მაშინ...

მეორე დღეს, 1918 წლის 4 სექტემბერს, გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა მოკლე ცნობა:

„გუშინ, ჩეკას დადგენილებით, დაიხვრიტა მემარჯვენე ესერი ქალი ფანი როიდი (იგივე კაპლანი), რომელმაც ამხანაგ ლენინს ესროლა.“

ათეული და ასეული ათასობით მუშე-ბი, მილიონობით გლეხები ყოველდღე მოუთმენლად ელოდებოდნენ გაზეთებს. ჩუჩხულით კითხულობდნენ ყოველდღიური სამედიცინო ბიულეტენების ძუნწ სტრიქონებს ვლადიმერ ილიას ქე ლენინის ჯანმრთელობაზე. ამ ბიულეტენებს კითხულობდნენ დაქექვამდე, კითხულობდნენ ხმაშალდა ქარხნებსა და ფაბრიკებში, საამქროებსა და სახელოსნოებში, პირდაპირ ქუჩებში და სადგურებში, მინდვრებსა და ქოხებში.

უზარმაზარი ქვეყანა ცხოვრობდა ერთი აზრით, მილიონობით გული ფეთქდა ერთი მისწრაფებით: ილიჩ! მშობლიურო! მალე მომჯობინდი! გამოჯანმრთელდი!

და თანდათანობით ბიულეტენები სასიხარულო, სასიამოვნო ხდებოდა. საქმე სწორდებოდა. ილიჩი მიმივ პრილობის შედეგებს თავს აღწევდა.

ტროიცკის კიშკართან დილიდანვე იდგა რიგები. ათობით, ასობით აღმამანი მიისწრაფოდა შესულიყო კრემლში, მისალმებოდა ილიჩს, გადაეცა მისთვის პატარა ბარათები. ათობით და ასობით მი-

ჰქონდათ თაიგულები და თუთუქი ცდილობდა პირადად გადაეცა.

გუშაგები ტროიცკის კიშკართან ქანცნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ, მხრე-ხლიჩათ, დილიდან საღამომდე ათასები-სათვის იმის ახსნა-განმარტებით, რომ ილიჩი ჯერ კიდევ მთლად გამოჯანმრთელებული არაა, რომ ექიმები მასთან არავის არ უშვებენ, რომ მისი ნახვა ახლა ყოვლად შეუძლებელია...

ყველა რომ შეგვეშვა, ვისაც ილიჩის ნახვა უნდოდა, ეს ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო, მაგრამ თაიგულები რომ არ მიგვედო, ეს უკვე შეუძლებელი იყო.

გავეცი განკარგულება მიეღოთ თაიგულები და ზედვე აღენიშნათ მომტანის ვინაობა, შემდეგ კი თაიგულებს ილიჩთან ვგზავნიდით.

გავიდა სექტემბრის პირველი კვირა-და, როგორც იქნა, ნება დამრთეს მიმეტანა ილიჩის ბინაზე ჩემი თაიგული. და როცა სასადილო ოთახში შევედი, იგი მთლიანად, თავიდან ბოლომდე ავსებული იყო. ყვავილები ეწყო ყველაფერზე — მაგიდეზე, სკამებზე, ფანჯრის რაფებზე, იატაკზე, ყველგან.

კიდევ რამდენიმე დღე და ილიჩი ლოგინიდან წამოდგა.

16 სექტემბერს, ავადმყოფობის შემდეგ პირველად, იგი ესწრებოდა სხდომას რკ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში და იმავე საღამოს თავმჯდომარეობდა სხდომას სასკომსაბჭოში.

ლენინი სამუშაოს დაუბრუნდა!..

იმ დღეებში გაზეთები წერდნენ:

„ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამხ. ლენინის ჯანმრთელობა ისე გაუმჯობესდა რომ გუშინ, 16 სექტემბერს, ვლადიმერ ილიას ქე ესწრებოდა რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგ სხდომას.“

ცენტრალური კომიტეტის წევრები, რომლებისთვისაც ილიჩის გამოჩენა მოულოდნელი სასიამოვნო სიურპრიზი იყო, მხურვალედ მიესალმნენ თავიანთ ბელადსა და მასწავლებელს, რომელიც იმულებითი შესვენების შემდეგ საყვარელ სამუშაოს დაუბრუნდა“.

მაგრამ ილიჩი აჩქარდა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი უარესად გახდა. აუცილებელი იყო საფუძვლიანი დასვენება. იმ დღეებში გამოძიება სვერდლოვმა. მასთან დამხვდა მოსკოვის საგუბერნო აღმასკომის თავმჯდომარეც, და იაკობ მიხეილის ძემ ჩვენ ორს მოგვანდო — მოგვეძებნა ქალაქგარეთ შესაფერისი სახლი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ილიჩის დროებითი მოთავსება, რომ საფუძვლიანად დაესვენა და მომაგრებულიყო.

— მიიღეთ მხედველობაში, — მოგვანდა იაკობ მიხეილის ძემ, — ეს დავალება არავე არ უნდა გაიგოს, არავის არაფერი არ უთხრათ. მხოლოდ თქვენ ორმა იმოქმედეთ და მომასვენეთ.

ჩვენ ადვილი ამოცანის წინაშე როდი ვიდექით. მართალია, მოსკოვის ახლოს 1918 წლის შემოდგომაზე ცოტა არ იყო განცალკევებული, უპატრონოდ მიტოვებული სახლები. მდიდრულად მოწყობილი აგარაკები, ვრცელი სასახლეები, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ილიჩი არც ერთ სასახლეში არ შევიდოდა. ამიტომ უნდა გამოგვეძებნა მოხერხებული, კარგად შენახული, განცალკევებული, მაგრამ არც ძალიან მდიდრული ბინა.

სააგარაკო ადგილები და განცალკევებული სახლები რომ შემოვიყარეთ, ჩვენი არჩევანი მოსკოვის ყოფილი ქალაქისთვის რაიონბოტის მამულზე შეჩერდა, გორაკაში. სახლი იქ სრულ წესრიგზე იყო, თუმცა დაულაგებელი. შედეგი მოეხსენეთ იაკობ მიხეილის ძეს. მან ჩვენი არჩევანი მოიწონა და დაგვავალა ყველაფერი წესრიგზე მოგვეყვანა, ბინა იმგვარად მოგვეზადებინა, რომ ილიჩის გადმოსვლა შესაძლებელი ყოფილიყო. სვერდლოვმა ხელახლა გაგვაფრთხილა, რომ ყველაფერი პირადად ჩვენ ორს გაგვეკეთებინა და საიდუმლო მკაცრად შეგვენახა, რომ სხვა ვინმეს ილიჩის მომავალი ადგილსამყოფელი არ გავგო.

ჩვენ შევუძღვეთ მუშაობას. დაყავით გორაკაში რამდენიმე დღე. გამოვზიდეთ სახლიდან ყოველგვარი ნაგავი, ჩამოვ-

რეცეთ და გავწმინდეთ კედლები, იატაკი, ფანჯრები, დავალაგეთ ავეჯი, როცა ყველაფერი მოვაშადეთ, ~~მეცხრამეტე~~ მოსკოვში. მე გორაკაში გავგზავნე თეთრეული და ჭურჭლეული, აგრეთვე ერთი კასრი სათობიც, რადგან უკვე აცივდა.

ქერეინსკიმ გორაკს დასაცავად ათი ჩეკისტის გამომიყო და ჩამაბარა. ისინი წაეყვანე და მოვითავსე ფლიგელში, სადაც უწინ მმართველი ცხოვრობდა. მეორე დღეს გორაკში გადავიყვანე ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული. ეს იყო 1918 წლის 24-25 სექტემბერს.

როგორც კი მივიყვანე ვლადიმერ ილიას ძე გორაკაში, მან ჯერ სახლ-კარი დაათვალიერა. ერთ-ერთ ოთახში ყურადღება მიაქცია დაკეტილ კარებს.

— იქ რაღა? — იკითხა მან.

მე ავუხსენი, რომ ეს კარები ვერანაშენი გაღია.

— რატომღა დაკეტილი, გასაღები არ არის? — ისევ დაინტერესდა ის.

— გასაღები არის, ვლადიმერ ილიას ძემ. — უთხარი მე, — ოღონდ კარები არ იღება, ღურგალს მოვიყვან.

— აბა, ერთი მოვსინჯოთ. — თქვა ილიჩმა, — მაღალე, მე მოვსინჯავ.

ილიჩი მივიდა, დაათვალიერა, ერთ ანჯამას მუხლი მიაბჯინა, მეორე გამოსწია და კარები ცალი ხელით გააღო... მეორე ხელი ჯერ კიდევ შეხვეული ჰქონდა.

— აი, ხომ ხედავ, — გაუხარდა მას, — ღურგალის შეწუხება აღარ მოგვიხდება.

მთელ სამ კვირას, რაც ილიჩმა გორაკაში დაჰყო, მე ყოველდღე, დღეში ხან ორჯერ, ხან სამჯერაც მასთან მივდიოდი. დაცვას პირადად ვამოწმებდი, მიმქონდა ილიჩთან ფოსტა, გაზეთები.

ერთხელ, ვჭაქრობდი და გაზეთების წამოღება დამავიწყდა. ილიჩი სასტიკად გაბრაზდა:

— გაზეთები დაგავიწყდა? მერე, იცო, რას ნიშნავს უგაზეთოდ ჩემი დატოვება! მეორეჯერ ეს არ დაგემართოს!

ყოველთვის, როცა გორაკაში წასვლას

დავაპირებდი, იაკობ მიხეილის ძესთან შევიარდი, რომ გამეგო, მაბარებდა რაიმეს თუ არა. იაკობ მიხეილის ძეც მატანდა რამეებს. მაბარებდა ზეპირად ან მატანდა პატარა ბარათებს. ხანდახან მიმქონდა დოკუმენტები, მასალები.

დროგამოშვებით სვერდლოვიც დადოდა გორკაში. ერთხელ იგი მე წავიყვანე, ჩვეულებრივად კი უჩემოდ დადიოდა. ღარჩებოდა საათს ან საათნახევარს, მეტს არა, რომ ილიჩის მყუდროება არ დაერღვია.

ერთხელ ილიჩთან წავიყვანე სტალინი, რომელიც მაშინ რომელიღაც ფრონტიდან, მგონი ცარიცინიდან, დაბრუნდა. სხვა არავინ. უჩემოდ იყვნენ ძეგრინსკი, ბონჩ-ბრუევიჩი. იყო კიდევ ვინმე თუ არა, არ ვიცი, მაგრამ თუ იყო, ძალიან ცოტა. იშვიათად და მცირე ხნით. ბევრი მეკითხებოდა, სადაა ილიჩი? საით წავიდა? მე არაფერს ვამბობდი, გაჩუმებული ვიყავი.

ილიჩის გორკაში გადასვლის შემდეგ, კრემლში მისი ბინის რემონტი და კეთილმოწყობა დავიწყეთ. ოქტომბრის შუა რიცხვებში ვლადიმერ ილიას ძე თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა და ხშირად აინტერესებდა — როგორ მიდის რემონტი, შეიძლება თუ არა მოსკოვში ადრე დაბრუნება.

როცა იაკობ მიხეილის ძეს ვუთხარი, მან გაიცინა და მითხრა:

— გააჰიანურე, გააჰიანურე რემონტი. დაე ღიბხანს დარჩეს ვლადიმერ ილიას ძე ჰაერზე, დაე დაისვენოს.

მაგრამ ადვილი როდი იყო ილიჩის დაკავება ქალაქგარეთ.

ლენინს გული მოსკოვისაკენ, სამუშაოსკენ მოუწევდა.

გორკაში გადასვლიდან სამი კვირის შემდეგ, იქ ჩემი მორიგი ჩასვლისას, ვლადიმერ ილიას ძე რაღაც განსაკუთრებული მოსიყვარულებით შემხვდა.

მაშინვე გავიფიქრე, ეს კარგს არ მოაწვავებდა.

— აბა, ამხანაგო მაღკოვ, მითხარი,

როგორაა საქმე, ჩემი ბინის რემონტი მალე დამთავრდება თუ არა?

— იცით რა, ვლადიმერ ილიჩო, საქმე ძნელად მიდის. ხან მასვე, ხან ხან ერთი, ხან მეორე... თვითონ იცით...

— ჰა, ჰა! — იქედნურად ჩაიცინა ილიჩმა, — ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ მასალა არაა, ერთი და მეორე, არა?

და უცებ გაბრაზდა:

— დიპლომატი ხართ თქვენ, ამხანაგო მაღკოვ, საშინელი! კრემლში რემონტი უკვე ორი დღეა დამთავრებულია, მე ეს გამოვარკვეი. (როგორც ჩანს, ბონჩ-ბრუევიჩმა უთხრა. ის ჩემზე ადრე ჩამოვიდა.) ხვალვე მოსკოვში ებრუნდები და სამუშაოდ ვავდივარ. ღიბხ, ღიბხ, ხვალვე, სხვათა შორის, ასე გადაეცით იაკობ მიხეილის ძეს! — სწრაფად შემომაქცია ზურგი და თავის ოთახში შევიდა.

მეორე დღეს იგი მოსკოვს დაბრუნდა.

* * *

ახლა, როცა ვლადიმერ ილიას ძე მთლიანად დაუბრუნდა სამუშაოს, როცა ხელახლა უხდება კრემლიდან გასვლა და მიტინგებზე და კრებებზე სიტყვებით გამოსვლა, როცა ხელახლა დაიწყო სიარული მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში და სამხედრო ნაწილებში, მისი დაცვის საკითხი მთელი სერიოზულობით დაისვა. ილიჩს წინადადება მისცეს არ გასულყოფილი კრემლიდან დაცვის გარეშე, ხოლო დაცვის ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა მე დამეკისრა.

ეს საქმე კი არაჩვეულებრივად ძნელი აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ თვითონ ვლადიმერ ილიას ძე დაცვის ორგანიზაციას აუცილებლად არ მიიჩნევდა.

ამიტომ არა ერთხელ მომხდარა, რომ ვლადიმერ ილიას ძე გასულა კრემლიდან მარტო შოფერთან ერთად, სხვა გამცილებლის გარეშე. ეს ბევრჯერ შევჩივლე როგორც ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციის წევრებს, ასევე ფელიქს ედმუნდის ძეს, მაგრამ ვლადიმერ ილიას ძე მაინც არ იშლიდა თავისას.

მაშინ, ეს იყო 1919 წლის გაზაფხულზე, ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროში ოფიციალური მოხსენებითი ბარათი შევიტანე და ამ საკითხის განხილვა მოვითხოვე. ბარათი გადაეცემა ელენე დიმიტრის ასულ სტასოვას.

მე კარგი, დამავალდებულებს, მაგრამ რა ვუყო, ვლადიმერ ილიას ძე მე როგორ დავავალდებულო?

არაფერიც არ გამოვიდა. ყოველ ღონეს ეხმარობ, რომ ილიჩი კრემლიდან დაცვის გარეშე არ გავუშვა. ის კი მაინც დადის და თუ ვუთხარი რამე, აქეთ მე-დავება: თქვენ სხვა საქმე არა გაქვთ?

გორკიდან დაბრუნების შემდეგ ვლადიმერ ილიას ძეს იგივე ჩეკისტები იცავდნენ, რომლებიც გორკაში იყვნენ მასთან.

დაცვა უფრო საიმედო რომ გამეხდა, მოვაწყე სპეციალური სიგნალიზაცია. ლენინის ბინის საფუძვლიდან გავიყვანეთ ზარი საერთო საცხოვრებელში, სადაც დაცვის თანამშრომლები ცხოვრობდნენ. ისინი რიგრიგობით მორიგეობდნენ, მაგრამ რამდენიმე მათგანი მუდმივ მზაყოფნაში იყო. როგორც კი დააპირებდა ილიჩი სახკომსაბჭოდან გამოსვლას, გუშავი დაჰქერდა თითს ღილაკს და დაცვის მორიგეები ხელად გაჩნდებოდნენ სახკომსაბჭოს შენობის სადარბაზო შესასვლელთან, საიდანაც უთვალთვალდნენ — საით წაივლიდა ილიჩი. მათ განკარგულებაში იყო ავტომანქანაც.

თუ ილიჩი ქალაქგარეთ მიემგზავრებოდა, მე უნდა გავყოლოდი. ამ მიზნით, იაკობ მიხელის ძის განკარგულებით, სწრაფმავალი მანქანაც გამომიყვეს. მაგრამ ამ მანქანით იშვიათად ვსარგებლობდი, რადგან თუკი ლენინს მივაცილებდი, ის არასოდეს ნებას არ დამართვდა. მეორე მანქანით გავყოლოდი და ყოველთვის მაიძულებდა მის მანქანაში ჩავმჯდარიყავი.

კვირაობით ვლადიმერ ილიას ძე ხშირად დადიოდა ქალაქგარეთ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან და მარია ილიას ასულთან ერთად. ქალაქგარეთ გასეირნე-

ბა მას ძალიან უყვარდა. განსაკუთრებით ხარობდა, ბარეხის რაიონში მოვასის გზატკეცილით რომ მიდიოდა. აქ იგი ხანდახან კიდევ მიატოვებდა ვის თანამგზავრებს და მარტოდ სეირნობდა.

ძალიან უყვარდა ლენინს ნადირობა. მას მიაჩნდა, რომ ვერსად ისე კარგად ვერ დაისვენებ, როგორც ტყეში, თოფით ხელში რომ დაეხეტები. გასეირნება — აი, რა იყო მისთვის მთავარი ნადირობი-სას. ის არ ცდილობდა, როგორმე მოეკლა ფრინველი. ნადირობიდან ხშირად ხელცარიელი ბრუნდებოდა. მაგრამ მზიარული და კმაყოფილი იყო.

— ჰაერი, შესანიშნავი ჰაერი! — ამბობდა ის. — ტყეში ორ საათს ივლი და იშდენს ჩაისუნთქავ, მთელ კვირას გეყოფა!

ვლადიმერ ილიას ძე მოგვითხრობდა, რომ ნადირობისადმი სიყვარული ჯერ კიდევ გადასახლებაში, შუშენსკოეში ჩაენერგა. იგონებდა სხვადასხვა თავგადასავლებს, რაც ციმბირში შემთხვევით, მხიარულად იცნოდა თავის წარუმატებლობაზე და გულბოლიად იხსენიებდა შუშენსკოეს მცხოვრებლებს — შესანიშნავ მონადირეებს.

— ისეთი მსროლელები არიან, ციყვის თვალში ტყვიას აჯენენ. — ამბობდა ილიჩი, — მერე, როგორ იციან მხეცის ასავალ-დასავალი!

როცა მოსკოვის გარეუბანში ნადირობის სეზონი იწყებოდა, ვლადიმერ ილიას ძე ცდილობდა გამოენახა ერთი-ორი საათი და თოფით ქალაქგარეთ წასულიყო.

ერთხელ, ადრე გაზაფხულზე, ვლადიმერ ილიას ძემ წაიყვანა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ობუხი. რომელიც მაშინ მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე იყო. და წავიდა არხანგელსკის რაიონში ტყის ქათამზე სანადიროდ.

შესანიშნავი ამინდი იდგა — ნათელი, მზიანი. მაგრამ საღამოს ბინდამდე ჯერ კიდევ ადრე იყო და ტყეში დიღხანს ვისეირნეთ.

ვლადიმერ ილიას ძე კარგი მოსიარულე იყო, მას შეეძლო ათი-თორმეტი კილომეტრი ისე გაეგლო, არ დაღლილიყო.

— ჩვენ სანადიროდ წამოვედით თუ სახეტილოდ? — აბუზღუნდა ბოლოს დაღლილი ობუხი. ობუხი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და როცა ხელი მოეცარებოდა, გიჟდებოდა.

ვლადიმერ ილიას ძე კი, თუ რაიმეს ვერ მოკლავდა, დიდად არც წუხდა.

— შესანიშნავია, შესანიშნავი! — აბუზღუნდა ტყით მოხიზლული ილია, — ასე, თუ გინდა, მთელ დღეს ვივლი!

მაგრამ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ღელავდა უკვე.

— დავდივართ, დავდივართ, თითქოს ფეხის ქინი გვაქვს, ასე ერთი გასროლაც არ მოგვიწევს.

— ეხედავ, მაინცადამაინც ხეირიანი მოსიარულე ვერა ხარ, — ღიმილით ეუბნებოდა ვლადიმერ ილიას ძე, — ერთი ვნახოთ, როგორი მსროლელი გამოდგები. ამხანაგო მალკოვ, ძველი გაზეთი ხომ არ წამოგიღიათ?

— მაქვს, ვლადიმერ ილიას ძევ, — ეუთხებოდა და ჯიბიდან გაზეთი ამოვიღე, — ასეთი გამოგადგებათ?

— გამოდგება, — თქვა მან, — აბა, ერთი, ზეზე მიამაგრეთ, გეთაყვა.

ამ დროს ჩვენ ფიჭვნარის პირზე გამოვედით.

ზეზე გაზეთის ფურცელი მივამაგრე.

ვლადიმერ ილიას ძემ ორმოცდაათი ნაბიჯი გადაზომა და ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს მხიარული სიცილით მიუბრუნდა.

— აბა, ძვირფასო მეგობარო ობუხ, გვიჩვენეთ თქვენი შესაძლებლობანი. ვინ იცის, იქნებ არც ღირდა სანადიროდ თქვენი წამოყვანა!

ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ დაიწია უკან და თოფი მოიმარჯვა.

— კარგა ხანია ასე არ მითამაშია, — იხუმრა მან და საგულდაგულო დამიხნების შემდეგ ისროლა.

ჩვენ სწრაფად გავემართეთ სამიზნესაყენ. ილიამა ყველას მიგვასწრო.

— არა უშავს, არა უშავს, — თქვა მან, — ცუდი მსროლელი როდი ყოფილა!

— მდაა, — უკმაყოფილოდ უკმაყოფილოდ ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ, გაზეთზე მოხვედრილი საფანტის კვალი რომ ნახა, — დღეს რაღაც ვერა ვარ იშტაზე.

ახლა ილიის რიგი მოვიდა. მან სწრაფად გამართა თოფი და ხელად ესროლა. მთელი ჯერი ზუსტად და მიჯრით მოხვედროდა გაზეთის ფურცელს. ობუხმა ხელი ჩაიჭინა:

— ჩინებულება, ვლადიმერ ილიას ძევ, შესანიშნავი მსროლელი ყოფილხართ. თქვენთან გაჯიბრება ხელს არ მომიცემს.

1919 წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც ელენე დიმიტრის ასულმა ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს გადაწყვეტილება შემატყობინა, ვლადიმერ ილიას ძე რამდენიმე კვირა დღეს ზედიზედ წავიდა ქალაქგარეთ დაცვის გარეშე, ისარგებლა რა იმით, რომ მორიგე თანამშრომლებმა ღროზე გამოსვლა ვერ მოასწრეს. მაშინ იძულებული გაუხდი უკიდურესი ზომისათვის მიმემართა, — განკარგულება გავეცი ლენინი მაცხოვრის პიშკარში არ გაეშვათ, თუ იგი დაცვის გარეშე იქნებოდა.

გავეცი განკარგულება, ვზივარ კომენდატურაში და ველოდები რა მოხდება.

ასე, დილის ათი საათი იქნება, გავხედე — კომენდატურას ილიის მანქანა მოადგა. მანქანაში არიან თვითონ ის, ნაღჟდა კონსტანტინეს ასული და მარია ილიას ასული.

როგორც კი დავინახე მანქანა, გარეთ გამოვევარდი.

ვლადიმერ ილიას ძემ მანქანის კარი გაღო და ძირს გადმოვიდა. ისეთი სახე აქვს, ვერ შეატყობ გაბრაზებულის თუ მოულოდნელობისაგან გაკვირვებულის. ყოველ შემთხვევაში მკაცრად მომმართა:

— კეთილი ინებეთ, ამხანაგო მალკოვ, და ამიხსენით რაშია საქმე, გუშაგი კრემლიდან არ მიშვებს. რა ოინებია ეს?

— არა, — ეუბნები, — ვლადიმერ ილიას ძევ, ეს ოინები კი არა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს

გადაწყვეტილება — არ გაგეშვან კრემლიდან დაცვის გარეშე. ახლა მე გამოგყვებით და ხელად გაგეშვებენ.

— ჰმ, ჰმ! გადაწყვეტილება? რაღაც არ მახსოვს ასეთი გადაწყვეტილება. შეიძლება იმიტომ, რომ მე ორგბიუროს წევრი არა ვარ? როგორ, გადაწყვეტილებაში ესაა ნათქვამი, რომ კრემლის ჭიშკარში სახკომსაბჭოს თავმჯდომარე დააკავონ? ეს გადაწყვეტილება კი არა, თვითნებობაა!

— ნება მომეცით...

— დიახ, დიახ... სწორედ რომ თვითნებობაა. და თქვენ ამისათვის მკაცრად დაისჯებით დაუყოვნებლივ, აქვე, ადგილზე. კეთილი ინებეთ დაბრძანდეთ ჩემს მანქანაში და ახლავე გაატყემთ თქვენი უაზრო განკარგულება. შემდეგ კი დარჩებით ჩემთან მანქანაში, როგორც პატიმარი. რაც შეეხება ორგბიუროს გადაწყვეტილებას... გადაწყვეტილების შესახებ იქ მოვილაპარაკებთ.

ტონი გაბრაზებული, მრისხანე აქვს, თვალები კი — ილიჩისებურად ეშმაკურად იცინის.

— არა, თქვენ რატომ უნდა შეგაწყუხოთ? მე მზადა მყავს მანქანა, — მივუთითე მახლობლად მდგომ ავტომობილზე. — თქვენ წაბრძანდით, მე გამოგყვებით.

ვლადიმერ ილიას ძემ გააღო თავისი მანქანის კარი.

— კეთილი ინებეთ და დაბრძანდით. ვარბენინოთ მეორე მანქანა, უსარგებლოდ ვწვით სახელმწიფო ბენზინი, ტყუილ-უბრალოდ ვამუშაოთ შოფერი — ეს ხომ სისულელეა. არა, სისულელე კი არა, დანაშაულია.. დიახ, დიახ, რას მიყურებთ? ხალხის ფულის ფლანგვა დანაშაულია. ჩვენ ყველას ერთი მანქანა გვეყოფა. ამას გარდა არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ პატიმარი ხართ, წავიდეთ!

რა არ ვიღონეთ, მაგრამ ვერაფერი ვერ გაეაწყეთ. ვლადიმერ ილიას ძე მაინც ახერხებდა კრემლიდან უდამცველოდ გასვლას. თუმცა ერთხელ დაცვამაც ვერ გვიშველა და ერთ-ერთი გამგზავრება

კინალამ ტრაგიკული აღმოჩნდა. ეს მოხდა 1919 წლის იანვარში.

იმ წელს მრისხანე ქარბუქიანი ქაქუჩა-რი იდგა. მოსკოვს თოვლის ყველაზე მაღარ წმენდნენ და ქუჩები ნამქერებმა ამოავსეს. წმენდნენ მხოლოდ ტრამვაის გზებს და თოვლს გვერდზე ჰყრიდნენ. ამის გამო გზების გასწვრივ თოვლის მთები წარმოიშვა, ხოლო თვითონ გზები ვიწრო ტრანშეებს დაემსგავსა. ამ ტრანშეებში კი, ვაგონების მიერ დატყვნილ თოვლში, ლიანდაგი ისე ღრმად იყო ჩამჭდარი, საკმარისი იყო ტრამვაის წაყვალეში ჩავარდნილყავი, რომ იქიდან დიდხანს ვერ ამოხვიდოდო.

1918 წლის ბოლოს ნადეჟდა კონსტანტინეს ასული სერიოზულად გახდა ავად. მისთვის აუცილებელი იყო ხანგრძლივი დასვენება, სრული სიმყუდროვე და სუფთა ჰაერი. რადგან მაშინ მოსკოვის ქალაქგარეთ სანატორიუმები არ იყო, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული შესახლდა ბავშვთა სატყეო სკოლაში, სოკოლნიკში. მაშინ სოკოლნიკი თითქმის საუბრორტო ადგილად ითვლებოდა. ყოველ შემთხვევაში, იქ სუფთა, ტყის ჰაერი იყო, განსაკუთრებით ზამთარში.

ვლადიმერ ილიას ძე თითქმის ყოველდღე აკითხავდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, მასთან მიჰქონდა პროდუქტები, და სკოლის ბავშვებისათვის საჩუქრები. იგი ხშირად მარია ილიას ასულთან ერთად მიდიოდა და დამცველებიც თან მიჰყვებოდათ.

როგორღაც, იანვრის ერთ საღამოს ილიჩის მისაღებში შევიარე და რას ვხედავ — კაბინეტის კარები დაღებულია, ილიჩი კი არ არის. ყველა დაბნეულია. სახკომსაბჭოს სამდივნოს თანამშრომლები ხან ერთ ტელეფონს მივარდებიან, ხან მეორეს, ყვირიან, განგაშს ტეხენ. თურმე, ვლადიმერ ილიას ძე და მარია ილიას ასული სოკოლნიკში, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან წასულან და გზაზე თავს ბანდიტები დასხმიათ. მგზავრები გადმოუსხამთ მანქანიდან და მანქანა გაუტაცინათ. ესენი ჯერ ფეხით მისულან სოკოლნიკის რაისაბჭოში, რომ

მელიც საბედნიეროდ, იქვე ასლოს ყოფილა, იქ დიდი წვალეებით უმოვნით მანქანა და წასულან სოკოლნიკში, სადაც მათ უკვე აღელვებული ნადედა კონსტანტინეს ასული ელოდა.

მე კარგად ვიცოდი ამ სკოლის მისამართი სოკოლნიკში და ბევრი აღარ მიფიქრია, სასწრაფოდ გამოვიძახე მანქანა და გავეშურე. სკოლაში რომ მივედი, უპირველეს ყოვლისა, მიუვარდი დაცვის თანამშრომელს, რომელიც ყურებჩამოყრილი იჯდა შესასვლელში.

— ოჰ, შე შლიაპა! — ვუთხნენ.

— იცი რა, პავლე დიმიტრის ძე, რძე! რძე რომ არა...

— რა რძე... რის რძე?

მე ვერაფრით ვერ მზოვისაზრე, რაში იყო საქმე. თურმე, როცა ისინი კრემლიდან გავიდნენ, ელადიმერ ილიას ძემ დაცვის თანამშრომელს ერთი ბიღონი რძე მისცა და სთხოვა, ფრთხილად წამოეღო, რომ არ დაღვრილიყო, რადგან ბიღონს ხეირიანი თავსახური არა ჰქონდა. დაცვის თანამშრომელმა დავალება შეასრულა და, როცა საჭირო გახდა, ხელი თავისუფალი აღარ დაურჩა. პირველად ვერც კი მოისაზრა, რა მოხდა, მერე კი უკვე გვიანი იყო.

ბანდიტებმა, როგორც მან თქვა, მანქანას მოულოდნელად გზა გადაუჭრეს. სხვა გზა არ იყო, შოფერმა მანქანა შეაჩერა. ყველანი ფიქრობდნენ, რომ ეს მხოლოდ დოკუმენტების უბრალო შემოწმებაა. ასეთი შემოწმებები იმ დროს ხშირად ეწყობოდა. მანქანიდან ილიჩი გადმოვიდა და თავისი მოწმობა წარუდგინა. მათ კი პასუხად რეკლუვერი მიატყენეს და მოწმობა ისე ჩაიდეს ჯიბეში, არც წაუკითხავთ. შოფერთან ერთად გადმოსხეს მანქანიდან ყველა მგზავრი. თვითონ ჩასხდნენ და მიიმალნენ. კიდევ კარგი, ეს ყველაფერი უმსხვერპლოდ მოხდა.

როცა ჩვენ ვლაპარაკობდით, კიბეზე ილიჩი ჩამოვიდა, რომ მიხვდა, რაზედაც ვლაპარაკობდით, თქვა, რომ დამცველი ამხანაგი არაფერ შუაშია, რომ მდგომა-

რობა ისეთი იყო, ვერაფერს ვერაფერს გააწყობდი.

— საერთოდ, როცა დგას ფული ან სული, და ხედავ, რომ შალა თავდამსხმელი ყაჩაღის ხელშია, უნდა იყო უქანასკნელი იდიოტი, რომ ფული ამგობინო! — შენიშნა ილიჩმა.

რომ გავიგე, ლენინი ნადედა კონსტანტინეს ასულთან ერთ საათს კიდევ რჩებოდა. გადაეწყვიტე მანქანის საძებრად წავსულიყავით, რადგან შემთხვევის ადგილი შორს არ იყო. მანქანები ამ რაიონში თითქმის არაა, კვალი ცოტაა და ვიფიქრე მოვებნე. ვნახოთ, რა გამოვა-მეთქი.

ილიჩის მანქანის კვალს ადვილად მივაგენი. გამოვედი ჩემი მანქანის საფეხურზე, ჩამოვჯექი წინ და გავყევი კვალს. შოფერს ხელით ვანიშნებ: მარჯვნივ, მარცხნივ. მაგრამ კვალი მალე დავკარგე. კილომეტრნახევრის შემდეგ ბანდიტებს მანქანა ტრამვის ნაკვალევზე ეტარებინათ. უკან ხელცარიელი გაებრუნდი.

ზთელი ჩეკა, მთელი მოსკოვის მილიცია ფეხზე იდგა. მთელ ქალაქში დაზავუნეს პატრულები, რომლებსაც ხელთ ჰქონდათ გატაცებული მანქანის გამოსაცნობი ნიშნები.

კრემლში ჩვენი დაბრუნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მაცნობეს, რომ ელადიმერ ილიას ძის მანქანა შეუნიშნავთ ქრისტეს ტაძრის რაიონში. მანქანა დიდი სიჩქარით მიჰყავდათო. სცადეს შეეჩერებინათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბანდიტებმა სროლა ასტეხეს და მიიმალნენ. ძებნა გრძელდებოდა. ბოლოს მანქანა ყირიმის ხიდის მახლობლად დააკავეს, მაგრამ დამნაშავეთა შეპყრობა არ მოხერხდა. ისინი მოსკვა-რეკას ყინულზე გადაცივდნენ და გაიქცნენ.

იმ ღამეს მოსკოვში ბანდიტებზე მასიური ალყა გამოცხადდა და დაკავებულთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც მანქანის ამბავი იცოდნენ. თუმცა ის კი არ იცოდნენ, ვისი იყო ეს მანქანა და უკვირდათ კიდევ, რატომ დაეძებდნენ მას ასე თავგამოდებით.

ერთ-ერთმა დაკავებულთაგანმა თქვა, რომ მანქანის გატაცების ისტორია დაკავშირებულია კოროლკოვთან, მაშინ მოსკოვში ცნობილ დამნაშავე რეციდისტთან. კოროლკოვის საქმებრად სასწრაფოდ წაიყვანეს უტკინი, მამაცი და ინიციატივიანი ჩეკისტი, პიტერის ყოფილი მუშა. მან მართლაც მიაგნო ამ ბანდიტს.

მე დაწვრილებით არ ვიცი ყველაფერი, მაგრამ როგორც გადმომცეს, კოროლკოვმა დაპატიმრებისას განსაკუთრებული წინააღმდეგობა გასწია. იგი დააკავეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მათუზერში ტყვია გაუთავდა, თუმცა მაშინაც კი იძულებულნი გახდნენ მისთვის ბომბი ესროლათ.

გაჩხრეკის შემდეგ კოროლკოვს უპოვნეს ჩანაწერი, რითაც მტკიცდებოდა, რომ ბანდიტებს წარმოდგენა არა ჰქონდათ თუ ვინ მიდიოდა მანქანით, რომ მათ არ უცნიათ ლენინი.

საშინლად ეზარებოდა ვლადიმერ ილიას ძეს, როცა მის ირგვლივ ტეხდნენ ხმაურს. სრულიად ვერ იტანდა გუნდრუკის კმევას, ქება-დიდებას.

1920 წლის აპრილში შესდგა პარტიის მეცხრე ყრილობა. მე ყრილობას ვესწ-

რებოდი და დაცვას ვხელმძღვანელობდი ერთ-ერთ სხდომაზე ამხანაგებმა დაწვრილებმა საზეიმოდ აღენიშნათ ვლადიმერ ილიას ძის დაბადების ოთხმოცწლიანობა. დაიწყო გამოსვლები მსმელთაგან. აიღო მიხეილ ივანეს ძე კალინინმა, გამოვიდა ფელიქს კონი. ვლადიმერ ილიას ძე საშინლად გაბრაზდა. მე მისგან შორს არ ვიყავი და კარგად ვხედავდი, როგორ აქნევდა ხელს და ამბობდა:

— თუ გინდათ საქმე ვაკეთოთ, განვადგნოთ მუშაობა. სად გაგონილა ყრილობა საზეიმო სიტყვებისათვის გამოვიყენოთ. თუ არ შეგიწყვეტიათ თქვენი გამოსვლები, — წავალ, ერთ წუთსაც არ დავრჩები ამ სხდომაზე!

იძულებულნი გახდნენ აღარ გამოსულიყვნენ.

თუმცა კი ყველა მთელი სულითა და გულით, ილიჩისადმი გულწრფელი სიყვარულით გამოდიოდა. რაღა უნდა ითქვას ისეთ შემთხვევებზე, როცა შექება არაწრფელი გულიდან მოდიოდა, როცა მასში ყალბი ნოტები გაერეოდა?

მაშინ ილიჩი ისე განრისხდებოდა, მლიქვნელს ადგილზე გააქცევებდა ერთხელ და სამუდამოდ.



მოთა ჟურნალი

ლაჟვარდში შემონახული სიმღერა

ჩემი სიცოცხლე რა არის?
სამშობლო და გაზაფხული.
მამია ვარშანიძე.

ისტორიული ძნელბედობის გამო ისე მოხდა, რომ აჭარას საუკუნეთა მანძილზე არ წარმოუშვია არც ერთი პროფესიონალი პოეტი. და აი, ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დამდეგს იგი გამოჩნდა: ეს იყო მამია (მამულ) ვარშანიძე. ამ ფაქტს, ცხადია, ყველა კმაყოფილებით შეხვდა. მკითხველები და ლიტერატურული კრიტიკა თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღებით აღევნებდნენ თვალს ახალგაზრდა შემოქმედის მოღვაწეობას და გულწრფელად უხაროდით მისი ყოველი წარმატება. დღემდე მამია ვარშანიძემ ათამდე ლექსებისა თუ პოემების კრებული გამოსცა და არც ერთი არ დარჩენია შეუფასებელი ჩვენს პრესას. მათ ესმაურებოდა „ლიტერატურული საქართველო“ და „მნათობი“, „საბჭოთა აჭარა“ და „ბატუმსკი რაბოჩი“. გარდა ამისა, პოეტის მოღვაწეობის ოცდაათი წლის მანძილზე გამოქვეყნდა არაერთი სტატია, რომლებშიც განხილულია მისი შემოქმედების ცალკეული პრობლემები, ზოლო ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა იპოლიტე ვართაგავამ ვრცელი მონოგრაფიაც კი დაწერა მ. ვარშანიძის პოეზიაზე. სამწუხაროდ, ეს მონოგრაფია ჯერჯერობით არ დაბეჭდილა, მისი ერთი

ეგზემპლარი კი ინახება აჭარის სახელმწიფო არქივში.

მამია ვარშანიძეს არც ქართველი პოეტებისა და მწერლების ყურადღება აკლდა. მის პირველსავე წიგნს „მებრძოლის სიმღერები“ ძლიერ გულთბილად გამოეხმაურა ქართული ლექსის ერთ-ერთი დიდოსტატი იოსებ გრიშაშვილი. „უეჭველია, ნაზი განცდის პოეტი ხარ, ლირიკოსი და ახალი, ორიგინალური შინაარსის მიმგნები“, სწერდა იგი ახალგაზრდა ხელოვანს და იქვე დასძენდა: „ეჰა, რა მომავალი გაქვს, „ჰალალ იყოს“. ეს აზრი იოსებ გრიშაშვილს სიკვდილამდე არ შეუცვლია. თოთხმეტი წლის შემდეგ, 1960 წელს, იგი მამია ვარშანიძეს სწერდა: „შენი ვეება წიგნი („ჩემი ტაძარი“ — შ. ქ.) გადავთვლიერე. წვრილი ლექსები ლირიკულია და შთაბეჭდავი... ბოლოსიტყვაობა, რომლის წაკითხვა იმითითუ, მშვენიერია, „რამ მათქმევინა“ და სხვ. ესლა აკაკის იუბილეს მოვრჩები და პოემების წაკითხვას შევეუდგები. არ მიყვარს ჰაიპარად წაკითხვა“.

არანაკლებ გულთბილი წერილი გამოუგზავნა მამია ვარშანიძეს ჩვენმა საამყო პროზაიკოსმა სერგო კლდიაშვილმა.

„კარგი ლექსი ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს. სწორედ ამ სიხარულით და ხშირად აღტაცებითაც ვკითხულობდი თქვენს ლექსებს. მრავალი მათგანი ჰემ-მარიტი შთაგონების ნაყოფია. თქვენ არ გპირდებათ ჩემგან ამის დასტური, მაგრამ მეც მინდა ჩემი ხმა შევეუბნოთ იმათ, ვინც თქვენს მაღალ პოეტურ ტალანტს აფასებს.“

მამია ვარშანიძის პირველი ლექსები „კოლექტივში“ და „კომკავშირელი რძალი“ 1934 წელს გამოქვეყნდა აღმანახ „ლიტერატურულ აპარისტანში“. ორივე ლექსი ასახავდა ახალ აპარას, იმ ღრმა ცვლილებებს, რაც ხალხის ცხოვრებასა და შეგნებაში მოხდა დიად სოციალისტურ გარდაქმნათა შედეგად. დღეს ისინი ძლიერ მიამიტურად გვეჩვენება. პოეტი ჯერ კიდევ ვერ ფლობდა მხატვრულ სიტყვას, მაგრამ თუ მაინც მოვიხსენიეთ ისინი, მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე მათში დაისახა მამია ვარშანიძის პოეზიის ზოგიერთი უმთავრესი ნიშანი, უპირველეს ყოვლისა კი თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა და მკიდრო კავშირი ხალხის ცხოვრებასთან. კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა პოეტის სახე ლექსში „კოლმეურნეობაში“, რომელიც 1936 წელს დაიბეჭდა აღმანახ „საბჭოთა აპარაში“. თემატიკურად იგი პირველი ლექსების რკალს განეკუთვნება, მაგრამ ბევრად უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს როგორც იდეური, ისე განსაკუთრებით მხატვრული თვალსაზრისით.

პოეტის სულიერი ინტერესების გაფართოებას მოწმობდა მომდევნო აღმანახებში „სტალინურ თაობას“ (1937 წ.) და „ლიტერატურულ აპარაში“ (1940 წ.) გამოქვეყნებული ლექსები, რომელთაგან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ „ბათუმი“ და „დედის ბოღია“. მათში მამია ვარშანიძე გვაცნობს თავის ინტიმურ განცდებს. მაგრამ პოეტის ინტიმი შორს იდგა ობიექტურად გამართულობისაგან, მას გარკვეული საზოგადოებრივი ღირებულება ჰქონდა და ამ ღირსებას დღესაც ინარჩუნებს. ჩვენ ახლაც სიამოვნებით

ვკითხულობთ როგორც ერთ, ისე მეორე ლექსს და ორივე ვაღელვებს გონების უშუალოებით, მოვლენების ყოველმხრივ აღქმით.

მამია ვარშანიძის ადრინდელი ლექსებიდან ყურადღებას აიპყრობს აგრეთვე „ახალგაზრდის ვაჟაკობა შეენის“, „განთიადი აპარის მთებში“, „კოკლი“ და სხვ. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათში უკვე გამოჩნდა პატრიოტული მოტივი, რომელიც შემდგომ, დიდი სამამულო ომის პერიოდში და მომდევნო წლებში მისი პოეზიის წამყვანი მოტივი გახდა. ასეთი თემატიკური „გადიაარღება“ სავსებით კანონზომიერი იყო: სამშობლო განსაცდელში აღმოჩნდა და მომავლი-ნებელმა საფრთხემ, ჩვენს ქვეყანას რომ დაემუქრა, გზა გაუხსნა, ფართო გასაქანი მისცა პატრიოტულ გრძნობებს.

დაიწყო თუ არა დიდი სამამულო ომი, სოციალისტური სამშობლოს დაცვის იდეამ ყველა სხვა იდეა დაჩრდილა და თითოეული ჰემარიტი პატრიოტის დევიზად იქცა პარტიის მოწოდება: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“ მალე პატრიოტი პოეტი ფრონტზე წავიდა და ოთხ წელიწადს იარაღით ხელში ებრძოდა ფაშისტ ოკუპანტებს. მაგრამ ფრონტული ცხოვრების უმძიმეს პირობებშიც კი მამია ვარშანიძის არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მოღვაწეობა, სანგარში წერდა ლექსებს, რომლებშიც გადმოგვცემდა საბჭოთა ჯარისკაცის ფიქრებსა და გრძნობებს, მის მისწრაფებებსა და ოცნებებს.

ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ, 1946 წელს მამია ვარშანიძემ თავი მოუყარა ომისდროინდელ ლექსებს და ზოგიერთ ადრინდელ ლექსთან ერთად ცალკე წიგნად გამოსცა. ამ კრებულს — „მებრძოლის სიმღერები“ განსაკუთრებული ადგილი უკავია პოეტის შემოქმედებაში. იგი იყო მისი პირველი წიგნი, პირველი შემოქმედებითი თვითანგარიში ჩვენი საზოგადოებრიობის წინაშე. მართალია, კრებულში მოთავსებულ ლექ-

სებს უკვე იცნობდა მკითხველი, რამდენადაც ისინი დრო და დრო იბეჭდებოდა აკარის პრესაში — გაზეთებსა და ალმანახებში, მაგრამ პირველი სრული შთაბეჭდილება მაშინ ვარშანიძის პოეზიაზე მან მაინც ამ კრებულით მიიღო. ცხადი გახდა, რომ ახალგაზრდა პოეტს მომავალი ჰქონდა და ლიტერატურული კრიტიკა ძლიერ გულთბილად შეხვდა „მებრძოლის სიმღერებს“. გაზეთ „საბჭოთა აკარაში“ დაიბეჭდა ი. რურუას გრძელი წერილი, რომელშიც რეცენზენტი ფრიად მაღალ შეფასებას აძლევდა პოეტის ლექსებს.

დიდი სამაშულო ომის დამთავრების შემდეგ მაშინ ვარშანიძის პოეზიაში კიდევ უფრო გაძლიერდა პატრიოტული ნაკადი, მაგრამ იგი ახალი შინაარსით დაიტვირთა და გაცილებით უფრო მრავალფეროვანი გახდა. თუ წინათ პოეტის პატრიოტიზმი არსებითად ამოიწურებოდა სამშობლოს დაცვის იდეით, ომის შემდგომ პერიოდში მან მოიცვა ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა მხარე, ყველა უბანი. მაშინ ვარშანიძე შეხაროდა გამარჯვებულ სამშობლოს, სწრაფად რომ იშუშებდა ომით მიყენებულ ჭრილობებს და კვლავ მხნედ მიიწევდა კომუნისმის მწვერვალისაკენ. ყველა ცხოვრებისეულ მოვლენას იგი უქექროდა და აღიქვამდა ერთი კუთხით, ერთი ასპექტით — სოციალისტური სამშობლოს მხურვალე სიყვარულით, და როცა მაშინ ვარშანიძის ლექსებს კითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქმის პოეტი კალენდოსკოპის წინაშე დგას: იცვლება სურათები, მოვლენები, ფაქტები. რაკურსი კი ის ადვილი, საიდანაც ამ სურათებს ჰვრტს, უცვლელი რჩება.

ამით აიხსნება, რომ მაშინ ვარშანიძის ბევრი ლექსი, აღძრული თემისა და ცხოვრებისეული მასალისაგან დამოუკიდებლად, შეიძლება თამამად მივაკუთვნოთ პატრიოტულ პოეზიას და უკლებლივ ყველა კრიტიკოსი პოეტის შემოქმედების ძირითად, უმთავრეს მოტივად სამშობლოს სიყვარულს მიიჩნევს. „პატ-

რიოტიზმის იდეა არა მხოლოდ ერთი მოტივია მ. ვარშანიძის პოეზიაში. — წერდა დოც. ალ. ჩაველაძე: „არამედ მთავარი, განმსაზღვრელი მყვანი“ (გაზ. „საბჭოთა აკარა“, 21/2. 1959 წ.). არანაკლებ კატეგორიული ფორმით ავითარებდნენ ამავე დებულებას ი. ვართაგავა დოც. ნ. დუმბაძე, ი. რურუა და სხვები. კერძოდ, მსოფიანი კრიტიკოსი ი. ვარაგავა ზაზგასმით აღნიშნავდა, რომ „დიდი უმრავლესობა მ. ვარშანიძის ლექსებისა და პოემებისა გაუღენთილია მამულისადმი, სამშობლოსადმი, მისი წარსულის, აწყობისა და მომავლისადმი უაღრესად გულწრფელად, თამამად, შეუწუხებლად მიქეფარე სამშობლოს უერთგულესი სიყვარულით“ (აკარის სახ. არქივი, ფ. 1010, ს. № 39).

კრიტიკოსთა ასეთმა ერთხლოვნებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, თითქმის მაშინ ვარშანიძის პოეზია ერთფეროვანი, ერთსახოვანი იყოს. საბედნიეროდ, ასე არ არის. პატრიოტულად მიჩნეული მისი ბევრი ლექსი ფაქტიურად ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს, განახლებულ ყოფას ასახავს და პატრიოტულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გამოხატავს საბჭოთა ადამიანის სიამაყეს თავისი სოციალისტური სამშობლოთი. ამ მხრივ დამახასიათებელია პოეტის ფართოდ ცნობილი და ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „მოდო, ნახე!“

მშობლიური მთების ახლოს
ძველისძველი ქვევრებია,
მოდო, ნახე, მე იქ ვსახლობ,
მზე იქ შემოიჩერებია.
მესხი ვარ და ხელმადლიანს
ეზო დამომშვენებია,
ნახე რა არ მამადია,
რა არ მომიშვენებია,
ვაზი რთველის ეზოში ცურავს,
ლალისფერი მტევნებია,
ტბილი ღვინო დამიწურავს,
ქვევრში ამიმღერებია.
ჩემს სახლს განა ჩრდილი ფარავს!
ცისარტყელას ფერებია,

ვარსკვლავები მომიპარავს,
ღამე გამითენებია.
ჩემი კერა დალოცვილი
მხესთან შემჩჩერებია,
ჩუქურთმებით დაკონილი
ო, რამდენი ფერებია...

ლექსის თემა და იდეური მიზანდასახულობა სრულიად აშკარაა — პოეტი ხატავს განახლებული სამხრეთ საქართველოს რეალისტურ სურათს და უმღერის ახალ ყოფას, ამ უძველეს ქართულ მიწაზე რომ დამკვიდრდა საბჭოთა ხელი-სუფლების, სოციალისტური წყობილების გამარჯვების შედეგად. მისი ლირიკული გმირია ახალი ადამიანი, რომელსაც გამარჯვებულმა ხევით აუესო ოჯახი და გულით სწადია, თავისი სიხარული და ბედნიერება ყველას გაუზიაროს, ყველამ გაიგოს, რა ღვთის თვალი დატრიალდა მის კარმიდამოში და აშკარა თავმოწონებითაც კი გვეპატიჟება — მოდი, ნახეთ, თუ რა შეძლებულად ვცხოვრობ, რა ბედნიერი ვარ, რა მასპინძლობა შემიძლია გაგიწიოთო. „ენერგიული რიტმი და ორატორულად შემადგენელი ინტონაცია, — წერდა დოქ. ნ. დუმბაძე, ამ ლექსს რომ განიხილავდა, — ქმნის აღტაცების ხალისს, სიხარულის ნათელ განწყობილებას... პოეტი ნათელი ფერებით ხატავს დამშვენებულ ეზოს, განახლებულ კერას და ბედნიერი კაცის შრომის ბარაქას“ (გზ. „საბჭოთა აპარა“, 4/12, 1960 წ.).

მაშასადამე, არც თემით, არც თავისი კონკრეტული შინაარსით „მოღი, ნახე!“ არ გამოხატავს სამშობლოს სიყვარულს, უშუალოდ არ შეიცავს პატრიოტულ იდეას, მაგრამ მასში არის დეტალები, რომლებიც ცვლიან ვითარებას, და თითქმის ყველა კრიტიკოსი ამ ლექსს პატრიოტულ პოეზიას განაკუთვნებს. ძველისძველი ქვევრები, ვაზი, რთველის ეშხში რომ ცურავს, ქვევრში ამღერებული ღვინო — ყველაფერი ეს საუკუნეთა მანძილზე სრულიად უცხო იყო სამხრეთ საქართველოს მკვიდრთათვის. ვინც აპარის წარსულს იცნობს, მან იცის, რომ

უცხოელმა დამპყრობლებმა ამ მხარეში პირწმინდად აჩეხეს, ამოძირკვეს ეკლესია და მოსახლეობას აუკრძალეს რელიგიური ნახის გაშენება, ისე ლეინოს ლეინოს აი ამიტომ მაშინ ვარშანიძის ლექსი „მოღი, ნახე!“ მოულოდნელად იძენს ეროვნულ, პატრიოტულ ელერადობას ისევე, როგორც „ლეინოს წურავს შენი ქალი“ და ბევრი სხვა ლექსი. საქართველოს სხვა კუთხეში — კახეთში, ქართლში, იმერეთში, რაჭაში თუ სხვაგან, ალბათ, არც დაწერებოდა „ლეინოს წურავს შენი ქალი“ — იგი ხომ საცსებით ჩვეულებრივია. მაგრამ აჭარისათვის ამ ფაქტს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, რასაც პოეტი სხვათა შორის პირველ სტროფშივე ხაზს უსვამს: „ლეინოს წურავს შენი ქალი, წინა წვეთსაც ახლოს რომ არ იკარებდა“. აი ეს არის მთავარი.

ამით ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ მაშინ ვარშანიძის ბევრი ლექსი, რომლებსაც ჩვეულებრივ პატრიოტულ პოეზიას განაკუთვნებენ, თავისთავად აპარის ახალ, სოციალისტურ ყოფას ასახავს, მაგრამ ამ კუთხის ისტორიის თავისებურებათა გამო სცილდება სოციალურ ფარგლებს და ეროვნულ-პატრიოტულ არეში იჭრება. ლექსების მთელი ეს ციკლი, ცხადია, ცალკე უნდა გამოიყოს, მიუხედავად მისი პატრიოტული შეფერილობისა. ჩვენი აზრით, პოეტის ლირიკული გმირი უპირველეს ყოვლისა კომუნიზმის მშენებელია, სიცოცხლის მიზანს ზედავს კაცობრიობის ბედნიერებისათვის, ამაღლებული იდეალების ხორცშესხმისათვის ბრძოლაში. პოეტი უმღერის ჩვენს აწმყოს და კიდევ უფრო ნათელ მყობადს. იგი აღიდეგს შრომას, პატიოსნებას, სიკეთეს, ხალხის უანგარო სამსახურს და მჭიდროვებს მოუწოდებს გულის ფიცარზე აღიბეჭდოს ეს მცნება, იაროს მხოლოდ ამ გზით:

ამ გზას გაჰყევი და თვითონ ნახავ

სინათლით მოსილ სიცოცხლეს ახალს...

ადამიანი, პოეტის ღრმა რწმენით, მოწოდებულია იყოს შემოქმედი, შექმნას, აშენოს, მხარში ამოუდგეს მშობლიურ

ხალხს. მხოლოდ მაშინ იგრძნობს იგი სიცოცხლის ნამდვილ სიტყვას, შეიცნობს ადამიანებს და ღირსეულად დააფასებს მათ.

ხალხთან იყავი ხალხის შობილი, მიხედვით: შრომა კეთილშობილი სილამაზეს და სიკეთეს თესავს...

სილამაზე და სიკეთე! რა იქნებოდა ადამიანი, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება. ქვეყნად რომ არ იყოს ისინი, კანდელივით რომ ანათებენ ადამიანის სიცოცხლეს და შნოსა და ლაზათს რომ ანიჭებენ ცხოვრებას? „დიდება კრემლის მზის სინათლეს!“ აღტაცებით ამბობს პოეტი, რადგან იცის: კრემლი — ეს არის სილამაზისა და სიკეთის სიმბოლო. როგორც მებაღე ვარდ-ყვავილებს, ისე სათუთოდ უვლის პარტია სილამაზესა და სიკეთეს, რომელთა უმადლესი გამოხატულებებია კომუნიზმი, და ყველგან ნერგავს და ავრცელებს მათ...

და სავსებით ბუნებრივად შემოდის მამია ვარშანიძის პოეზიაში სახე დიდი ბელადის ელადიმერ ილიას ძე ლენინისა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში გზა რომ გაუკაფა ამაღლებულ იდეალებს და შექმნა მათი ხორცშესხმის აუცილებელი პირობები. ლენინი თვითონ იქცა სინათლისა და მზის, ძალისა და ძლიერების სიმბოლოდ. „აქ ილიჩი დგას მდიმარე, მხრებით მზე მოჰყავს ბუმბერაზს“. აღტაცებით წერს პოეტი და სულითა და გულით აღღვრამელებს მას, როგორც ქვეყნად სინათლისა და სიკეთის დამამკვიდრებელს:

დამისხით, მინდა დავლოცო
დიდი სინათლის შემქნელი,
ვაქო, ილიჩის ნათურაზე,
შენი სახელის შემრქმელი...

სოციალისტური სინამდვილის ესოდენ ღრმა სიყვარულს ეფუძნება მამია ვარშანიძის სიყვარული სამშობლოსადმი. ეს, სხვათა შორის, შეუმჩნეველი არ დარჩენია უკვე ღრმად მოხუც იბოლიტე ვართაგავს. მონოგრაფიაში „სულიერი შეგ-

ნება და მხნეობა მამა-პაპური (მამია ვარშანიძის შემოქმედება)“, იგი საგანგებოდ აღნიშნავდა ამ ფაქტს და წერდა: „როგორც ღრმისა და ეპოქის ღირსეულმა გათვითცნობიერებული შვილი — პოეტი (ე. ი. მამია ვარშანიძე — შ. ქ.). მშვენივრად ერკვევა იმაში, თუ რა პირობები ქმნიან საქართველოს თანამედროვე კეთილდღეობას. სამშობლოს ბრწყინვალე მომავალიც წარმტაცად ეხატება თავის წინ მის მოყვარულ შეხალს“. (აქარის სახ. არქივი, ფ. 1010, ს. № 39). სწორედ ამით განსხვავდება უპირველეს ყოვლისა მამია ვარშანიძის პატრიოტიზმი მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტების პატრიოტიზმისაგან.

ილიას, აკაკის, ვაჟის თავდაუწყებელი უყვარდათ მრავალტანჯული საქართველო, მაგრამ ეს სიყვარული არათუ გულისხმობდა, პირიქით, გადაჭრით და უკომპრომისოდ უარყოფდა მაშინდელ სოციალურ სინამდვილეს. მამია ვარშანიძეს (და ყველა საბჭოთა პოეტს) სულ სხვა ვითარებაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა და თავის დიდ წინაპრებზე ბედნიერი აღმოჩნდა. იგი, როგორც სამართლიანად წერდა იბოლიტე ვართაგავა, „თანამედროვე მოწინავე და განათლებული სამშობლოს, ქვეყნიურ ედემის მსგავს საქართველოზე შეყვარებული ოპტიმისტი მომღერალია“. ოპტიმისტი მომღერალია, რადგან ბედნიერზე ბედნიერი აწმყო სრულ უფლებას აძლევს იყოს კმაყოფილი, გატაცებით უყვარდეს სამშობლოც და არსებული სოციალისტური წყობილებაც. ცხადია, ეს ღრმის, ეპოქის დამსახურებაა და არა თვითონ პოეტისა. „ამ მხრივ უმადლოდნენ ისტორიას მამია ვარშანიძე და დღევანდელი სხვა ქართველი პოეტები!“. შენიშნავდა ამის გამო ი. ვართაგავა.

ეს გარემოება განსაზღვრავს მამია ვარშანიძის პატრიოტიზმის ხასიათსაც, მის ხალხურობას და სიწმინდეს. იგი თავისუფალია ნაციონალიზმისა თუ კუთხურობის, პროვინციალიზმის რაიმე მინარევისაგან. დოც. ნ. ღუმბაძის განსაზღვ-

რით, პოეტის პატრიოტიზმი არის „პატრიოტიზმი ჩვენი ეპოქის ახალი ადამიანისა, რომლისთვისაც სამშობლოს ცნებაში გაერთიანდა მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყანა და მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანის სიყვარული“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 138, 1960 წ.). თვითონ პოეტი თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „გაზაფხულის ბალნარიდან“ ხაზს უსვამს მეგობრულ გრძნობებს სხვა ხალხებისადმი და აღიღებს ჩვენს ქვეყანას, როგორც ხალხთა ერთიან ოჯახს:

მე მეგობრად ვინ არა მყავს,
მოგითვალ რამდენი,
ჩინელი და ინდოელი,
რუსი, სამარყანდელი,
ცაზე ვარკვლავს როგორ დათელი,
მე ძმები მყავს ამდენი,
ჩემი ქვეყნის ცაზე ელავს
ძმობის დიდი კანდელი.

მართალია, ასეთი წმინდა, ნამდვილად ხალხური პატრიოტიზმი, რომელიც თავის თავში შეიცავს სხვა ხალხების პატივისცემასა და სიყვარულს, სრულიადაც არ ყოფილა უცხო მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიისათვის და იგი, როგორც ი. ვართაგავა შენიშნავდა, „საერთო — ქართველურია, მამა-პაპური, ისტორიულად დადასტურებული“. მაგრამ მამია ვარშანიძისა და საერთოდ ყველა საბჭოთა პოეტის პატრიოტიზმი მაინც განირჩევა მამა-პაპურისაგან, განირჩევა სიღრმითაც და ყოვლისმომცველობითაც. დღევანდელ ქართველს გაცილებით უფრო ახლია ურთიერთობა აქვს როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის, ისე მსოფლიოს ხალხებთან, რაც ცხადია, შესაბამის გამოძახილს პოულობს მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ, პოეზიაში.

რამდენადმე განსხვავებულია მამია ვარშანიძის პოზიცია წარსულისადმი დამოკიდებულებამაც. ჩვენი დიდი წინაპრები ილია, აკაკი, ვაჟა, როგორც ცნობილია, ზშირად მიმართავდნენ წარსულს, რათა ქართველთა გასაოცარი შეუპოვრობა და ვამძლეობა ურიცხვ მტერთან ბრძოლაში,

მამულისადმი მათი ერთგულება და თავგანწირვა მაგალითად დაესახათ თანამედროვეებისათვის, განემსჭვალათ ისინი გმირული სულისკეთებით. დიდგმირული მულო ომის პერიოდში ბევრმა ქართველმა პოეტმა ამავე მიზნით გააცოცხლა წარსულის სახელოვანი გმირები სააკაძე, არაგველები, ცხრა ძმა ხერხეულიძე... მამია ვარშანიძე როგორღაც ასცდა ამ ტალღას და ომისდროინდელ ლექსებში არ გამოუჩენია რაიმე განსაკუთრებული ინტერესი გარდასულ დროთა ტრაგიკული სურათებისადმი, არც ჩვენი ლეგენდარული გმირებისადმი.

სამაგიეროდ ომისშემდგომ პერიოდში მამია ვარშანიძემ, შეიძლება ითქვას, საგანგებო ყურადღება დაუთმო ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, აჭარის წარსულს და მას ვრცელი პოემაც კი უძღვნა — „ხიხანის არწივები“.

„ხიხანის არწივები“ დიდად მოიწონეს მკითხველებმა, ხოლო ლიტერატურულმა კრიტიკამ ერთხმად აღიარა მამია ვარშანიძის დიდ და ყველაზე თვალსაჩინო შემოქმედებით გამარჯვებად: სხვებთან ერთად აღფრთოვანებული ქება უძღვნა ამ პოემას იბოლიტე ვართავაძემ, რომელმაც იგი „თორნიკე ერისთავის“, „დღიშტრი თავდადებულისა“ და „ბახტრიონის“ გვერდითაც კი დააყენა. ასეთი შეფასება ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია და მას ვერ გავიზიარებთ, მაგრამ საკვებით მართალი იყო მსოფლიო კრიტიკოსი, როცა წერდა: „ხიხანის არწივები“ ავტორის პოეზიის ჩამოუვდები გვირგვინია, რომელსაც კიდევ უფრო დაამშვენებენ შემოქმედის მომავალი ყვავილები, რომლებსაც პოეტისაგან მოელის მკითხველი“.

პოემა „ხიხანის არწივები“ მამია ვარშანიძემ მიუძღვნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირებს, რომელიც აჭარაში გაჩაღდა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე, და პირველმა ქართულ ლიტერატურაში შექმნა ამ მოძრაობის გამოჩენილი მეთაურის, დიდი ქართველი პატრიოტის სელიმ ხიმ-

შეიშველის მართალი, რომანტიკულად ამოღებული რეალისტური მხატვრული სახე. ეს პოეტის უთუოდ თვალსაჩინო დამსახურებაა. „დღემდე ქართულ პოეზიაში ხიხანის ბრძოლების თემა არავის მოუცია. ამ საქმის ღირსეული პიონერია მამია ვარშანიძე. ვერასოდეს ვერავინ წაართმევს მას ამ საპატიო პიონერობას“, წერდნენ იპოლიტე და ავთანდილ ვართაგავები. და მართლაც, მას შემდეგ ბევრი ლირიკული, პროზაული თუ დრამატული ნაწარმოები დაიწერა სელიმ ხიმშიაშვილზე, მაგრამ მამია ვარშანიძე რჩება ამ საქმის არა მარტო პიონერად, არამედ მისი ამსახველი საუკეთესო მხატვრული თხზულების ავტორადაც.

ისტორიული ამბავი, რომელიც საფუძვლად დაედო პოემას, თვითონ შეიცავდა ამოღებულსა და ტრაგიკულს. ამიტომ პოეტს არაფერი შეუცვლია მისი დრამატიზაციისათვის, ზუსტად დაიცვა ისტორიული მოვლენები და ქრონოლოგია. თუ არა ზოგიერთი „გამოგონილი“ პერსონაჟი, შეიძლება პოემა დოკუმენტურ თხზულებად მიგვეჩნიო, იმდენად მტკიცედ იცავს მამია ვარშანიძე ფაქტის სიზუსტეს. იგი ხშირად თითქმის უცვლელად ტრავებს ისტორიული წყაროს სიტყვიერ მასალასაც კი.

ისტორიულ სიმაღლეს პოემაში არ არღვევს არც გამოგონილი სიტუაციები და პერსონაჟები. ჩანს, პოეტს ღრმად შეუწავლია ასასახავი ეპოქა. მან ყველაფერი იცის, რაც ესაჭიროება ეპოქის სულისკვეთების გადმოსაცემად. იცის ადამიანთა მისწრაფებანიც და ის პირობებიც, რომლებშიც მათ ცხოვრება უხდებოდათ. პოეტი არსად არ ალამაზებს სინამდვილეს, არ ცდილობს წარსულის ადამიანებს მიაწეროს ჩვენი თანამედროვე შეხედულებანი, არც რაიმეს ჩქამლავს და აფუჩეჩებს. კერძოდ, მან არ დაუშალა მკითხველს, რომ აჭარელი გლეხი ორმაგ ექსპლუატაციას განიცდიდა, უცხოელ დამპყრობლებთან ერთად მას შეუბრალებლად ყველგან თანამემამულე ალბეგებიც, რომლებიც ფლობდნენ მიწას,

ტყეს, მთელ სიმდიდრეს. აი აქ ჩნდება წყალგამყოფი ქედი მეცხრამეტე საუკუნის ქართველი პოეტების პირველი თხზულებებსა და „ხიხანის არწივის“ შორის. თუ მაგალითად „თერგდალეულებს“ აინტერესებდათ მხოლოდ ეროვნული მოტივი და ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ სოციალურს, მამია ვარშანიძე ბოლომდე ამხილავს მძაფრ სოციალურ-წინააღმდეგობას ქართულ საზოგადოებაში, გაბატონებული და ექსპლუატირებული კლასების კავშირი ეროვნულ ნიადაგზე მიაჩნია დროებით მოვლენად, ერთ-ერთ მომენტად მათ ურთიერთობაში, ეს არის წარსულისადმი მამია ვარშანიძის დამოკიდებულების ერთი მთავარი დამახასიათებელი და, მასასადამე, განმასხვავებელი ნიშანი.

ეროვნულ-სოციალურ მოტივთან ერთად პოეტი, როგორც ყოველთვის, არ ივიწყებს არც ლირიკულ-ინტიმურს, წმინდა და ზნეობრივად სპეტაკი პოემის პერსონაჟთა სიყვარული. იგი სილამაზესა და ძალას მატებს ადამიანებს მიწიერი ბედნიერებისათვის ბრძოლაში და ამ ბედნიერების ატვირთვად ელემენტად გვევლინება. ამავე დროს პერსონაჟთა ინტიმური გატაცება პოეტს საშუალებას აძლევს გვიჩვენოს აჭარის ურთიერთობა სხვა ქართულ პროვინციებთან და ცხადყოფს, რომ რელიგიური სხვაობის მიუხედავად, ეს ურთიერთობა არასოდეს ჩამკვდარა, იგი კვლავ კეთილმეზობლური იყო და საფუძვლად ედო გულწრფელი სიყვარული.

„ხიხანის არწივი“ მამია ვარშანიძემ ცხადყო, რომ შეუძლია როგორც მხატვრული სახეების, ისე სურათების შექმნა. განსაკუთრებით საგულისხმოა პეიზაჟის ხატვის საინტერესო მანერა, რაც მკაფიოდ ჩანს პოემის პროლოგშიც: პოეტი იწყებს აჭარის წარმტაცი ბუნების აღწერას, მაგრამ მოთლოდნელად წყვეტს მას, თვითონ ერევა თბრობაში და გვაცნობს თავის განწყობილებას, თავის დამოკიდებულებას აღწერილისადმი: „მამუ-ლიშვილო, უსმინე, იქნება ზარის ჟამი

აქვს?!“ შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება ბუნებას, განაგრძობს პეიზაჟის ხატვას და ისევ ერევა თხრობაში: „ეგებ ამიტომ აცვიათ შაშვებს და ამ მთებს შავეები!“ და ლექსის ამთავრებს უშეშვენიერესი პეიზაჟით. ბუნების სურათისა და თავისებური პოეტური „კომენტარის“ ასეთი მონაცვლეობა მამია ვარშანიძის საყვარელი პოეტური ხერხია და ხშირადაც მიმართავს პოემაში.

წერის ამგვარი მანერა დიდ უშუალობას და სიბოძის ანიჭებს ლექსს. პეიზაჟი თითქმის ცოცხლდება და სურათში ადამიანი იჭრება თავისი გრძნობითა და განცდებით. ჩვენ ვხედავთ პეიზაჟს, ვხედავთ ადამიანსაც, როგორც დედა შვლს, ისე რომ ელოლიავენა ყველა სულდგმულს. „ფრთხილად, ჩემო პეპელაო, არ წააწყდე ეკალს“, ამბობს იგი და ჩვენ ვგრძნობთ, როგორ შესისხლხორცებია ადამიანი ბუნებას, რა გასაოცარი სინაზით აღსავსე გულით დადის ამქვეყნად. და, როცა ბუნებიდან მზერა გადააქვს საზოგადოებაზე, გვჯერა მისი სიტყვების გულწრფელობა, მისი წუხილი: „ნუთუ აღარ ძალგვიძს, რომ ვიცხოვროთ უხმლოდ?!“. პეიზაჟის ასეთი ემოციურ-აზრობრივი დატვირთულობა „ხიხანის არწივების“ ერთი უმთავრესი ღირსება-თავანია.

ორიგინალობით გამოირჩევა მამია ვარშანიძის ბევრი მხატვრული სახე, შედარება, ეპითეტი, განპიროვნება და სხვ. გვერდს ვერ აფუვლით აფორისტულ თქმებსაც, რომლებიც ღირსებას მატებენ პოემას (ისევე, როგორც მამია ვარშანიძის მთელ პოეზიას). პოეტს ეხერხება მოკლედ, ლაკონურად ჩამოასხას აზრი და ნათქვამს მისცეს აფორიზმის სახე.

„ხიხანის არწივები“ პოეტმა რამდენიმეჯერ გადაამუშავა, მაგრამ როგორც ჩანს, ყაყადღილი მაინც არ არის და ისევ განაგრძობს მუშაობას მისი სრულყოფილებებისათვის. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. რაც უფრო სრულყოფილია ნაწარმოებები, მით უკეთესი, მაგრამ შეუძლებელია პოეტს არ ეუწყყედუროთ აპარის

წარსულით მეტისმეტი გატაცების გამო. „ხიხანის არწივების“ დიდმა წარმატებამ, როგორც ჩანს, მამია ვარშანიძეს შეუფერხებინა, რომ მისი პოეტური მუშაობის ძირითადი ისტორიაა და თითქმის მთლიანად გადაბარგდა წარსულში. და რა მოხდა? როგორც მოსალოდნელი იყო, მისი პოეზია თემატიკურად გაღარიბდა, დაეტყო ერთფეროვნება და წმინდა მხატვრული თვალსაზრისითაც წაავი. როცა სულ ერთსა და იმავეზე წერ, რაგინდ ნიჭიერი არ უნდა იყო, უნებლიეთ შემოგვპარება შტამში, შაბლონი, დაიწყებ თავის თავის გაიმეორებას.

მამია ვარშანიძის პოეზიას მედამ აძლევდა ძალას თანამედროვეობასთან, ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი და ჩვენი გულწრფელი სურვილია პოეტის ლექსები უპირველეს ყოვლისა და უპირატესად კვლავ გვაცნობდეს ჩვენი დროის ადამიანის ფიქრებსა და გრძნობებს, მის ბრძოლას ამაღლებული, სანუკვარი იდეალების დამკვიდრებისათვის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პატრიოტულ მოტივს მამია ვარშანიძის პოეზიაში მჭიდროდ ენასკვება მეორე — სიცოცხლის, სიხარულისა და გაზაფხულის მოტივი. ტყუილად კი არ ამბობს პოეტი: „ჩემი სიცოცხლე რა არის? სამშობლო და გაზაფხული“. უკვე აქედან ჩანს, რომ სიცოცხლე მისთვის ქმნაა, შემოქმედებაა და არა უბრალო არსებობა. ცოცხლობს არა ის, ვინც „თავის კიას“ ახარებს, არამედ ვინც ქვეყნისათვის, ხალხისათვის ზრუნავს და ამ ზრუნვაში ხედავს ადამიანის მაღალ დანიშნულებას.

მაგრამ არა მარტო მაღალი იდეალებით გაცისკროვნებული სიცოცხლე იზიდავს მამია ვარშანიძეს. მას არანაკლებ იტაცებს თვით სიცოცხლის ფიზიკური სილამაზე, მისი დაუოკებელი, ყველაფრის გადამლახველი ძალა და მთელი ხმით უმღერის ყველაფერ ცოცხალს. გაფურჩქნულს, ღამაზს. ლექსში „შრიანებს მუხა“ პოეტი პირდაპირ წერს: „მე გაფურჩქნული მუხა მიყვარს (ხმელი

კი არა), სიცოცხლის ჰიმნი ჩურჩულით რომ გაიზიარა“. იგი აღტაცებით უტყუარის როგორ არღვევს მიწას, ქვას ჯანსაღი თესლი და როგორ ამკვიდრებს სიცოცხლეს უსულო კლდეზეც კი. ალბათ, არაფერია ბუნებაში იმაზე უფრო იდუმალეობით მოცული, უფრო საკვირველი, ვიდრე თესლიდან სიცოცხლის ამოფეთქება. აღმოცენების ეს პროცესი საოცრად ლამაზიცაა და სიცოცხლის ძლიერებითა თვალნათელი დემონსტრაციაც.

აქ იღებს სათავეს ის განსაკუთრებული სიყვარული, რასაც მამია ვარშანიძე იჩენს გაზაფხულისადმი. „სილამაზევ და სიცოცხლე“. მიმართავს პოეტი გაზაფხულს და ევედრება: „მო, გაზაფხულო, მოფრინდი“. სხვა ლექსში კი იგი წერს: „მინდა დავლოცო ჩემს ეზოში იის შემოსვლა“. დაილოცოს, მაგრამ რისთვის? ია ხომ გაზაფხულის მაცნეა. მისი მახარობელი. მას მოჰყვებიან მერცხლები, ათასგვრად შეიმოსება, ლალსა და ზურმუხტს დაიყრის მთა და ბარი, ბუნება გაიღვიძებს და ყველგან სიცოცხლე და სიხარული დაისადგურებს. გაზაფხულის შემოსვლის მშვენიერ სურათს ხატავს მამია ვარშანიძე ლექსში „მთაში ჰიკაიებს მერცხალი“.

როგორ გაწამა ზამთარმა, წამიც კი აღარ გაცალა, მთაო, ყელამდე დაგთოვა, ზურმუხტი შემოგაცალა, უსამკაულოდ დაგტოვა, ცრემლი გდიოდა ცვარ-ცვარად, გაზაფხულმა კი უეცრად კისკისით აგაფანცქალა, ფრთები გაშალა აპრილმაც და მწვერვალებზე აფრინდა. მთაო, ფერადი გვირგვინით გულმკერდი დაგიდაფნია, შენი ფერთა ცვლა მაოცებს, ყოფილა რა უეცარი! ააციმიკმა მზემ ცვარი, ცაში ჰიკაიებს მერცხალი.

სხვა ლექსებშიც მამია ვარშანიძე გაზაფხულს ხატავს როგორც სიხარულს,

როგორც სიცოცხლის ხელახალაფეთქებას და ხშირად უპირისპირებს მას ზამთარს, რომელიც მწუხარებისა და უბედურების სიმბოლოდ მიაჩნია. დეკლარაციული ეტრფის ყველაფერს, რაც კი გაზაფხულშია, ლით სუნთქავს, გაზაფხულივით ძლიერია და ლამაზი.

სიცოცხლის ჰიმნთან ერთად მამია ვარშანიძის პოეზიაში საკმაოდ ძლიერად გაისმის სიყვარულის ჰიმნიც. ეს იმიტომ, რომ „...სიცოცხლეზე უკეთესი არაფერია და სიყვარულზე უტკბილესი არაფერია“. სიყვარული, პოეტის რწმენით, ამაღლებს ადამიანს, ხელს უწყობს მის სულიერ აღორძინებას, უმახვილებს სილამაზის განცდას. „მწვერვალისაკენ მიგვაქროლებს სიყვარულით სავსე გული“, ამბობს იგი და ტანჯვაც კი, სიყვარულს რომ ხშირად თან ახლავს, ნეტარებად მიაჩნია.

სიყვარულის საფუძველი, პოეტის სიტყვით, „სულთა თანატოლობაა“, მაგრამ მას მეორე საყრდენიც აქვს — სილამაზე. „მერცხალს შევინს თეთრი მკერდი, ქალს — თვლები შავი“, ამბობს მამია ვარშანიძე და ბევრ სხვა ლექსშიც ხაზს უსვამს სატრფოს სილამაზეს. ასე რომ, სატრფიალო-ინტიმურ პოეზიაში იგი მიჰყვება რუსთაველის გაკვალულ გზას, ქადაგებს წმინდა ადამიანურ სიყვარულს, რომელიც თავის თავში შეიცავს სულიერსაც და ხორციელსაც.

დასასრულს გვსურს ხაზი გავუსვათ მამია ვარშანიძის პოეზიის ერთ თავისებურებას, რომელიც ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა ჩვენმა ბელეტრისტმა სერგო კლდიაშვილმა. პირად ბარათში ამ ჩამდენიმე წლის წინათ იგი მამია ვარშანიძეს სწერდა:

„განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თქვენი პოეზიის ნათესაობა ხალხურ პოეზიასთან. მე ამით მინდა ვთქვა, რომ თქვენ შესისხლბორცებული გაქვთ ხალხურობის უძვირფასესი თვისებები — მისი ამღერება, სინათლე, გულწრფელობა...“

მთაო, ამაყო მაღალო,
ბარო, ზღვასავით გაშლილო,
ბაღად ვინ გაგაშენა,
აჰა, მოსულა აპრილი,
ორივე დაგამშვენა...

მთელი ეს ლექსი სწორედ ხალხური გულწრფელობით და სიბრძნით თქმული, სიცოცხლის ჰიმნივით ისმის“ (აჭარის სახ. არქივი, ფ. 1010, ს. № 39).

ჩვენი მხრით დაეძენო, რომ მამია ვარ...
შანიძის ლექსებში ხშირად გვხვდება ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი პოეტური სამკაულები — განმეორება, დაპირისპირება, პიპერბოლა და ა. შ.

ცისარტყელა, შეიდსარტყელა,
ჩემს მთაზე რომ გადატყდება,
მოვიტაცებ, შევიეირთებ,
გავაჩაღებ სულში ცეცხლად.
არ მეყოფა? მზეს წაეართმევ,
ცისკარს თმებში შევიკეცავ...
(„ბერიკაძე“).

ხალხურ პოეზიასთან ასეთი ორგანული კავშირი მამია ვარშანიძის ლექსების

პოპულარობის ერთი უმთავრესი მიზეზია. მკითხველს უყვარს ნათელი, გასაგები, ემოციური ლექსი, რომელიც ალექსანდრე ბუკინის განწყობილებას უკმაყოფილებს. თებს ცხოვრების გზას. ეს ღირსება აქვს მამია ვარშანიძის ყველა საუკეთესო ლექსს. და მით უფრო დასაინათ, რომ პოეტის ზოგიერთ ლექსში, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, შესამჩნევია ბუნდოვანება, იგი თითქმის გაუგებარია აზრის, გრძნობის ნათელ გადმოცემას, ცალკეულ ლექსებში გვხვდება აგრეთვე პრიმიტიული სტრიქონები, შეუსაბამო შედარებანი, მაგრამ ეს ხარვეზები როდის განსაზღვრავენ მამია ვარშანიძის პოეტურ სახეს.

მამია ვარშანიძე უკვე ოცდათხუთმეტი წელია მუხლჩაუხრელად და წმინდა გულით ემსახურება ქართულ ლიტერატურას, ქართულ პოეზიას. იგი მუდამ მხარში ედგა მშობლიურ ხალხს და მასთან ერთად იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა, წინ მიდიოდა. მისი გულმართალი და ნამუსიანი პოეზია დაბადა ახალმა აჭარამ და მთელმა საქართველომ გამოიზარდა.





რუსუჲ კოზალაძე

საქ. სსრ სახალხო არტისტი

ქართული სცენის უანბარო მოღვაწე

გალაქტიონ დოღონაძის დაბადების 70 და შემოქმედებითი
მუშაობის 50 წლისთავის გამო

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ საყვარელ საქმეს ემსახურებიან მთელი არსებით, ყველაფერს, რაც კი კარგი გააჩნიათ, მას აძლევენ და სამაგიეროს არაფერს ითხოვენ. ასეთ ადამიანთა რიცხვს მივაკუთვნებთ საქართველოს დამსახურებულ არტისტს გალაქტიონ დოლონძეს, ჩვენს კოწის.

იგი სავარდო და სამაისო ქუთაისის
აპრილს მოჰყვა შვიდი ათეული წლის
წინათ. სიყრმიდანვე შეიყვარა თეატრი.
თანამშრომლობდა და იწაფებოდა, იზრ-
დებოდა და ვაჟკაცდებოდა ქართული
სცენის ისეთ კორიფეებთან, როგორიც,
ოყვენ ლადო მესხიშვილი, ნინო ჩხეიძე,
ტასო აბაშიძე, ვალერიან გუგია, ალექსან-
დრე იმედაშვილი, შალვა დადიანი და
სხვები. ამ სახელგანთქმულმა მსახიობებ-
მა და საზოგადო მოღვაწეებმა კოწო
მტკიცედ დააყენეს ხელოვნების ძნელ-
სავალ გზაზე.

თავისი მისწავლებლების მსგავსად გა-
ლაქტიონ დოლონაძეც ერთნაირი სიყვა-
რულით და გულდანდობით ეკიდებოდა
ყველა საქმეს, დიდსა თუ პატარას. კოწო-
უხიტყვო მასიურ სცენებსა და ეპიზო-
დურ როლებში, კოწო სუფლიორი, სცე-
ნარიუსი, რეჟისორის თანაშემწე და რე-

ქისორი, კოწო საესტრადო-საჯარული
ქანრის პიესებისა და ლექსების ავტორი,
დრამატურგი, მსახიობი...

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც
მოწონი სწავლობდა. უშვებდნენ ყოველ-
თვიურ ხელთნაწერ ჟურნალს „გიმნაზიის
ყვავილს“. ამ ქვეყნდებოდა მისი პირ-
ველი ლექსები და შარადები.

1923-25 წლებში კოწო მუშაობს თეატრში და ამასთან თანდათან სახელს იხვევს როგორც საესტრადო-სახუმარო ლექსების ავტორი და შემსრულებელი. 1927 წელს მან საკუთარი რეპერტუარით ჩამოაყალიბა სატირული თეატრი, რომელსაც შეარქვა „წითელი სარკე“. ამ თეატრში მაცურებლები კმაყოფილებას, ესთეტიკურ სიამოვნებას გრძნობდნენ. კარგად გასაზრებული პროგრამა, რომელიც ამათრახებდა ყოველივე ძველს, დროშოკმულს, დასცინავდა ყოველგვარ მანკიერებას, — დარბაზში მუდამ იწვევდა ჯანსაღ სიცილს.

კოწო დოღონაძის სატირული ნომრების და დასის მთელი პროგრამის წარმატებას ხელს უწყობდნენ ესტრადის ნიჟიერი მსახიობები: ვიქიკო აბაყელია, კაპი აბესაძე, შალვა ბეჟუაშვილი, ალექ

სანდრა გარნელი, თამარ თარხან-მოურა-
ვი, შალვა ინსარიძე, შერა სიხარულიძე,
ლავრენტი სვანელი, თამარ ლივარდი და
სხვები.

ამრიგად, კოწო დოლონაძემ ჩამოაყა-
ლიბა სატირული თეატრი, რომლის წარ-
მოდგენებს ტაშით აჯილდოვებდა მრავა-
ლიცხოვანი მაყურებელი. იგი ამ დასის
ხელმძღვანელიც იყო და მსახიობიც.

1927-29 წლებში, ზაფხულობით ახალი
სატირული თეატრი მოგზაურობდა საქა-
რთველოს რაიონებსა და ქალაქებში და
ბოლოს წარმოდგენა გამართა თბილის-
შიც, სადაც დიდი წარმატება ხვდა. სა-
ქართველოს დედაქალაქის პრესამ, გან-
საკუთრებით კი თბილისის საქალაქო გა-
ზეთმა „მუშა“ ქებით მოიხსენია კოწო
დოლონაძის მიერ ჩამოყალიბებული პირ-
ველი საესტრადაო კოლექტივი.

ამავე ხანებში აჭარის სახელმწიფო
აქადემიური თეატრის დირექტორად მუ-
შაობდა ვასო ურუშაძე, რომელმაც სა-
მხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ
რეჟისორად მოიწვია საზოგადოდ ცნო-
ბილი თეატრალური მოღვაწე და პედა-
გოგი აკაკი ფაღავა. ამ დროს თეატრის
დასში იყვნენ ვერიკო ანჯაფარიძე, მარო
აბრამიშვილი, ოლია ბახტურიძე, ნინო
დოლიძე, ნინო ერისთავი, მარო მესხი-
შვილი, მარო მდივანი, დედუნა მგელაძე,
თამარ ვარდიშვილი, თამარ თვალაშვი-
ლი, ოლია ლოღობერიძე, შალვა ბეჟუა-
შვილი, გრიგოლ ბერძენიშვილი, ბორის
გამრეკელი, კოწო დოლონაძე, შალვა
ინსარიძე, კირილე მაჭარაძე, ლავრენტი
სვანელი და სხვები.

მაშინ მე ამ თეატრის თანამშრომელი
ვიყავი და რაც ჩემს თვალწინ მოხდა.
კარგად მახსოვს, აკაკი ფაღავას ხელმძღ-
ვანელობით განხორციელდა შემდეგი
დადგმები: „კვაკი კვაპანტირაძე“, „იე-
რიში“, „ამერიკელი ძია“, „გუშინდელ-
ნი“, „მეფე არლეკინი“ და სხვა. თეატ-
რის კოლექტივმა ნიჭიერი დადგმებით
მაღლე მოიხვეჭა სახელი.

ჩემი აზრით, 1927-1932 წლების სეზო-
ნები მაღალი თეატრალური კულტურით

ხასიათდებოდა და მნიშვნელოვანი რო-
ლიც შეასრულა საზოგადოების კულტუ-
რული გემოვნების დახვეწაში. ამ პერიოდში
ლივრად გადახალისებამი. ამ პერიოდში
იყო, რომ ქუთაის-ბათუმის თეატრალურ
კოლექტივს სათვეში ჩაუდგა დიდი რე-
ჟისორი კოტე მარჯანიშვილი. მან მაყუ-
რებელიც და შემოქმედებითი კოლექტი-
ვიც ახალ ხილვათა მრავალფეროვან სამ-
ყაროს აზიარა.

1929-1933 წლების სეზონში თეა-
ტრის ხელმძღვანელად მოწვეული იყო
გაბო ღვინიაშვილი, რომელმაც შემოიე-
რთა შემდეგი მსახიობები: ალექსანდრა
გარნელი, ნუცა ფხაკაძე, რუსიკო ლორ-
თქიფანიძე, ცუტა მეძმარიაშვილი, ფე-
ლიკო ქანტურია, ანდრო მურუსიძე, შა-
ლვა ხანელი, გიორგი ჩახავა, ვარლამ
ნხიკვაძე, ნიკოლოზ ხორავა, პიროსო აფ-
ხაძე, სიკო ვანანაძე, გრიგოლ ლალიძე
და სხვ. ამ კოლექტივმა 1932 წლამდე
იარსება. გ. ღვინიაშვილი ბათუმში დი-
დხანს არ დარჩენილა და მხოლოდ ორი
დადგმა განახორციელა — „შავი მატა-
რებელი“ და „ჩვენი ახალგაზრდობა“. მი-
სი წასვლის შემდეგ თეატრის დირექტო-
რმა ვასო ურუშაძემ დახმარება თხოვა
კოტე მარჯანიშვილს. კოტე დათანხმდა
ეხელმძღვანელა თეატრისათვის და ბა-
თუმში რეჟისორად პირველად დიდო ან-
თაძე, ხოლო შემდეგ ნიკო გომიშვილი
მ ავლინა. ამრიგად, კოტეს წყალობით
ერთმანეთს შეერწყნენ ქუთაის-ბათუმის
კოლექტივები. ქუთაის-ბათუმის თეატ-
რმა დ. ანთაძისა და ნ. გომიშვილის რე-
ჟისორობით მაყურებელს უჩვენა მრავა-
ლი საინტერესო სპექტაკლი. მათ შორის
აღსანიშნავია „ხატოცე“, „როგორ“, „სა-
ხლი მტკვრის პირას“, „ყვარყვარე თუთო-
ბერი“, „ანათოე ვარსკვლავნო“, „პური“
და სხვ. ეს დადგმები თეატრალურ-მხატ-
ვრული შესრულებით მაღალ დონეზე
იღმა. ამ წარმოდგენათა ანსამბლში აღ-
მოჩნდა კოწო დოლონაძეც. მან არა ერ-
თი შთამაგონებელი სახე შექმნა, ამას-
თან არ ივიწყებდა ესტრადასაც. კოწოს
ხელმძღვანელობით აჭარის რაიონულ
ცენტრებში იმართებოდა კონცერტები.

ამის თაობაზე თეატრის დირექტორი ვასო ურუშაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს: „ბათუმის თეატრი ზაფხულობით ხშირად საგასტროლოდ მოგზაურობდა აჭარის დაბა-სოფლებში. ერთი ასეთი საგასტროლო მოგზაურობა მოვაწყვეთ. პაჩიბეკოვის ცნობილი ოპერეტიო „არშინ მალ აღან“. გასტროლიორთა დასში შედიოდნენ: მ. მარგველაშვილი, ნ. ქართველიშვილი, ა. გარნელი, შ. ბეუშაშვილი, კ. დოლონაძე, მე და სხვები. ვიყავით ხულოში, ქედაში, დავესწარიით აჭარისწყლის ჰიდროელსადგურის გახსნას, სადაც გავმართეთ წარმოდგენა. შემდეგ ვესტუმრეთ ქობულეთს, ჩაქვს და ოჩხაშურს. დამსწრეთ მოსწონდათ ეს მხიარული ნაწარმოები, თუმცა მოხუცნიც კი აღმაცერად გვიცქეროდნენ, რადგან არ სიამოვნებდათ მაჰმადიანი ქალების თავისუფალი ქცევა სცენაზე. აჭარისწყლის ელსადგურის გახსნისას ერთმა მოხუცმა ძალიან კარგი სიტყვა წარმოთქვა და წარმოდგენის გამართვა მშვენიერად დაუკავშირა ჰიდროელსადგურის გახსნას. მოხუცმა გამაჩვენა უსურვა საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც სინათლე და კულტურა შეაქვს აჭარაში და ჰფანტავს თურქთა მიერ დათესილ შუღლსა და უმეცრებასო. კონცერტი მრავალფეროვანი და ცხოველმყოფელი რომ ყოფილიყო, კოწო არამართო გულდასმით ადგენდა საესტრადო პროგრამას, არამედ საამისოდ თვითონ თხზავდა კიდევ სატირულ ნაწარმოებებს“.

1932 წელს ბათუმის შიგნითა თეატრის შენობა დაანგრიეს და დაიწყეს ახლის აგება. ამის გამო 1937 წლამდე დრამატულ თეატრს აღარ განუახლებია მუშაობა, მაგრამ კოწო სცენას ვერ გავცალა, შინაგანმა ძალამ სძლია და გამოსავალიც ჰპოვა: ბათუმშივე შეაგროვა ძალები და აჭარის მუშა ახალგაზრდობის თეატრი ჩამოაყალიბა. რეჟისორად შალვა ინსარაძე მიიწვია. ახალგაზრდობის თეატრმა სამი სეზონი იარსება და კოწოს ხელმძღვანელობით რამდენიმე დღემა განახორციელა.

1937-1938 წლების სეზონში ქალაქს

დაუბრუნდნენ თბილისის თეატრალური სტუდიის კურსდამთავრებულები. რომლებსაც გავლილი ჰქონდათ სტუდიის ახმეტელის წვრთნა. მათ ჩამოიტანეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დოდო აღუქსიძის ხელმძღვანელობით მომზადებული ორი წარმოდგენა — გიორგი მდიუნის „ბრმა“ და კარლ გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ კოწო: „სანდრო ახმეტელის თეატრალურ სტუდია-სახელოსნოში გამოწრთობილმა ახალგაზრდობამ განახორციელა ორი დადგმა — „ბრმა“ და „სასტუმროს დიასახლისი“. პირველი დაიდგა 1937 წლის 18 მარტს, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 16 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს, ხოლო მეორე — ერთი კვირის შემდეგ. ეს სპექტაკლები მაღალი თეატრალური ხელოვნებით იყო წარმოდგენილი და მაყურებელთა ოვაციები დაიძახებოდა. გულწრფელად მიხაროდა ახალგაზრდა დასის წარმატებანი და ჩემს აზრს ნიჭიერი თაობის შესახებ ყველას ეუხიარებდი. ამ ახალგაზრდა კოლექტივში მსახიობად მიიწვიეს ჩემი მეუღლე ალექსანდრა გარნელი - დარჩია, ხოლო რეჟისორ-დამდგმელად შალვა ინსარაძე. მეც გული თეატრისაკენ მიმიწვედა, მიწყუროდა პათოსით აღსავსე ახალგაზრდებთან ერთად მუშაობა. მალე მათი შემოქმედებითი საქმიანობის თანამონაწილე გავხდი. ამ თაობას შევაბერდი — 1962 წლამდე აქ დავყავი. ჩემი ტვივილიც და სიხარულიც ამ კოლექტივთანაა დაკავშირებული. ჩვენი თეატრის ცხოვრების მიღმა წუთითაც არ მიცხოვრია. ჩემი ფიქრით, ოცნებით და საქმით ყოველ წუთს მასთან ვიყავი დაკავშირებული. ჩემი კოლექტივის პატივისცემა და სიყვარული კუბოს კარამდე გამყვება“.

ბათუმის სახელმწიფო თეატრში კოწო დოლონაძემ არა ერთი დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი სცენური სახე შექმნა. ესენია: კონტაია (ვ. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“), შმაგა (ნ. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“),

ყვარყვარე და ხარიტონი (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, კოლმეურნის ქორწინება“), მოსე მწერალი და ჯიბო კვანტრიშვილი (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“, „გუშინდელნი“), კიკიტია (ი. ვაკელის „აპრაქუნე ჭიმჭიმელი“), ხომენკო (ვ. დარასელის „კაციძე“), ქერიმ-ალა (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“), პოლონიუსი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“), ბესო (იუჟინ-სუმბათაშვილის „ლალატი“), ბობჩინსკი (ნ. გოგოლის „რევიზორი“) და სხვ.

კოწმ დრმად გაივო ავტორის ჩანაფიქრი და იმერელი ბიჭის კონტაიას სახე შთამბეჭდავად გამოკვეთა. ეს კომიკური ტიპი ბატონთან, მოურავთან, პატარძალთან და ბოლოს გიჟუასთან სცენებში კოწმს ოსტატურად გარდასახა.

როგორი იყო კოწმ—ყვარყვარე? იგი მისთვის ჩვეული მსუბუქი ჰუმორით, კომიკური შტრიხებით ახერხებს ამ გაიძვერა და სულიერად გაღატაკებული ადამიანის სახის სრულყოფილად გახსნას.

გენიალური რუსი მწერალი ნ. გოგოლი წერდა: — გადავწყვიტე თავი მოვუყარო ერთად ყველაფერს ცუდს, რაც რუსეთშია... ყოველგვარ უსამართლობას და ყველაფერს ერთად დავიცხო. ეს იდეა მწერალმა განახორციელა თავის უკვდავ ქმნილებაში — „რევიზორი“. კოწმ დოღონაძე ამ სპექტაკლში ბობჩინსკის როლს ასრულებს. ენატანია, მლიქნელი, სულიერად დაცლილი და საზიზღარი ადამიანი, — ასეთია ბობჩინსკი პიესაში, რაც კოწმ სრულყოფილად წარმოადგინა სცენაზე.

როგორც ვიცით, ვ. კანდელაკის პიესა „მაია წყნეთელი“ ბატონყმობის იმ პერიოდს ასახავს, როცა საქართველოში გოგო-ბიჭების მოტაცება-გაყიდვას ჰქონდა ადგილი, მდიდარი ქერიმ-ალა დაკავშირებულია გახრწნილ თავად ქაიხოსროსთან, რომელიც მას მოტაცებულ გოგო-ბიჭებს ოქროებზე მიჰყიდის. მოგვას დახარბებული ქერიმ-ალა ოსმალეთისაკენ მიერეკება ტყვეებს. გაიძვერა თურქის შინაგანი სულიერი სამყარო კარგად გახსნა კოწმ დოღონაძემ.

როგორც ვხედავთ, კოწმ დოღონაძე უმთავრესად სახასიათო და კომიკური როლებს ეტანება. ეს არცაა შემთხვევითი, მას კარნახობს შინაგანი გუნდური პი. მისი სამსახიობო უნარი ასეთ სცენურ სახეებში გამოჩნდა და გამოიკვეთა სრულად. იგი დახვეწილი შტრიხებით გულმოდგინედ ხატავს ტიპს. არტისტს წარმატებები ერთბაშად როდი მოუხვეჭია. მისი, როგორც მსახიობის, ოსტატობა თანდათან იხვეჭებოდა და სრულფასოვანი ხდებოდა.

კოწმ მრავალმხრივი მსახიობია. იგი კომიკურ-სახასიათო როლებთან ერთად ახერხებს დრამატულ-ჰეროიკული ყაიღის სახეების შექმნას. მინდა გამოვყო იუჟინ-სუმბათაშვილის „ლალატი“ გამოკვეთილი თავდადებული მამულიშვილის ბესოს სახე, რომელიც კოწმ დოღონაძემ მთელი მისი არტისტული შესაძლებლობით დავეიხატა. მან შექმნა ქეშმარიტი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული მოხუცის ცოცხალი პორტრეტი.

კოწმ ყველა როლს, დიდი სიყვარულით და პასუხისმგებლობით ეკიდება. მას არასოდეს უთავილნია ეპიზოდური პატარა როლიც კი, როცა სცენაზე მხოლოდ წუთიერად გამოჩნდები, ორ-სამ სიტყვას გადაუდგებ მაყურებელს და მერე კულისებში გაუჩინარდები. მაისოვს, გუშინდელ დღესავით მაისოვს გ. ლაღიძის მიერ ჩვენს თეატრში დადგმული სპექტაკლი „ორი ობოლი“, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. სპექტაკლი იყო ასეთი სცენა: მშვიდი ადამიანების ერთი ჯგუფი რიგში დგას და პურს ელოდება. ამ დროს გამოჩნდება საბრალო შესახედაობის მოხუცი. იგი პურის რიგისაკენ ძლივძლივობით მილასლავებს. როცა მოხუცი გაიგებს, რომ პური არაა, ცისკენ ადაპყრობს ხელებს და ამოიკენესებს: „სანტა მარია, სანტა მარია!“ ეს სცენა ისე შთამბეჭდავად სრულდებოდა, რომ დარბაზში ჩოჩილი ატყდებოდა ხოლმე, მკვნესარე მოხუცი ჩვენს საყვარელი კოწმ გახლდათ, კოწმ, რომელსაც სამასზე მეტი დიდი თუ პატარა როლი აქვს განსახიერებელი.

კოწო დოლონაძის მოღვაწეობა მართო მსახიობობით როდი ამოიწურება. ბათუმში მან ჩამოაყალიბა თოჯინების თეატრი. ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიტანო პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის სიტყვები „ლიტერატურული ნარკვევებიდან“: „ამ ბოლო დროს, ილიას იუბილესთან დაკავშირებით, ბევრი ავტორი აცეთებს სასცენოდ ილიას ნაწერებს: სკოლებისათვის მ. ვე-ილისიხელი, რაიონული თეატრებისათვის სიმონ მთვარაძე, თოჯინების თეატრებისათვის კოწო დოლონაძე“.

კოწომ თოჯინების თეატრებისათვის ილია ჭავჭავაძის „კაცია დამიანის?!“ მიხედვით მოამზადა ინსცენირებული პიესა „ულუარსაბ თათქარიძე“, რომლითაც გახსნა ბათუმის თოჯინების თეატრის სეზონი. ამ ინსცენირებას მაღალი შეფასება მისცა ბათუმის დრამატული თეატრის მაშინდელმა დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა არჩილ ჩხარტიშვილმა.

ბათუმის თოჯინების თეატრმა სამი წელი იარსება. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა ქართულ და რუსულ ენებზე მასურებელს უჩვენა სპექტაკლები: „წითელქუდა“, „სამი გოჭი“, „პატარა ბატი“, „პატარა ჯემალი“ და სხვ. იდგმებოდა აგრეთვე რუსულიდან თარგმნილი პიესები. სპექტაკლები მზადდებოდა კოწოს რეჟისორობით და მონაწილეობით. თოჯინების თეატრის კოლექტივში მუშაობდნენ: დავით ნოზაძე, ედნარ შამილაძე, თამარ თავდიშვილი, ტასო შარაბიძე, დარეჯან კალანაძე, ტატიანა მახარაძე, მარია ნალბანდიანი, ეკატერინე რალცევიჩი და სხვები.

თოჯინების თეატრის სპექტაკლებს ესწრებოდნენ მოზრდილნიც. თეატრს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარებაში. ამ

ად მსიამოვნებს ამ თეატრის გახსენება და კიდევ იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობდა ჩვენი საყვარელი მეგობარი და მსახიობი კოწო დოლონაძე.

დიდი სამამულო ომის წლებში კოწო სამხედრო სამეფო კომისიის თავმჯდომარეა და თეატრიდან მოუწყვეტლად ასრულებს ამ საპატიო მოვალეობას. შეფი სათანალო სამსახურს უწყევდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. მესაზღვრებთან, ჰოსპიტლებსა და კრეისერებზე, წყალქვეშა ნავებში კოწოს ხელმძღვანელობით 250-მდე სამეფო კონცერტი გაიმართა. ყოველ პროგრამას გულდასმით ადგენდა და ამზადებდა, რომ კონცერტს პეროიკული ხასიათი ჰქონოდა და ბრძოლის პათოსით განემსჭვალა ჯარისკაცები. კიდევ აღწევდა მიზანს; კონცერტის მონაწილეებს ყოველთვის ოვაციით აჯილდოვებდნენ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კოწო დოლონაძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

1957 წლის 13 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა კოწო დოლონაძეს გაუმართეს სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, რომელიც გულთბილი სიტყვით გახსნა ცნობილმა მწერალმა და დრამატურგმა შალვა დადიანმა.

კოწო 1962 წლიდან პენსიონერია, მაგრამ სულით და გულით ისევ თავის კოლეგებთანაა. მას უყვარს მეგობრები და მეგობრებსაც უყვართ იგი.

უესტრვოთ მას, ჩვენს საყვარელ კოწოს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე.



პ ი პ ი

შემომიჩნდნენ:

— ქლესა ხარო,
ქვემძრომი და მლიქვნელი,
მაგ პოსტამდე, კუდქიცინავ,
მხოლოდ ასე მიხველი.
ყველა უფროსს ყველაფერზე
თავს უხრი და უქანებ,
სიტყვა თუ არ მოეწონათ,
უმალ მიგაქვს უკანვე.
პირფერობა, ლაქუცობა
აი, შენი ბარაქა,
არვინ იცის საკუთარი
აზრი გაქვს თუ არა გაქვს.
კაცნო, ხედავთ? ეს რა ხდება,
ეს რა ჭირი გვეწვია,
მლიქვნელობა ზრდილობისგან
ველარ გაურჩევიათ.
კაცმა უფროსს პატივი სცეს
განა ეს აუგია?
მიკვირს ასე უბრალო რამ
როგორ ვერ გაუგიათ!
იმ დღეს თათბირს გვიტარებდა
ღირექტორი ნარიმან.
— კი, ბატონო,
კი, ბატონო!
კვერს ვუკრავდი მალი-მალ:
გაწყრა, მაგრამ როგორ გაწყრა!
მტრისას რისხვა ეგეთი!
გამომლანძლა, გამომთათნა;
მითხრა:

„მიტხარ, ჯერ ერთი,
წარა-მარა რომ იძახი

— კი, კი,

კი, კი, ბატონო! —

რა ამ „კიკის“ ჩააცივდი

ასე, შე უპატრონო:

რა ვქნა, იქნებ ყველაფერში

მართლაც არ ვარ მართალი!“

ახლა კიკის მეძახიან,

მაგრამ ეგრე რად არი...

ერთხელ, აბა როგორ არ ვთქვა,

როგორ შევძლო დუმილი.

შეფთან შეველ, ზეზე იდგა,

ყურთან ჰქონდა ყურმილი,

სადლა იყო მისი რიხი,

სახე კუშტი, უხეში!

თითქოს კიდევ მოხრილიყო

მხრებში,

წელში,

მუხლებში,

უღიმლამოდ იღიმოდა

ეს მრისხანე ნარიმან,

— კი, ბატონო,

კი, ბატონო! —

ჩასძახოდა მაღი-მაღ.

გაგეზომა, ის ღიმილი

იქნებოდა მტკაველი.

ვერ გაიგო, როგორ შეველ.

უკან როგორ გაველი.

და მთელი დღე ერთი ფიქრით

გავატარე ყარიბმა,

კიკი ახლა მე მქვია თუ

იმ ჩემს უფროსს, ნარიმანს?



შ ი ნ ა ა რ ს ი

ა. მშავიბი — ღენინის დროშა (ლექსი)	3	შ. ზომიძე — კაცი, რომელიც ქუჩაში მიდის (ლექსი)	59
ბ. გურბენიძე — რწმენა (ლექსი)	4	პ. მაღკოვი — კრემლის კო- მენდანტის ჩანაწერები თარგმნა შ. როყვამ	61
ი. მელიძე — დიდი სიცოცხლე (ლექსი)	6	პრინტიკა და კუბლიცისტიკა	
კ. ლორიბ — საუბარი ბა- დიშებთან (მოთხრობა)	7	შ. ძუბრიძე — ლაჟვარდში შემონახული სიმღერა	78
ფ. ხალვაში — ლექსები	26	ხელშეწყობა	
ბ. გელაშვილი — სიკვდილი და ყმაწვილი (მოთხრობა)	31	ი კობალაძე — ქართული სცენის უანგარო მოღვაწე	88
ც. ანთაძე — ლექსები	45	იუმორი	
ნ. მოღებაძე — სიყვარულის კალედოსკოპი (მოთხრობა)	47	ბ. სიმორიძე — კიკი (ლექსი)	93

2

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21;

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72;

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IV, 1969 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი,
შეკვეთის № 2051, ემ 00729, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 1.800.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის 22).

აჭარის უზრნალ-გაზეთების გამომცემლობა;

ფ 120/176

ფანსი 40 კან.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„*Литературули Аджара*“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 76116